ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 სექტემბერი **სამშაბათი** 2009
№ 223 (12 902) ფასი 60 თეთრი


» გვერდი 11

## ბრინჯაოს დასაწყისი

# გუცაევის ემზადება...


» გვერდი 4

## სიჭინავა დღეს იტყვის

## ახლა შანსს ვერ ვხედავ



ვინ მისცა ხელისუფლებას თავისი კაცის ასე უტიფრად დასმის უფლება?

ინტერვიუ დავით უგრელიძესთან » გვერდი 5

# სანამ მეტყევე ქართულ ფეხბურთში არ მოსულა...





ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების წინ » გვერდი 4

# ინტელიგენტი

## იტალიელები ვიქტორ სანიკიძეზე

» გვერდი 12



საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. VII ტურის მიმოხილვა

# მიზეზთა ძებნაში...

**ჩემპიონატის** დაწყებიდან პირველად მოხდა, როცა ერთპიროვნულ ლიდერს კონკურენტები წამოეწივნენ; ეგ კი არა, იმის დიდი ალბათობაც არის, რომ მომავალი ტურისთვის ცხრილის სათავეში სხვა გუნდი ვიხილოთ; მაგრამ, ვარაუდებს, ჯობს, განვლილ ტურზე ვისაუბროთ და, უპირველეს ყოვლისა, „დინამოს" მორიგი შთამბეჭდავი თამაში აღვნიშნოთ - კახა კაჭარავას გუნდმა ბოლო ორ შეხვედრაში მეტოქეთა კარში 10 (!) გოლი გაიტანა; ხოლო სკუთარში არც ერთი არ გაუშვია! სამაგიეროდ, ასევე ზედიზედ ორი ტურია, რაც „ოლიმპი" გოლის გატანას ვერ ახერხებს და სწორედ ამ ორ შეხვედრაში მოპოვებული მხოლოდ ერთი ქულის გამოც არის, რომ ოთარ კორღალიძის გუნდს უახლოესი მდევრების „სუნთქვა ესმის". თუმცა, ამ სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მთავარი მიზეზი, თურმე, არაობიექტური მსაჯობა ყოფილა! ყოველ შემთხვევაში, „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ნამდვილად ყურადსაღებია; ოღონდ, ყველა ცოდვისა თუ უბედურების... მსაჯებზე „აკიდებაც", ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად გვეჩვენება - ჩვენ ასე ვფიქრობთ და სხვისი, რა მოგახსენოთ...

## ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

ტურის ცენტრალური შეხვედრა („ოლიმპისა" და „ვიტ ჯორჯიას" მონაწილეობით), როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. მართალია, ლამაზი სანახაობა თუ გოლების ფოიერვერკი ვერ ვიხილეთ, მაგრამ ის კი ნათლად ჩანდა, რომ მოედანზე ორი საკმაოდ ორგანიზებული გუნდი ასპარეზობდა. 90 წუთის განმავლობაში ორივე გუნდის ფეხბურთელებს მონდომებას ვერ დავუკარგავდით, თამაშიც ხისტად მიმდინარეობდა და ერთი-ორჯერ, ფეხბურთელებს შორის მცირე განევ-გამონევაც მოხდა. „ოლიმპს" მეტოქესთან შედარებით მცირე ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ საიმედოდ მოთამაშე **გრიგოლ ბედიაშვილის** კარის აღება მაინც ვერ მოახერხა. ამასთან, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აშკარად „მოქნილი" და, რაც მთავარია, ეფექტიანი გამოდგა **ოთარ კორღალიძის** ტაქტიკური სიახლე - „ოლიმპმა" პირველად იასპარეზა 4-4-2 განლაგებით. თან, გუნდის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა მორიგ ახალწვეულს - **გიორგი ჭედიას**, ვინც მოედანზე შესვენების მერე გამოჩნდა და მატჩის მიწურულს ჩინებული შანსიც მიეცა, მაგრამ ბედიაშვილს ვერ აჯობა.

საკმაოდ ორგანიზებული და ტაქტიკურად განსწავლული თამაში უჩვენა მოქმედმა ჩემპიონმაც; ფაქტია, რომ „ვიტ ჯორჯიას" ახალი მწვრთნელი **მერაბ კოჭლაშვილი** ამ კომპონენტის შესწავლაზე ფეხბურთელებთან ბევრს მუშაობს. თვითონაც აღნიშნა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომ ამ ბოლო დროს „ვიტ ჯორჯიამ" დაცვაში თამაში აშკარად გამოასწორაო; მოკლედ, ჩემპიონატის ორი ფავორიტის შეხვედრა საყაიმო ანგარიშით რომ დასრულდა, მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო. მაგრამ, აი, პრესკონფერენციაზე, „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა რამდენიმე ისეთი „ხმაურიანი" განცხადება გააკეთა, უყურადღებოდ რომ არ უნდა დარჩეს.

...ოთარ კორღალიძის საფეხბურთო კარიერა ლამის ოცი წელიწადი გრძელდებოდა და სადაც კი უთამაშია (ლანჩხუთის „გურია", ქუთაისის „ტორპედო", თბილისის „დინამო", გურჯაანის „ალაზანი"), ყველგან გამორჩეული მოთამაშე იყო; ათი წელიწადია, რაც სამწვრთნელო ასპარეზზეა და ამ შემთხვევაშიც ვერავინ იტყვის, დამწყები სპეციალისტიაო. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ კაცი ასეთ „ხმაურიან" განცხადებებს, ტყუილუბრალოდ არ გააკეთებს. წესითა და რიგით, „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის ბრალდებებს... შესაბამისმა სამსახურმა პასუხი უნდა გასცეს; ეს შესაბამისი სამსახური კი... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო და სადამკვირვებლო კომიტეტია; ანუ, მართლაც, ძალიან გვაინტერესებს, თუ რა რეაგირებას მოახდენს ეს კომიტეტი და პირადად ხელმძღვანელი (**ამირან კაჭახიძე**) ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გუნდის მთავარი მწვრთნელის სიტყვებზე. ახლა კი უკომენტაროდ გთავაზობთ „ოლიმპი"-"ვიტ ჯორჯიას" მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ოთარ კორღალიძის „ბრალდებათა ნუსხას":

„ქართული ფეხბურთი ამ დღეში რომ იმყოფება, მსაჯების ბრალია!", „მსაჯები ყველა თამაშს კლავენ!", „ჩემპიონატში თუ რამ ცუდი ხდება, სწორედ მსაჯები იწყებენ, თან განსაკუთრებით გამოცდილი მსაჯები სცოდავენ!", „მსაჯის მიკერძოებასა თუ შეცდომას ჟურნალისტი ვერ დაინახავს - ამას, მხოლოდ მწვრთნელის თვალი ამჩნევს!", „ჩვენ თამაშებზე მსაჯები სპეციალურ დავალებას ასრულებენ - „დინამოსთან" მატჩში გიორგი ვადაჭკორიამ ეს ჩინებულად შეასრულა!", „იმავე „დინამოსთან" მატჩში ჩვენ ფეხბურთელს აკინოს ფეხებში ორჯერ მოარტყეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მსაჯს ჯარიმა არ დაუნიშნავს!", „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ვინც მოვა, ამ საკითხს მიხედავს, თორემ მსაჯები ყველა თამაშს კლავენ!"

## ბრაზილიური პროექტის ფიასკო?

ყველას კარგად გახსოვთ, თუ რა აჟიოტაჟი იყო ამ ზაფხულს რუსთავის „ოლიმპში" ბრაზილიელი ფეხბურთელების ჩარიცხვასთან დაკავშირებით. ბოლო-ბოლო, ბრაზილიური „ატლეტიკო პარანენსეს" ერთდროულად ხუთი ფეხბურთელი საქართველოში ჩამოვიდა და რუსთავულმა კლუბმა მათი წარდგენის საზეიმო პრეზენტაციაც მოაწყო. თუმცა, პრეზენტაციამდე ბრაზილიელები ნელ-ნელა უშინაურდებოდნენ ახალ გარემოს და ძალიან მალე გაირკვა, რომ ამ ხუთიდან სამი კარგი ფეხბურთელია, ერთს... არა უშავდა, აი, მეხუთე კი აშკარად სუსტად გამოიყურებოდა. თან, ყველაზე უცნაური ის იყო, რომ სწორედ ამ მეხუთეს, - **ჩოკოს** ჰქონდა შთამბეჭდავი „სივი"! სამწუხაროდ, ჩოკო ვერა და ვერ „გაიხსნა" - ჯერ **ვარლამ კილასონიამ**, მერე კი ოთარ კორღალიძემ, ახალგაზრდა ბრაზილიელს რამდენიმე შანსი მისცეს, მაგრამ განსაკუთრებული მაინც ვერავინ ვერაფერი დავინახეთ; „არა უშავდაო", რომ ვთქვით, ცენტრფორვარდი **ჯონათასი** იყო - ერთი-ორ მატჩში „მოინდომა", მაგრამ, ჩოკოს მსგავსად, ქართველ ფეხბურთელებს დიდად ვერ ჯობდა. აი, დანარჩენმა სამმა კი, აშკარად გაამართლა: ცენტრალურმა მცველმა **ფრაგამ**, მარჯვენა გარემარბმა **ჯერონიმომ** (მარცხნივაც რომ შეუძლია თამაში!) და, რაღა თქმა უნდა, **აკინომ**, ჩვენმა გაზეთმა აგვისტოში თვის საუკეთესო ფეხბურთელად რომ დაასახელა.

წინა ტურში, „დინამოსთან" მატჩის მეორე ტაიმში „ოლიმპში" კიდევ ერთი ბრაზილიელი გამოჩნდა - ახალგაზრდა ფორვარდი **ედი სალესი**. ახალი გარემო, თანაგუნდელებთან შეუთამაშებლობა, აკლიმატიზაცია, წვიმიანი ამინდი (!) - „ყველაფერი" გავითვალისწინეთ და სალესის სადებიუტო 45 წუთს კრიტიკული შეფასებაც არ მივეცით; აი, „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში კი სალესი უკვე ძირითადში ვიხილეთ, მაგრამ, რა ხეირი - 45 წუთის განმავლობაში ცენტრფორვარდს, მეტოქის კარში დარტყმას ვინ ჩივის, ხეირიანად ბურთიც არ მიუღია! ანუ, სავსებით ლოგიკური ჩანდა კიდეც ოთარ კორღალიძის გადაწყვეტილება, როცა უჩვეულოდ პასიური სალესი შესვენებაზე გამოცვალა. მით უფრო, რომ ფართოდ რეკლამირებული ბრაზილიელის ნაცვლად მოედანზე შემოსულმა კიდევ ერთმა ახალწვეულმა გიორგი ჭედიამ ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დატოვა. ეგ კი არა, სულაც მატჩის გმირიც შეეძლო გამხდარიყო - ორჯერ ხელსაყრელ პოზიციაზეც აღმოჩნდა...

..."ოლიმპში" ამჟამად ექვსიდან... სამი ბრაზილიელიღა დარჩა: ჩოკოს, კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ, ჯონათასი კი ორი კვირით გამგზავრებულა სამშობლოში და არ არის გამორიცხული, აღარც ჩამოვიდეს; უახლოეს დღეებში საზეიმოდ თუ არა, „თბილად და ტკბილად" დაემშვიდობებიან სალესსაც...

ისე, ოთარ კორღალიძის მდგომარეობაშიც უნდა შევიდეთ; კალენდარი ისეა შედგენილი, ყოველ მეხუთე-მეექვსე დღეს მატჩი არის; ჰოდა, ახალწვეულების „გასინჯვა-საქმეში ნახვაც" ... უშუალოდ ოფიციალურ შეხვედრაში რომ მოუწევს მთავარ მწვრთნელს (თან, „დინამოსთან" და „ვიტ ჯორჯიასთან"), ცოტა არ იყოს, არასოლიდურად მოჩანს. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ უკვე შვიდი ტური ჩატარდა და „ოლიმპის" დაკომპლექტება... კიდევ გრძელდება. ჰო, თითქმის ყველა მატჩში კორღალიძის გუნდში ახალწვეული უნდა ვიხილოთ, არადა, ფეხბურთელების ერთმანეთში შესათამაშებლად დროც გადის და ამასობაში კონკურენტებიც მიუახლოვდნენ...

დაბოლოს, „ბრაზილიელების თემაზე" - ჩვენს ჩემპიონატში ზამთრის პაუზა რომ გამოცხადდება, სასურველი ფეხბურთელის ჩამოსაყვანად ბრაზილიაში ოთარ კორღალიძე თვითონ ჩავა... ასეც უნდა იყოს: მწვრთნელმა საკუთარი გემოვნებით უნდა შეარჩიოს მისთვის სასურველი ფეხბურთელი! თორემ, ჩვენთან ხომ ტრადიციასავით დამკვიდრდა: მოუყვანენ მწვრთნელს ამა თუ იმ ფეხბურთელს და სანამ ამ მოთამაშის „ავკარგიანობა" დადგინდება, ძვირფასი ფულებიც გაფრინდება. თან, მთავარიც არ დაგვავიწყდეს - ნებისმიერ შემთხვევაში შედეგზე პასუხს ხომ მწვრთნელი აგებს...

## კლასის დადასტურება

„დინამოს" ველარავინ აჩერებს - **კახა კაჭარავას** გუნდმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით! თან, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, სად და ვისთან მოიგებ? ჰო, ახალი რა უნდა ვთქვათ: ზუგდიდში თამაში ნებისმიერ გუნდს უჭირს და გამონაკლისი არც „დინამო" იყო; მაგრამ ამჯერად სტუმრებმა მაღალი კლასის ხარჯზე შეძლეს და მასპინძლებს სასტიკი მარცხი აგემეს! ისე, „კლასი" შემთხვევით არ გვიხსენებია - „ბაიასთან" შეხვედრაში „დინამომ" შვიდი მომენტი შექმნა და აქედან... ექვსი გამოიყენა; თითქმის იგივე სიტუაცია იყო წინა ტურშიც, როცა კაჭარავას გუნდმა ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან შეხვედრაში ხუთიდან... ოთხი მომენტი გოლად აქცია; არადა, გავიხსენოთ, სულ რაღაც ერთი-ორი თვის წინ „დინამო" სწორედ ამ კომპონენტში მოიკოჭლებდა.

..."ბაიასა" და „დინამოს" პირველი ტაიმის შემდეგ, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ მატჩი მასპინძელთათვის ასეთი სავალალო შედეგით დასრულდებოდა. **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობაც გაუწია ფავორიტ-მეტოქეს და პირველ ტაიმში რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ „დინამოს" მეკარე **გიორგი ლორია** საიმედოდ თამაშობდა. აი, მეორე ტამში კი სტუმართა მაღალმა საშემსრულებლო ოსტატობამ და ჩინებულმა ფიზიკურმა მომზადებამ თავი იჩინა; მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა **ალექსანდრე კოშკაძემ**, ზედიზედ მეორე შეხვედრაში „დუბლი" რომ შეასრულა; ასევე ორი გოლი გაიტანა **გიორგი მერებაშვილმა**, თან, „დინამოს" ტრავმამოშუშებულმა ლიდერმა ორივეჯერ ეფექტურად გაიტანა; სასიხარულოა, რომ გოლის „გემო" გაიხსენა **მათე ვაწაძემ** - ახალგაზრდა ფორვარდმა „დუბლის" შესასრულებლად რვა წუთი იმყოფინა! ნურც სხვა დინამოელებს დავუკარგავთ გარჯას - თუნდაც, გუნდის კაპიტან **ლევან ხმალაძეს**, ყველა მატჩში ერთნაირი წარმატებით რომ ასპარეზობს. სხვათა შორის, დინამოელები გატანილი გოლით თანაგუნდელ **გიორგი ნერგაძესაც** „ულოცავდნენ", ვისაც მატჩამდე ერთი დღით ადრე ვაჟი შეეძინა. რაც მთავარია, გუნდმა ეს წარმატება... მთავარ მწვრთნელსაც მიულოცა - 19 სექტემბერს კახა კაჭარავას დაბადების დღე ჰქონდა!

...ზუგდიდში ფეხბურთი რომ უყვართ და იციან, არახალი ამბავია; აბა წარმოიდგინეთ, სხვაგან სად მოხდებოდა, რომ 0:6-ის მერე, სტუმართა გუნდი ტაშით გაეცილებინოთ; იმედი დავიტოვოთ, რომ ბესიკ შეროზიას ახალგაზრდული გუნდი მალე დაივიწყებს „დინამოსთან" დიდი ანგარიშით მარცხს. არადა, „ბაიაში" არაერთი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობს, თუნდაც, 17 წლის **ნიკა ძალამიძე**, ვინც კვლავაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა...

**გია ტუხაშვილი**

## VII ტურის სიმბოლური ნაკრები




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 16 |
| 2. ზესტაფონი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 15 |
| 3. დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 18-4 | 13 |
| 4. სპარტაკი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-12 | 12 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 3 | 1 | 7-7 | 12 |
| 6. სამტრედია | 7 | 3 | 0 | 4 | 9-14 | 9 |
| 7. გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 11-10 | 7 |
| 8. სიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-9 | 5 |
| 9. ბაია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-14 | 4 |
| 10. ლოკომოტივი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-11 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გაგუა (გაგრა) | 6 |
| აკინო (ოლიმპი) | 5 |
| მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| კოშკაძე (დინამო) | 4 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 4 |

**გადატანილი მატჩი**

**22 სექტემბერი, სამშაბათი**

სიონი-დინამო

**მომდევნო ტური**

**25 სექტემბერი, პარასკევი**

დინამო-ლოკომოტივი

ზესტაფონი-ოლიმპი

ვიტ ჯორჯია-ბაია

**26 სექტემბერი, შაბათი**

სპარტაკი-გაგრა

სიონი-სამტრედია'

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# სასურველი მეტოქე

დღევანდელი მატჩის შემდეგ ყველა გუნდს თამაშების ერთნაირი რაოდენობა დაუგროვდება; ანუ, ვერც ერთ გუნდზე ველარ ვიტყვით: ეს - პოტენციური ლიდერია, ის - სახიფათო ზონიდან თავს დააღწევს და ასე შემდეგ...

„სიონისა" და „დინამოს" მატჩი მეორე ტურში უნდა ჩატარებულიყო; მაგრამ, ალბათ, გახსოვთ, თუ რა ვნებათაღელვა გამოიწვია ამ შეხვედრის გადადება-არგადადებამ; უფრო ზუსტად, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა კატეგორიულად მოითხოვდა ამ მატჩის მოგვიანებით ჩატარებას - იმ პერიოდში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ხომ ევროპის ლიგაზე ასპარეზობდა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს პროფესიულმა ლიგამ „დინამოს" და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ინტერესები გაითვალისწინა და ის შეხვედრაც გადადო. არადა, იმ დროისათვის მასპინძელთათვისაც მისწრება იყო... ერთი თამაშის გამოტოვება! შეგახსენებთ, რომ ბოლნისურ კლუბში ახალი სეზონის დაწყების წინ სერიოზული ცვლილებები მოხდა; რაც მთავარია, ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა - **თემურ მახარაძე**, ვისაც ფეხბურთელების „გასაცნობად" ორი-სამი დღე თუ ჰქონდა. სწორედ შეუთამაშებლობის გამოც იყო, რომ ბოლნისში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა მახარაძემ პირველივე საშინაო მატჩი დიდი ანგარიშით (1:4) წააგო ცხინვალის „სპარტაკთან". მომდევნო შეხვედრა „სიონს" კი „დინამოსთან" უწევდა და აქედან გამომდინარე, მახარაძის გუნდისთვისაც სასარგებლო პაუზა გამოვიდა.

მარცხა **ანდრეი ჩერნიშოვის** „დინამო"...

...1995 წლიდან (ანუ, როცა „სიონი" უმაღლეს ლიგაში გამოჩნდა) მოყოლებული, ვინ მოთვლის, თუ რამდენ ფეხბურთელს უთამაშია სხვადასხვა დროს ორივე გუნდის შემადგენლობაში; „სიონში" დღესაც არაერთი ფეხბურთელია, წლების განმავლობაში „დინამოში" რომ ასპარეზობდა: **ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ნოზაძე, ირაკლი ვაშაკიძე, რევაზ ქემოკლიძე, მიხეილ ბობოხიძე, ზვიად სტურუა**; აი, „დინამოს" დღევანდელ შემადგენლობაში კი მხოლოდ ორი ფეხბურთელია, თავის დროზე „სიონში" რომ აქვს ნათამაშები - **ალექსანდრე კოშკაძე** და **ლევან ხმალაძე**.

... არავისთვის უცხო არ არის ის გარემოება, რომ დღევანდელ მეტოქეებს ამ სეზონში აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვთ. მიზეზთა გამო, სამწუხაროდ, „სიონის" წინაშე მართლაც მოკრძალებული ამოცანა იქნება; ისე, იმაში კი ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით გუნდს ქვედა ლიგაში დაქვეითების საფრთხე არ დაემუქრება. უბრალოდ, გამოცდილ მწვრთნელსაც კი ახალ გარემოსთან შესაგუებლად დრო სჭირდება, ისე, როგორც გუნდის უამრავ ახალწვეულს - ერთმანეთთან შესათამაშებლად. აი, „დინამოს" მიზანი კი ნებისმიერი სეზონის დაწყების წინ მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა! ევროპის ლიგა ვახსენეთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ერთდროულად ორ ფრონტზე ასპარეზობამ პლუს წამყვანი ფეხბურთელების პერმანენტულმა ტრავმებმა, „დინამოს" ასპარეზობას გარკვეული დაღიც დაასვა. თუმცა, **კახა კაჭარავამ** შესძლო და საკუ-



თემურ მახარაძე

...დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს ოცდამეთექვსმეტედ უნდა შეხვდნენ და აშკარაზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი უპირატესობა აქვს „დინამოს". თავად განსაჯეთ: უმაღლეს ლიგაში თოთხმეტწლიანი დაპირისპირების პირობებში „დინამომ" 30 მატჩი მოიგო 3 ფრედ ითამაშა და მხოლოდ 2 წააგო! აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბოლნისელებმა პირველად „დინამოს" დამარცხება 2004 წელს შესძლეს, მანამდე კი რვა სეზონის (!) განმავლობაში ამას ვერაფრით ახერხებდნენ. ალბათ, ისიც საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ „სიონის" იმ მართლაც ისტორიული გამარჯვების შემოქმედი... დღესაც ბოლნისშია! დიახ, „სიონის" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე იყო...

2003/04 წლების სეზონში „სიონი" ძალიან ახლოს იყო, ისტორიაში პირველად ოქროს მედლებს დაუფლებოდა, თუმცა „ოქროს მატჩში" დამარცხდა „ვიტ ჯორჯიასთან". სამაგიეროდ, 2005/06 წლების სეზონში „სიონმა" შესძლო და საქართველოს ჩემპიონი გახდა. სწორედ იმ პერიოდს „მიეკუთვნება" კიდეც „სიონის" მეორე გამარჯვება ყველაზე უხერხულ მეტოქესთან - **კახა ცხადაძის** განწრთნილმა გუნდმა შეხვედრის მინურულს **კოკა მიკუჩაძის** ერთადერთი გოლის წყალობით დაა-

თარ გუნდს საჭირო მოტივაცია დაუბრუნა; ჰოდა, შედეგიც სახეზეა - ზედიზედ ორი შთამბეჭდავი გამარჯვება (ჯერ - ერთპიროვნულ ლიდერთან, მერე - სტუმრად, ზუგდიდში)! ეგ კი არა, თუ „დინამო" დღევანდელ შეხვედრასაც მოიგებს, ქულებით „ოლიმპს" გაუთანაბრდება და ბურთების უკეთესი სხვაობით, სულაც პირველ ადგილზე გადაინაცვლებს; ანუ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ პირველად ამ სეზონში, ჩემპიონატს ახალი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავდეს!

...წინა ჩემპიონატში „დინამომ" ორჯერ შესძლო „სიონის" დამარცხება, მესამე წრის შეხვედრა კი ფრედ (1:1) დასრულდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სიონს" სამივე შემთხვევაში **ოთარ კორღალიძე** თავკაცობდა, „დინამო" კი პირველ და მეორე მატჩში **რაინერ ცობელმა** გამოიყვანა, მესამეში - კახა კაჭარავამ; აი, რაც შეეხება თემურ მახარაძისა და ... „დინამოს" დაპირისპირებებს, ეს, ალბათ, ცალკე და ვრცელი თემაა. მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მახარაძემ წინა სეზონშიც „მოასწრო" და „დინამო" დაამარცხა, ოღონდ „ზესტაფონის" მწვრთნელის რანგში. საერთოდაც, საქართველოში, ალბათ, არც ერთ სხვა მწვრთნელს არ ექნება ისეთი შედეგი „დინამოსთან" დაპირისპირებაში, როგორიც მახარაძეს...

**გია ტუხაშვილი**

დინამო

## გიორგი ნერგაძე
# ბოლნისში თამაში ყოველთვის რთულია

**გიორგი ნერგაძე უკვე წლებია, „დინამოს" ფეხბურთელია, მაგრამ ბოლო წლებშიღა იქცა დედაქალაქელთათვის შეუცვლელ ფიგურად. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს - მას შესაძლებლობების გამოვლენაში ხელი უპირველესად ტრავმებმა შეუშალა. ამჟამად იგი „დინამოს" ერთ-ერთი გამორჩეული წევრია, რიგიან ფორმაშია და ბოლნისური მატჩისთვის ემზადება. გიას „სიონთან" დღევანდელ დაპირისპირებაზე გავესაუბრეთ.**

**- როგორც ჩანს, „დინამო" ტურიდან ტურამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს.**

- ნამდვილად ასეა და ეს გუნდის თითოეული წევრის დამსახურებაა. ფეხბურთელი ფორმაში თამაშებით შედის, ჩვენ კი, ვფიქრობ, კონკურენტებზე უკეთ გამოვიყურებით.

**- ყველაზე კარგად რომელი თამაში ჩაატარეთ?**

- პირადად ჩემთვისაც და გუნდისთვისაც გამოსარჩევი იყო ბოლო ორი გამარჯვება. ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, „ოლიმპისა" და შინ ყოველთვის ძლიერად მოთამაშე ზუგდიდელების განადგურება მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ყოველივე ამის შემდეგ „დინამოში" ამაღლებული განწყობაა და ყველანი მორიგი გამარჯვებისთვის ვემზადებით.

**- შესაძლებლად მიგაჩნიათ ამჯერადაც დიდი ანგარიშით მოგება?**

- ეს ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ბოლნისში თამაში ყოველთვის რთულია, „სიონისგან" დიდ წინააღმდეგობას ველით. ჯერჯერობით, ეს გუნდი აუტსაიდერთა შორისაა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. „სიონი" გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. თემურ მახარაძის განკარგულებაში მაღალი დონის შემსრულებლები არიან და დარწმუნებული ვარ, ბოლნისელები სატურნირო მდგომარეობას მალე გამოასწორებენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გაათმაგებული მონდომებით თამაშობს.

**- „ცრვენა ზვეზდასგან" მიღებული შოკიდან ეტყობა სრულად გამოხვედით...**

- ის ძალიან მწარე მარცხი იყო, მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ და მომავალი წარმატებებზე ვიზრუნოთ. ჩემპიონატის სტარტზეც გვქონდა მცირე პრობლემები, მაგრამ დღეს ყველაფერი შესანიშნავადაა.



**- ზესტაფონში განცდილი მარცხი რამ განაპირობა?**

- პირველი ტაიმი ისე წარიმართა, არაფერი მოასწავებდა არა 1:4-ს, არამედ საერთოდ, „დინამოს" დამარცხებას. პირველმა მიღებულმა ბურთმა გაგვტეხა და გუნდი აირია. საბედნიეროდ, მსგავსი რამ მას შემდეგ აღარ მოგვსვლია. ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა, რისთვისაც ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**- „სიონის" წინააღმდეგ ჩატარებული მატჩებიდან რომელიმეს ხომ არ გამოარჩევთ?**

- „ბორჯომში" განათხოვრებით ვთამაშობდი, ბოლნისში 1:0 რომ მოვიგეთ, გამარჯვების გოლი მე გავიტანე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიონი

## ბექა ნოზაძე
# ჩვენს ძალას მალე დაინახავთ

**ბექა ნოზაძე „სიონში" ცოტა ხნის წინ ჩაირიცხა, ტრავმის შემდეგ საკმაო დრო გაუცდა და ვარჯიში სულ ახლახან განაახლა. ბოლნისელთა შემადგენლობაში დებიუტი მას ჯერ არ ჰქონია. ბექა ვერც „დინამოს" დაუპირისპირდება, თუმცა „სიონის" შემადგენლობაში ძმებ ნოზაძეებს ერთად სულ მალე ვიხილავთ. „დინამოსთან" დაპირისპირების წინ ბექა ოპტიმისტურადაა განწყობილი.**

**- „სიონი" დღეისათვის მერვე ადგილზეა. როგორ ფიქრობთ, ეს პოზიცია გუნდის პოტენციალს შეესაბამება?**

- არავითარ შემთხვევაში. „სიონს" ამაზე გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია, რაშიც მალე ყველა დარწმუნდება. ცუდ სტარტს კი თავისი მიზეზები აქვს. გუნდში ბევრი ახალწვეული და ახალი მწვრთნელია, ამიტომაც შეთამაშებას გარკვეული დრო სჭირდება. სულ ცოტა ხანიც და „სიონი" ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდება, ჩვენს ძალას გულშემატკივარი მალე დაინახავს. ყველა თამაშს ტრიბუნიდან ვუყურებ და აქედან გაცილებით კარგად ჩანს ჩვენი გუნდის პოტენციალი.

**- თქვენ გარდა, „დინამოსთან" შეხვედრას ტრავმის გამო რომელიმე სიონელი ხომ არ დააკლდება?**

- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიხეილ ბობოხიძე ვერ ითამაშებს. მას არცთუ სერიოზული ტრავმა აქვს და მალე დაგვიბრუნდება. საბედნიეროდ, სხვები სრულ მზადყოფნაში არიან და „დინამოს" წინააღმდეგ ბოლომდე დაიხარჯებიან.

**- „დინამო" ბოლნისში დადებით შედეგს ყოველთვის რთულად აღწევს, თუმცა თბილისელებმა ბოლო მატჩები დამაჯერებლად მოიგეს, მაშინ როცა „სიონს" ჯერჯერობით, არასახარბიელო შედეგები აქვს...**

- შეიძლება, ერთი შეხედვით მართლაც ისე ჩანდეს, რომ „დინამო" „სიონსაც" იოლად გაუმკლავდება, მაგრამ მე და ჩემი თანაგუნდელები ასე არ ვფიქრობთ. მეტოქეს დიდ პატივს ვცემთ, „დინამო" ამ სეზონში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ „სიონმა" ქულები უკვე მრავლად ანიავა და დაკარგულის ანაზღაურება „დინამოს" დამარცხებით უნდა დავიწყოთ.

**- ლაშა ნოზაძე „სიონის" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და ალბათ, ერთი სული გაქვთ, მოედანზე ძმასთან ერთად როდის გახვალთ.**

- ნამდვილად ასეა. უცნაურია, რომ დიდ ფეხბურთში ერთ გუნდში აქამდე არასოდეს გვითამაშია და მხოლოდ ახლა შევძლებთ ამ სურვილის ასრულებას.

**- „დინამოსთან" გამართული რომელი თამაში გახსენდებათ ყველაზე კარგად?**

- „ზესტაფონში" ვთამაშობდი, გუნდს თემურ მახარაძე წვრთნიდა, „დინამოს" ქუთაისში 1:0 მოვუგეთ მოლდოველი სერგეი ნუდნის შესანიშნავი „მაკრატელათი".

**ლევან ჯანეზაშვილი**

საეჭვო ამბავი

# ბარსელონა თბილისში პასუხს არაფერზე აგებს?

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამა

პირველადი სარეგისტრაციო ბარათი

სახელი, გვარი ..........
დაბადების თარიღი ..........
მისამართი ..........
ტელეფონი ..........
მოქმედი საფეხბურთო სკოლა/კლუბი ..........

სიმაღლე ..........
წონა ..........
რომელი ფეხით თამაშობს ..........
დაბადების მოწმობის ნომერი ..........

**მშობლის თანხმობა:**

თანახმა ვარ, ბავშვმა მიიღოს მონაწილეობა ს.კ. „ბარსელონას" ტალანტების მოძიების პროგრამაში, ამ პროგრამის ფარგლებში თამაშებისა და ვარჯიშების დროს მიღებული ტრავმის შემთხვევაში კლუბს ვუხსნი ყოველგვარ პასუხისმგებლობას და არ მოვითხოვ რაიმე ფორმით ფულად ან სხვა სახის კომპენსაციას, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა ..........

...ეს განცხადება რედაქციაში ერთ-ერთი ნორჩი ფეხბურთელის მშობელმა გამოგვიგზავნა. მისი თქმით, „ბარსელონადან" ჩამოსული სკაუტები ქართულ საფეხბურთო სკოლებში დაიარებიან და ბავშვების მშობლებს ამ ტექსტს ურიგებენ.

როგორც განცხადების მომწოდებელმა გვითხრა, აღნიშნული ტალანტების მოძიების პროგრამა თბილისში მიმდინარეობს და სასინჯ ვარჯიშებს ბარსელონელი სელექციონერები ატარებენ. აქედან გამომდინარე, საოცარია, რატომ იხსნიან ისინი ბავშვის დაშავებაზე პასუხისმგებლობას. ამას გარდა, ისიც საკითხავია, ესპანელები მხოლოდ საქართველოს „დონის" ქვეყნებში იქცევიან ამგვარად თუ თვით „ბარსელონაშია" ამგვარი რამ მიღებული?

კატალონიური გრანდის რეპუტაციაში ეჭვის შეტანის უფლება ნამდვილად არ გვაქვს, აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენთან აქვს ასეთ მიუღებელ გამონაკლისს ადგილი.

მშობლები არჩევანში, რაღა თქმა უნდა, თავისუფალნი არიან, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მათი უმრავლესობა არ გაბრიყვდება და განცხადების ტექსტიდან ისეთივე სწორ დასკვნას გამოიტანს, როგორიც „ლელოს" ინკოგნიტო მკითხველმა გამოიტანა.

დროის სიმცირის გამო, ამ თემაზე მეტი ინფორმაციის გაგება ვერ მოვასწარით, ამიტომაც აღნიშნულ საჭირბოროტო ამბავს მალე აუცილებლად მივუბრუნდებით. ჯერჯერობით კი ხელთ მხოლოდ ფარატინა ქაღალდი გვიპყრია, რომელზეც არც განმცხადებლის კოორდინატებია დატანებული და არც სხვა დამატებითი ინფორმაცია.

ვიმედოვნებთ, მალე ამ სკაუტების ვინაობასაც დავადგენთ და მათი ქართველი პარტნიორებისაც. ამაში კი აუცილებლად დაგვჭირდება მშობლების დახმარება, რომლებიც ამ პროგრამის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდიან.

ვეჭვობთ, ფეხბურთის ფედერაციაში ახლა ვინმეს ამ საკითხისთვის ეცალოს, მაგრამ იქაც შევეცდებით ამ საქმისთვის ნათელის მოფენას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

არჩევნების გამო

# მოვიდა მეტყევე და ორივე გამოგვყარა...

## ძველი ანეკდოტის საფეხბურთო ინტერპრეტაცია

ძველ ანეგდოტს გაგახსენებთ, წითელარმიელის ჩანაწერების სახით რომ გახდა ცნობილი:

პირველი დღე: - **შევვარდით ტყეში და თეთრგვარდიელები გავყარეთ.**

მეორე დღე: - **შემოვარდნენ თეთრგვარდიელები და ტყიდან გამოგვაგდეს.**

მესამე დღე: - **ტყე ისევ დავიკავეთ.**

მეოთხე დღე: - **თეთრგვარდიელებმა შემოგვიტიეს და გამოგვაგდეს.**

მეხუთე დღე: - **მოვიდა მეტყევე და ორივე გამოგვყარა.**

ქართულ ფეხბურთსაც ასეთი პერსპექტივა ელის - სანამ ამ სამყაროში „წითელ“ და „თეთრგვარდიელები“ ერთმანეთს ჭამდნენ, მოვიდა „მეტყევე“ და ორივე გაყარა. არადა, არსებობდა იმედი, რომ ეს ორი სამყარო გაერთიანდებოდა. **რევაზ არველაძისა** და **უჩა უგულავას** მონდომებით, **გიორგი ნემსაძის** უახლოესი მეგობარი, საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დანიშნეს. პირველი შედეგი - პალანგის საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ჭაბუკებმა მშვენიერი გამარჯვება გვაჩუქეს. დევდარიანმა ტყუილად კი არ აღნიშნა, ძალა ერთობაშიაო - ფეხბურთის ფედერაციამ და ოპოზიციამ ერთობლივი მუშაობის შედეგებით ერთად ისიამოვნეს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თურქებთან გამარჯვებასაც მაშინ ჩაეყარა სათავე, როცა იმავე არველაძე-უგულავას მონდომებით, ფედერაციის ოპოზიციონერი **კახა ცხადაძე** 21-წლამდელთა მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს. მართალია, მერე აზერბაიჯანში წასული ცხადაძე **ოთარ გაბელიამ** შეცვალა, მაგრამ ორივე ერთი გუნდის წევრი გახლდათ, მუშაობაც ერთად დაიწყეს და გუნდმაც პერსპექტივა დაგვანახვა.

სხვათა შორის, სწორედ დაპირისპირების ალმოსაფხვრელად პირველი ნაბიჯი პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა**, გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** და გიორგი ნემსაძის პარტნიორმა „ფოლკსვაგენმა“ გადადგეს - 2006 წელს 5 წლის განმავლობაში მივიწყებული საქართველოს სუპერთასი ალადგინეს.



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ეპიზოდები იყო, დაპირისპირებულ ძალთა შორის მასშტაბური თანამშრომლობა კი, მიუხედავად გულშემატკივრის სურვილისა, ვერ მოხერხდა. არადა, ორი თვის წინ ვრცელდებოდა ხმები, თითქოს, ფეხბურთის ფედერაცია ოპოზიციასთან დიალოგს აპირებდა. ამის თაობაზე მასალის მომზადებაც გადავწყვიტეთ, მაგრამ „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებელმა **ლევან ყიფიანმა** და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **რევაზ არველაძემ** ინფორმაცია არ დაადასტურეს. და ეს მაშინ, როცა ორივე მხარე თანამშრომლობაზე ლაპარაკობდა. ან სხვა არ უნდა ეთქვათ, როცა ერთმანეთთან წლების მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებთ?

ვერც ფედერაციამ გამოიყენა და ვერც ოპოზიციამ. ისინი ბოლომდე საქართველოში დამკვიდრებული ცრუ პოლიტიკური ცნობიერებით მოქმედებდნენ და ერთმანეთს სიტყვას არ არჩენდნენ. ფედერაცია სხვისი „კონსტრუქციული წინადადების“ პასიურ მოლოდინში ჯიუტად იმეორებდა - ოპოზიციის ნებისმიერ კონსტრუქციულ წინადადებას სიამოვნებით განვიხილავთო. რეალურად კი მოწინააღმდეგის გულის მოლბობას ვერ ახერხებდა.

ოპოზიცია ჯიუტად ითხოვდა პოლიტიკის მარწუხებში მოქცეული ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაყენებას, მაგრამ ეფექტური კომუნიკაციის დამყარება ვერა და ვერ შეძლო. არადა, პოლიტიკა მოლაპარაკებათა ხელოვნებაა. კარგი და ცუდი ადამიანები ხომ ყველგან არიან - პოზიციაშიც, ოპოზიციაშიც და ფედერაციაშიც. ვთქვათ, იგივე უგულავა, რომელმაც ადამიანური ურთიერთობებით მოწინააღმდეგის პატივისცემა დაიმსახურა. შეგახსენებთ, რომ მან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დატოვა.

დაპირისპირება ორი ჯიუტი ბავშვის ჩხუბს ჰგავდა, სადაც ასეთი პრინციპია - „მამაჩემი უფრო მაგარია“. ისევ ორი მხარე, ისევ დაპირისპირება, ისევ ერთმანეთის ლანძღვა, ისევ გათიშულობა... ამ ბავშვურ კინკლაობაში არ გამოჩნდა შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკების სურვილი.

გავიდა დრო, ფედერაციის პრეზიდენტი გადააყენეს, მაგრამ ორივე მხარე წაგებული დარჩა: სანამ ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, მეტყევე მოვიდა და ფეხბურთიდან ორივე გაყარა. ეს საფეხბურთო სამყაროს გათიშულობისა და დაპირისპირების ლოგიკური დასასრულია, მაგრამ „მეტყევის“ გამოჩენა უნიკალურ შანსია. საფეხბურთო სამყარო ახლა მაინც უნდა გაერთიანდეს.

გადაცემა „გოლში“. ლევან ყიფიანისა და **შოთა არველაძის** პირდაპირ ეთერში დაპირისპირებისას, ამ უკანასკნელმა გენიალური რამ თქვა - ჩვენ უნდა ვიქცეთ ერთ მხარედ! ყველაფერი გენიალური მარტივია.

ახლა მაინც უნდა მიხვდეს ეს სამყარო, რომ სანამ კიდევ არის დრო და მეტყევეს ფეხბურთიდან ყველა ერთად არ გაუძევებია, მანამდე ერთიანობა საუკეთესო გამოსავალია. ნაკრების, კლუბების, ჩვენი ინფრასტრუქტურის, ბავშვთა და, ზოგადად, ქართული ფეხბურთის მდგომარეობა სხვა არჩევანს არ ტოვებს.

დროა, ქართველებმა ერთმანეთთან და მოწინააღმდეგესთანაც კი სიყვარულით დალაპარაკება ვისწავლოთ, რადგან მიჰქრის დროის მატარებელი, რომელსაც ისედაც საკმაოდ ჩამოვრჩით. ფეხის კიდევ ერთი დაცდენა ქართულ ფეხბურთს ისტორიის კუთვნილებაში დატოვებს...

**მერაბ მამულაშვილი**

არჩევნების წინ

# გუცაევი ორ დღეში იტყვის, სიჭინავა დღეს...



ვლადიმერ გუცაევი

26 სექტემბერს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო დღეა. ოფიციალურად, ჯერ არ არის ცნობილი, რამდენი პერსონა მიიღებს მონაწილეობას 1-ელ ოქტომბრის „მარათონში“. ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს **ვლადიმერ გუცაევიც**. ეს არ არის ვარაუდი, ის რეალურად ფიქრობს არჩევნებში მონაწილეობაზე და გუშინ ეს თავადაც დაგვიდასტურა.

*„უკრაინიდან კვირას დავბრუნდი. არჩევნებში ჩავერთვები თუ არა? ვნახოთ... არ დაგიმალავთ და, ამაზე ვფიქრობ. ვითარებას გავეცნობი, ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და ორსამ დღეში საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებ. კანდიდატთა რეგისტრაცია შაბათს მთავრდება, ასე რომ, დრო ჯერ კიდევ არის“*, - განაცხადა გუცაევმა „ლელოსთან“ საუბარში.

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნებში გუცაევიც აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ კანდიდატურა კენჭისყრამდე ორი დღით ადრე მოხსნა.

რაც შეეხებათ სხვა კანდიდატებს. **მიხეილ ყაველაშვილი** თბილისში ამ დღეებში დაბრუნდება და, სავარაუდოდ, 26 სექტემბრისთვის რეგისტრაციასაც გაივლის.

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია **რევაზ არველაძესაც**. **ზვიად სიჭინავამ** კი დასავლეთი საქართველოს უკვე მოიარა და გუშინ თბილისში ჩამოვიდა. დღეს ის დედაქალაქსა და ახლომახლო რეგიონებში გამართავს შეხვედრებს. როგორც სიჭინავამ გვითხრა, „ჰოს“ ან „არას“ 22 სექტემბერს იტყვის. 22 სექტემბერი კი დღესაა. დიდი ალბათობით, პრეზიდენტის პოსტზე პირველი ოფიციალური კანდიდატი ფეხბურთის ფედერაციას სწორედ მისი სახით ეყოლება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი



გიორგი ადამია

# აზერბაიჯანში ვერ ვყოჩაღობთ

აზერბაიჯანული პრემიერლიგის მე-4 ტურში თოვუზში გამარჯვება მოიპოვა **კახა ცხადაძის „ინტერმა“**. ქართველი მწვრთნელის გუნდმა 2 500 გულშემატკივარს დასწყვიტა გული და „თურანი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა - 1:0. კარი მშრალად შეინახა **გიორგი ლომაიამ**, 90 წუთი ითამაშა **კახა მჟავანაძემ**, ხოლო **დავით ოდიკაძემ** მხოლოდ მატჩის ბოლო 6 წუთი ითამაშა.

ქართველთა კიდევ ერთი გუნდი „სტანდარდი“ შინ 1:2 დამარცხდა „ნეფთჩისთან“. „სტანდარდის“ დაცვის ხაზი მთლიანად ჩვენებურებითაა დაკომპლექტებული. ამჯერად **დავით ქიქველიშვილი** სათადარიგო იყო, სამაგიეროდ სასტარტოში იყვნენ გუნდის კაპიტანი **ლევან სილაგაძე**, **სერგი ორბელაძე** და **გიორგი სეთურიძე**. ორბელაძე 71-ე წუთზე **რეკელმემ** შეცვალა, სილაგაძემ კი პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.

„გაბალა“ „ხაზარს“ დაუზავდა - 1:1. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ **გოგა ბერაიამ** ითამაშა, **რევაზ გეწაძე** კი სათადარიგო იყო. ბერაიამ ყვითელი ბარათი მიიღო. „ქარვანი“ სტუმრად 0:1 დამარცხდა „მუღანთან“, **ალექსანდრე იაშკირველი** სათადარიგო იყო სტუმართა რიგებში, ხოლო **მიხეილ მესხი** მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა.

„ოლიმპიკისა“ „ბაქოს“ დერბიში „შაფას“ სტადიონზე სულ რალაც 400 მაყურებელი შეიკრიბა. „ოლიმპიკის“ სასტარტო შემადგენლობაში **რომან გოგინაშვილმა** და **ნუგზარ კვირტიამ** ითამაშეს, **რამაზ ჯაბნიძე** მე-80 წუთზე გამოჩნდა. გამარჯვებულთა რიგებში მატჩი დაიწყო **გიორგი ადამიამ**, 62-ე წუთზე ის თანამემამულე **ამირან მუჯირმა** შეცვალა.

ზაქათალაში „სიმურგმა“ 1 500 გულშემატკივრის თვალწინ „სიმურგმა“ 1:0 მოუგო „ყარაბახს“. 90 წუთი ითამაშა **კახა ჩხეტიანმა**, **რომან ახალკაცი** 56-ე წუთზე შეცვალეს, **დავით ბოლქვაძე** კი 68-ე წუთზე გამოჩნდა. **თემურ ლონლაძე** დისკვალიფიცირებული იყო. ქართველთა გუნდებიდან ყველაზე კარგად საქმე „ინტერს“ მისდის - 7 ქულით მესამეა, ამდენივე ქულით მე-4 ადგილზეა „სიმურგი“. ჯერჯერობით ყველა მატჩი წააგო „სტანდარდმა“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნების წინ



დავით უგრელიძე

# ამ მომენტისთვის შანსს ვერ ვხედავ

## ქომაგთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი აღშფოთებულია: ვინ მისცა ხელისუფლებას თავისი კაცის ასე უტიფრად დასმის უფლება?

**„ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი დავით უგრელიძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე გვესაუბრება. 1990 წელს ლანჩხუთის „გურიას" 25 წლის თავდამსხმელი ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი გახლდათ. სწორედ მისი და „გურიას" ფეხბურთელთა პრინციპულმა პოზიციამ განაპირობა 19 წლის წინანდელი ისტორიული გადაწყვეტილება. უგრელიძის თქმით, გულშემატკივრებისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა მიკიბ-მოკიბული ლაპარაკის უფლებას არ აძლევს.**

**- ბატონო დავით, 1-ელ ოქტომბერს ქართულ ფეხბურთს ახალი თავკაცი ეყოლება. გაქვთ დემოკრატიული არჩევნების იმედი?**

- პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მიმდინარე მოვლენებით აღშფოთებული ვარ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დანიშვნა და ხალხის იგნორირება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვუახლოვდებით იმ საშიშ ვითარებას, რომლის შედეგებიც ერთხელ ძალიან ძვირად დაგვიჯდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო კვლავ იმეორებს ძველ შეცდომას. ასეთი აღშფოთებული კარგა ხანია არ ვყოფილვარ. ორი წლის წინ, იმ ავადსახსენებელ 13 მაისსაც კი ორი დაპირისპირებული მხარე იყო. ახლა კი ყოველგვარი არგუმენტებისა და ხალხის აზრის გაუთვალისწინებლად პრეზიდენტად თავისი კაცის დასმა სურთ. გასაგებია, რომ სახელმწიფო ფეხბურთში საიმედო მოკავშირეს ეძებს, მაგრამ რა შუაშია ზვიად სიჭინავა? ამ კაცს ფეხბურთის სამყარო არ იცნობს, მაგრამ უცებ... პრესაში ვკითხულობ, რომ ეს კაცი ქართულ ფეხბურთს ჩაიბარებს.

**- ვერ გავიგე, მედიას საყვედურობთ, სიჭინავაზე რომ ვწერთ? რეალობაზე თვალები დავხუჭოთ?**

- მედია რა შუაშია, პირიქით, ბოლო დროს სწორედ მედიის დამსახურებაა, გულშემატკივარი კულუარულ ამბებს რომ იგებს. მე არა მედიაზე, არამედ იმ ხალხზე ვარ გაბრაზებული, რომელიც საზოგადოებისთვის უცხო ადამიანების „გაპიარებას" ცდილობს. გულწრფელად თქვით, საიდან იცით, რომ სიჭინავას პრეზიდენტობას უპირებენ?

**- რა არის დასამალი? ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისგან...**

- მეც მანდ ვარ. ვინ მისცა სახელმწიფოს თავისი კაცის ასე უტიფრად დასმის უფლება? ბოლოს და ბოლოს, საფეხბურთო სამყაროს აზრი არ აინტერესებთ? ეტყობა, ასეცაა.

**- თქვენ კონკრეტული მაგალითით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ სახელმწიფო საფეხბურთო საქმეებში ერევა?**

- ეს ლოგიკურად, ფაქტებიდან გამომდინარეობს. სიჭინავა ხომ საფეხბურთო სამყაროს ფავორიტი არ არის? ან როგორ იქნება, ნორმალურად არც იცნობენ. აბა, საიდან გაჩნდა ზუგდიდის „ბაიას" პრეზიდენტის კანდიდატურა და რატომ არ ჩანს საფეხბურთო სამყაროს ფავორიტი? იმიტომ, რომ უკვე წინასწარ ყველამ იცის - დამოუკიდებელი კანდიდატურის წამოყენებას აზრი არ აქვს!

**- თქვენი აზრით, საფეხბურთო სამყარო თავის კანდიდატურას ვერ წამოაყენებს?**

- გამორიცხული არ არის, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ საფეხბურთო საზოგადოებისთვის სასურველი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს. ყველამ კარგად იცის, რომ ეს იქნება არა არჩევნები, არამედ მორიგი დანიშვნა.

**- საფეხბურთო სამყაროს ნიჰილიზმი მიკვირს. ნუთუ ხელი ჩაიქნიეთ?**

- პირადად მე ვიცნობ ხალხს, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობა სურდათ, მაგრამ ვითარებას რეალურად აფასებენ და წინასწარ იციან, რომ განწირულები არიან. თუ ყველაფერი ისედაც ცნობილია, კანდიდატურას რატომ წამოაყენებენ? არჩევნები პირწმინდად რომ წააგონ და შერცხვნენ? რეალობას ყველა კარგად აფასებს.

**- რეალობა ერთია, საფეხბურთო საზოგადოების პოზიცია კი - მეორე...**

- მეც ამას ვამბობ, რომ უნდა ვიბრძოლოთ და ვილაპარაკოთ სიმართლე. მხოლოდ სიმართლე იქნება ჩვენი გამარჯვების საწინდარი და არა - ვითომ დიპლომატიური ლაპარაკი, რასაც, ჩემდა სამწუხაროდ, ბოლო დროს ვამჩნევ. თავის მოტყუებამ მიგვიყვანა დღევანდელ კრიზისამდე და დროა, ყველაფერზე გულახდილად ვილაპარაკოთ. ბევრი აღმაშფოთებელი რამ მახსოვს ფეხბურთიდან, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცდება. კიდევ ერთხელ იმეორებენ იმ შეცდომას, რამაც ასეთ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ეს პროცესები ქართულ ფეხბურთს სიკვდილს უქადის.

**- როგორ ფიქრობთ, ყრილობის ნაჩქარევად დანიშვნა რამ განაპირობა?**

- ალბათ იმის სურვილმა, რომ საფეხბურთო სამყაროს არჩევნებისთვის მომზადება ვერ მოესწრო. ნუთუ არ იყო შესაძლებელი ნორმალური ვადების დათქმა? ან რა უბედურებაა ეს კაბალური საარჩევნო კანონი, რომელიც ნორმალური ბრძოლის საშუალებას გვართმევს? ბევრი კითხვა დაგროვდა...

**- ლევან ყიფიანმა არჩევნების გადატანის აუცილებლობაზე ილაპარაკა. თქვენი აზრით, ეს რეალურია?**

- პროცესები ისე მიდის, ყრილობის გადატანის შანსს ვერ ვხედავ! ხომ ხედავთ, საერთოდ არ აინტერესებთ, რას ვფიქრობთ. კიდევ ერთხელ ვეხვევით უბედურებაში და ვშიშობ, ძველზე უარეს დღეში არ აღმოვჩნდეთ. სამწუხაროდ, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ჭკუას საკუთარ შეცდომებზეც ვერ ვსწავლობთ. ერთხელაც კი ვერ მოხერხდა ნორმალური არჩევნების გამართვა. გამოდის, რომ ვილაცას ამ სფეროში საკუთარი ინტერესები გააჩნია. თუმცა, ვინც არ უნდა აირჩიონ თუ დანიშნონ, ჩვენ მაინც არ გავჩერდებით. ყველა კანდიდატს დეტალურ საარჩევნო პროგრამას მოთხოვთ, რასაც იტყვის, უნდა დაასაბუთოს - სად, რა ვადებში,. რა სახსრებით და რას ააშენებს თუ გააკეთებს... ამა თუ იმ კანდიდატის ბევრი ლამაზი სიტყვა გვახსოვს, მაგრამ რეალურად მივიღეთ კატასტროფა. სად არის დაპირებული სტადიონები და ბაზები? ვინც დაპირებებს არ შეასრულებს, პირველი მე დავუპირისპირდები.

**- ალბათ, 1990 წელს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქართული ფეხბურთი ასე რომ გავერანდებოდა...**

- გავერანებაზე კი არა, საქართველოს ნაკრების მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მონაწილეობა იყო ჩვენი ოცნება. ამ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, დღემდე მჯერა - სწორი გზით რომ წავსულიყავით, ნამდვილად ახდებოდა ის ოცნებები. სამწუხაროდ, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არასწორი გზით წავიდა და ამიტომაც ვართ ამ დღეში. არ გახსოვთ, დამოუკიდებლობის მომხრეებს ბოლო ხანებში რამდენჯერმე წამოგვაძახეს კიდეც - ეს გინდოდათ?! და ვინ მოგვისმინა?! პირში წყალი არასდროს ჩამიგუბებია, თუმცა ახლა ესეც არ არის საკმარისი, განსაკუთრებული დრო დადგა, ქართული ფეხბურთის შესანარჩუნებლად უნდა ვიომოთ.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

# ლეო კალაძეს აქებს

ტრავმით გამოწვეული 7-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ **კახა კალაძე** „მილანს" დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანს კარგი ფეხი ჰქონია - „მილანმა" შინ „ბოლონიას" 1:0 სძლია. კალაძე ბოლომდე მოედანზე იყო. მისი გარჯა პოპულარულმა goal.com-მა 7 ბალით შეაფასა. „მილანის" თავკაცმა **ლეონარდომ** ნამატჩევს აღნიშნა:

„მატჩის წინ ფეხბურთელებს სრული კონცენტრაცია ვთხოვე და მათ ეს დავალება ჩინებულად შეასრულეს, ისევე, როგორც სხვა მითითებები. გუნდი ფსიქოლოგიურადაც კარგად გამოიყურებოდა და მთელი მატჩის განმავლობაში სიმშვიდე არ დაუკარგავს. 70 %-ით ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით და მხოლოდ ამ უპირატესობის შედეგში ასახვა იყო საჭირო. საბოლოოდ, ეს შევძელით და მოვიგეთ... ნესტამ მშვენივრად ითამაშა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა კალაძემაც, რომელსაც ტრავმის გამო საკმაო პერიოდი გაუცდა, ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე თამაშს კარგად გაართვა თავი ოდომაც"...

მწვრთნელის ასეთ შეფასებას მოჰყვა კალაძის კომენტარიც, რომელიც „კორიერე დელო სპორტმა" დაბეჭდა:

„მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემდეგ ახლა უკეთ ვგრძნობ თავს. ლიგის სასტარტო ტურში „მარსელთან" სტუმრად გამარჯვების შემდეგ, მოგება ჩემპიონატშიც გვჭირდებოდა ყველანაირი თვალსაზრისით".

დავით ცაბაძე




კახა კალაძე

საქართველოს ჩემპიონატი

I ლიგა. V ტური

**მეშახტე-ჩიხურა 3:0**

1:0 მიქაბერიძე (7), 2:0 ლომაშვილი (22), 3:0 იაკობ დეისაძე (40)

მეშახტე: მემარნიშვილი, დოლონაძე, გ. ტორაძე, გიზო სიჭინავა, ძაგანია, ჯიშიაშვილი, ლომაშვილი, პ. ქომეთიანი (89. რ. კალანდაძე), მიქაბერიძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე.

სათადარიგოები: ხონელიძე, ბაბუნიძე, კეჭეყმაძე, ლ. რაზმაძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძეაა

ჩიხურა: დოლაძე, ი. გვეტაძე (78. სტეფანიშვილი), ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ჩიკვაიძე, ზიზიევაძე, ბ. პეტრიაშვილი (46. დეკანოიძე), მიქაძე, ლ. კობახიძე.

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ჭილაძე, როგავა, ენუქიძე, ზ. ნოზაძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: პ. ქომეთიანი.

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**მესხეთი-ტორპედო 1:5**

0:1 შ. ჯიქია (50), 1:2 რ. კვერნაძე (58), 0:3 შ. ჯიქია (61), 0:4 შ. ჯიქია (70), 1:4 ინასარიძე (75), 1:5 ფარულავა (84)

მესხეთი: ძამუნაშვილი, ცნობილაძე, ლეკიშვილი, ბარძიმაძე, ინასარიძე, თელიაშვილი (85. მურმანიშვილი), პარუნაშვილი (89. ქურდაძე), სუდაძე, გვირჯიშვილი, გონჩაროვი (60. გრიგალაშვილი), ყულიჯანიშვილი.

სათადარიგოები: რეხვიაშვილი, დ. მერაბიშვილი, მუმლაძე, ჯაფარიძე

მთავარი მწვრთნელი: პაატა გოგოლაძე.

ტორპედო: მიგინეიშვილი, ფარულავა, ხარებავა, ბ. ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, მემარნიშვილი, ლ. კირკიტაძე (74. კუხიანიძე), გურული, გ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე (68. ზ. ჩხეტიანი), შ. ჯიქია (72. თურმანიძე).

სათადარიგოები: კუჭუხიძე, იმედაძე, ჩიხლაძე, ზვ. ჩხეტიანი.

მთავარი მწვრთნელი: გია გიგატაძე.

გაფრთხილება: სუდაძე.

არბიტრი: ა. კრიჟაშვილი

**პერეთი-ნ. დინამო 2:2**

0:1 გულორდავა(2), 1:1 დავითაძე 69), 1:2 მამუდოვი (72), 2:2 წვერავა (87)

პერეთი: ჯალიაშვილი, დონდოლაძე, ხარაიშვილი, ფარულავა, ლომსაძე, პაპუაშვილი, მესხი (54. კურტანიძე), მაჭარაშვილი (72. ბახტურიძე), უშარაული, ყაველაშვილი (61. დავითაძე), წვერავა.

სათადარიგოები: მატვიენკო, ფოფხაძე, ტაბატაძე,

მთავარი მწვრთნელი: კარლო წვერავა

ნ. დინამო: ძაძამია, ი. კობახიძე, კაკაშვილი, სულაძე, მერეჩკო, დაბრუნდაშვილი (73. ზვ. კვარაცხელია). ი. ქავთარაძე, ხვთისავრიშვილი, გულორდავა (74. ა. შონია), ი. შენგელია, ელიზბარაშვილი (46. მამუდოვი).

სათადარიგოები: ცინცაბაძე, გაჩეჩილაძე, ჩუხუა, გაბისონია.

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაფრთხილება: კობახიძე, მერეჩკო, დაბრუნდაშვილი, შონია, ხარაიშვილი

გაძევება: კობახიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**კოლხეთი (ფ)-IBSU 3:1**

1:0 ციცხვაია (23), 2:0 ციცხვაია (33), 2:1 ი. მიქაძე (47), 3:1 ნიქარიშვილი (63)

კოლხეთი: გ. შენგელია, თურქია, ფარცვანია, თედიაშვილი, გელაჭეიშვილი, აბურჯანია (42. გულუა), ლ. გვალია (80. ო. სიჭინავა), ჯოჯუა, დ. სიჭინავა, ციცხვაია, ნიქარიშვილი (67. გ. ციკოლია).

სათადარიგოები: ლემონჯავა, გ. კილასონია, გოგონაია, ნარსია.

მთავარი მწვრთნელი: ზაზა ინაშვილი.

IBSU: ბილიხოძე, მაჩალაძე, ტეტუნაშვილი, თავბერიძე, ცხოიძე, ი. მიქაძე, პირველი, ნორაკიძე, გვიჩია (75. არახამია), ა. ნოზაძე (83. თ. კვარაცხელია), ბენდიანაშვილი.

სათადარიგო: ჯოლოგუა

მთავარი მწრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: გულუა

არბიტრი: ი. ურუშაძე

**მარტვილი-გურია 1:1**

1:0 ბერუაშვილი (70), 1:1 კვერენჩხილაძე (86-პენ)

მარტვილი: ჯ. შეროზია, ჩხიკვაძე, ფაცაცია, ლომიძე, ბერიშვილი (46. ვარდუაშვილი), წოწორია, ბერუაშვილი, გიორგობიანი, ხვადაგიანი (87. ძველაია), ც. ბუკია, ლ. კუჭუხიძე.

სათადარიგოები: დავითაშვილი, ო. ტორაძე, მელიავა, თ. თურმანიძე, პაპადოპულოსი.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გურია: გოგუაძე, ბრეგაძე, რ. კუკულაძე, კილაძე, გოგიბერიძე, შეწირული, მგელაძე (73). ქურიძე), მ. კოტრიკაძე (23. ჯაყელი), ს. ურუშაძე, კვერენჩხილაძე, ტ. კუკულაძე (57. იმნაძე).

სათადარიგოები: გორდეზიანი, ხიტირი, ფირცხალაიშვილი, ნილოსანი.

მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი

გაფრთხილება: შეწირული, კვერენჩხილაძე, კილაძე, ხვადაგიანი, ლომიძე.

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

**ბათუმი-კოლხეთი (ხ) 0:0**

ბათუმი: კაკალაძე, ფარტენაძე, ლ. რამიშვილი, თედორაძე, სამსეიშვილი, გელა გოგიტიძე (80. ი. ტულუში), ზვ. ლობჟანიძე, ხუხია (86. გრიგალაშვილი), ბოხუა, მ. ჯორბენაძე (72. დემურაძე), ბაციკაძე.

სათადარიგოები: ბეჟანიძე, მალაზონია, მამინაშვილი, ბერიძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე.

კოლხეთი: ჭურღულია, მ. შონია, კვირკველია (58. ლ. გოგენია), გ. გოგენია, ჩაჩიბაია, ალანია (75. ლომაია), კ. გოგენია, ლეფსაია (84. ღლონტი), სართანია, ცობეხია, გაგუა.

სათადარიგოები: გელაშვილი, ფიფია, ფირცხალავა, ბ. ბუკია.

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: ლეფსაია, გაგუა, ფარტენაძე, მ. შონია, ხუხია

არბიტრი: თ. გვანცელაძე.

**35-ე ს.ქ.-მერცხალი 1:2**

0:1 ნაკაიძე (58), 0:2 სიამაშვილი (71), 1:2 ბ. ტულუში (83)

35-ე ს.ქ: ჯალალონია, ჭაფოძე, თ. ბიბილაშვილი, ავსაჯანიშვილი, გოგოხია, დ. ყაველაშვილი (69. მებალიშვილი), ბახტაძე (51. ბ. ტულუში), ი. არველაძე, თექთურმანიძე, მოდებაძე (74. გურეშიძე), ფურცელაძე.

სათადარიგოები: ნიორაძე, უგულავა, ეძგვერაძე, ბაგაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: კახა გოგიჩაიშვილი

მერცხალი: ძაგანია, ვ. რამიშვილი, ნაჭყებია, ტუტოიანი, მაკასარაშვილი (46. ნაკაიძე/ჩიგოგიძე 90), ქათამაძე, სურგულაძე, ჭკუასელი, ხამაშურიძე, სიამაშვილი, ჭეიშვილი.

სათადარიგოები: გოგუა

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: სიამაშვილი, ჭეიშვილი, ი. არველაძე, ჭკუასელი.

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო 2008 | 5 | 5 | 0 | 0 | 19-2 | 15 |
| 2. ბათუმი | 5 | 3 | 2 | 0 | 4-0 | 11 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 4. ნ/დინამოელი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-7 | 10 |
| 5. მეშახტე | 5 | 3 | 0 | 2 | 7-10 | 9 |
| 6. ჩიხურა | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 7. IBSU | 5 | 1 | 2 | 2 | 7-5 | 5 |
| 8. პერეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 9. მესხეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 4* |
| 10. კოლხეთი (ხ) | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 11. მარტვილი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 12. მერცხალი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 13. ჭიათურა | 4 | 1 | 0 | 3 | 7-16 | 3 |
| 14. 35-ე ს.ქ | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 15. გურია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |

მესხეთს დაკლებული აქვს 3 ქულა

II ლიგა

დასავლეთი. IV ტური

| | |
|---|---|
| მარგვეთი-ქ. ტორპედო | 4:2 |
| დინამო 2 (ბთ)-სულორი | 3:1 |
| ჩიხურა 2-სქური | 4:1 |
| იმერეთი-ჩხერიმელა | 8:1 |
| დინამო (ქ)-ადელი | 0:1 |
| ტორპედო 2-სამგურალი | 2:2 |
| ბახმარო-საირმე | 2:1 |

გურია 2 ისვენებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-3 | 12 |
| 2. იმერეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 15-7 | 9 |
| 3. დინამო 2 (ბთ) | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 4. ჩიხურა 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 5. ბახმარო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 6. მარგვეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 7. ტორპედო 2 (ქ) | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 8. გურია 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9. სამგურალი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 10. საირმე | 4 | 1 | 1 | 2 | 8-8 | 4 |
| 11. სულორი | 4 | 0 | 3 | 1 | 6-8 | 3 |
| 12. ქ. ტორპედო | 3 | 0 | 2 | 1 | 5-7 | 2 |
| 13. სქური | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |
| 14. ჩხერიმელა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-12 | 1 |
| 15. დინამო (ქ) | 4 | 0 | 0 | 4 | 3-11 | 0 |

აღმოსავლეთი. III ტური

| | |
|---|---|
| დილა-35-ე ს.ქ | 3:0 |
| სპარტაკი 2-თიანეთი | 1:1 |
| ლიდერი 2009-გვარდია | 0:0 |
| ავაზა-აბული | 4:0 |
| ალგეთი-ივერია | 2:1 |
| ზოოვეტი-დუშეთი | 3:0 |

გამოტოვებული მატჩები

| | |
|---|---|
| დილა-თიანეთი | 3:1 |
| გვარდია-თიანეთი | 3:0 |

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. U 19

# დედაქალაქელ ჭაბუკთა პირველობა

16 სექტემბრიდან, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივითა და ეგიდით, პირველად ტარდება დედაქალაქის ჩემპიონატი 19-წლამდელ ჭაბუკთა შორის. 14-გუნდიანი პირველობა ორ წრედ გაიმართება.

I ტური

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა-მეტეხი 35 | 2:0 |
| თ.ს. აკადემია 91-ვეფხვები | 2:0 |
| თ.ს. აკადემია 92-ოლიმპი | 2:0 |
| შევარდენი-ალაზანი 2007 | 0:1 |
| ავაზა-ოლიმპიკი | 3:1 |
| იმედი-სასკო | 1:4 |
| ივერია/მაუდი-XXI საუკუნე | 5:0 |

პრემიერლიგა. ტურის გამოხმაურება

# ხმაურიანი მეზობელი და არაჩვეულებრივი შვიდეული

## ვნებათაღელვა მანჩესტერული დერბის გარშემო



კრეიგ ბელამი და მავანი ქომაგი მატჩის შემდეგ

მანჩესტერული დერბი ულამაზესი გამოვიდა, შვიდგოლიანი. ეს შეხვედრა უთუოდ დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს „იუნაიტედისა“ და „სიტის“ დაპირისპირებათა ისტორიაში, რომელიც, რასაკვირველია, ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს უდიდეს დერბებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა - „მანჩესტერ სიტი“ ვერ იყო თანაქალაქელის ღირსეული მეტოქე. მაგრამ, კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“ სხვა სანახაობა გაიმართა და ამ სანახაობამ სხვა ინტრიგაც მოიტანა - 90-ე წუთზე „იუნაიტედი“ 3:2-ს იგებდა, მაგრამ **კრეიგ ბელამიმ** ანგარიში გაქვითა. თითქოსდა ამ დრამატული ეპიზოდის შემდეგ რაღა უნდა მომხდარიყო, მაგრამ წურას უკაცრავად, მსაჯის წამატებულ წუთებში სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა, კერძოდ კი შეცვლაზე შესულმა 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ ლაურეატმა **მაიკლ ოუენმა** ინგლისის ჩემპიონს გამარჯვება მოუტანა.

კი ვთქვით, რომ ოუენმა გამარჯვების გოლი მსაჯის წამატებულ წუთებზე გაიტანა, მაგრამ სწორედ ამან აალელვა ისტლენდელთა თავკაცი **მარკ ჰიუზი**. რატომ დაამატა მსაჯმა **მარტინ ატკინსონმა** შვიდი წუთი? საიდან მოვიდა ეს უცნაური ციფრი? როგორც ჰიუზი ამბობს, მეოთხე მსაჯმა თავდაპირველად ხელის ტაბლოზე ოთხიანი აანთო, ანუ ოთხმოცდაათს ოთხი წუთი დაამატა, მაგრამ ამ დროს „სიტიმ“ ანგარიში გაათანაბრა და იმ მოტივით, რომ ფეხბურთელებმა დიდხანს იზეიმეს (ჰიუზმა ტელეჩანაწერში ესეც შეამოწმა. მისი ფეხბურთელების ზეიმი 45 წამს გაგრძელებულა), ატკინსონმა შეხვედრის დამთავრების აღსანიშნავად არა და არ ჩასტვინა. მაიკლ ოუენმა გამარჯვების გოლი წამატებული დროის მეექვსე წუთზე, უფრო ზუსტად კი, ხუთი წუთისა და 26 წამის შემდეგ გაიტანა, მსაჯმა კი გუნდები ამის მერე კიდევ წუთ-ნახევარს ათამაშა.

ემოციებმა, რომ ზღვარს გადააჭარბა იმ ინციდენტიდანაც ჩანს, ისტლენდერელთა ორი გოლის ავტორს, **კრეიგ ბელამის** რომ შეემთხვა. სხვათა შორის, ეს ტელეკამერებს გამოეპარათ: „ოლდ ტრეფორდის“ მოედანზე მავანი გულშემატკივარი გადახტა, რასაკვირველია, „მანჩესტერ იუნაიტედის“. ახლა ვერ გეტყვით, რა დაიყვირა ან ვის რა უთხრა მინდორზე ჩამხტარმა გიჟმაჟმა, მაგრამ ბელამიმ რომ ყბაში მოსდო, ფოტორეპორტიორებმაც დააფიქსირეს.

*„ის ბიჭი მოედანზე არ უნდა ჩამხტარიყო, მორჩა და გათავდა, - თქვა ამასთან დაკავშირებით ჰიუზმა, - მაყურებელს მოედანზე არაფერი ესაქმება. ერთხელ ბრაიან კლაფმაც აჭამა ვიღაც გადმომხტარს ალიყური და, მართალია, მე არ დამინახავს, მაგრამ, ალბათ, კრეიგმაც იგივე გააკეთა“.*

ალიყური ალიყურად, მაგრამ ამ მუშტი-კრივისთვის ბელამის რომ დისკვალიფიკაცია ემუქრება, ფაქტია. თუმცა, რასაკვირველია, მანჩესტერულ დერბის მხოლოდ დამარცხებული და გაღიზიანებული მხარე არ ჰყავს. არიან გამარჯვებულებიც, კერძოდ, ფერგიუსონი, რომელიც ამ მართლაც მნიშვნელოვანი მოგების შემდეგ სიხარულს ვერ მალავდა.

*„რას იზამ, ადამიანს ხანდახან ხმაურიანი მეზობელი შეხვდება და ამას უნდა შეეგუოს, - ბრძანა სერ ალექსმა „სიტის“ შესახებ, - მეზობელი რომ ხმაურობს, ვერაფერს გახდები. ერთადერთი, რაც შეგიძლია ასეთ დროს გააკეთო, ის არის, რაც ჩვენ ვქენით. შენს საქმეს უნდა მიხედო, მეზობლის ხმის ჩასახშობად კი ტელევიზორს აუწიო. დღეს ჩემმა ფეხბურთელებმა თავიანთი ძალა გამოავლინეს და ეს საუკეთესო პასუხი გახლდათ. მეორე მხრივ, რამდენჯერაც გოლი გავიტანეთ, იმდენჯერ, იმ გოლს შეცდომა მოვაყოლეთ. ახლა ვინმემ შესაძლოა გვითხრას, რომ ეს შეცდომები ჩვენ ყველა დროის საუკეთესო დერბიში მოგვივიდა, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი შეღავათი არ არის. რომ მკითხონ, რა გირჩევნია, 6:0-ის მოგება თუ ყველა დროის საუკეთესო დერბიში მონაწილეობა, მე 6:0-ს ავირჩევ. თუმცა, თამაშის დროს ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა მატჩის შემდეგ ჩემი ფეხბურთელებისთვის. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ხომ ფეხბურთელია. ბოლოს მივხვდი, რომ მე ისინი მომავალში სწორედ დღევანდელის მსგავსად თამაშისკენ უნდა წამექეზებინა. მეორე ტაიმში ჩვენ მართლაც საოცრად, დიდებულად ვითამაშეთ. ახლა ამ დონეს უნდა ჩავებღაუჭო. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის“, თუ იმ დანახარჯს შევხედავთ, რაც ზაფხულზე გაიღო, მისგან ბევრს ელიან და ამ ჩემპიონატში რაღაც თამაშები მართლაც მოიგო. იძულებული ვარ ვაღიარო, რომ პრესისთვის ამწუთას მთავარი გუნდი „სიტია“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

## არ იცოდით? თამაში გრძელდება იუნაიტედის გამარჯვებამდე

### ყოფილი არბიტრი გრემ პოლი დაუწერელი კანონის შესახებ...



გრემ პოლი

ვისაც გრემ პოლი დაავიწყდა, შევახსენებთ, რომ ის გახლავთ ყოფილი არბიტრი, რომელიც ინგლისისა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოედნებზე 26 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საფეხბურთო მატჩებს. პოლის კარიერა სამშობლოში (ოღონდ, არა მარტო პრემიერლიგაში), 1544 შეხვედრას მოიცავს. მას განუსჯია მსოფლიოს ორი ჩემპიონატისა და ევრო 2000-ის მატჩები. პოლი გახლდათ 2005 წლის უეფას თასის ფინალის არბიტრი.

ეს ყველაფერი კი იმიტომ შეგახსენეთ თუ მოგახსენეთ, რომ პრემიერლიგაში კვირას დატრიალებულ ამბებს „დეილი მეილში“ მან სვეტი მიუძღვნა და გვინდა მის მიერ ამ სვეტში გამოთქმული მოსაზრებები გაგაცნოთ. უპირველეს ყოვლისა, ყოფილი მსაჯი მანჩესტერულ დერბის შეეხო:

*„რადიოგადაცემებში ბევრჯერ მომიყოლია „ოლდ ტრეფორდზე“ ჩემი პირველი ვიზიტის ამბავი. ეს იყო დღე, როდესაც ალექს ფერგიუსონისგან ცივი შხაპი მივიღე. რატომ? იმიტომ, რომ თურმე ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი წესი არ ვიცოდი: „მანჩესტერ იუნაიტედის“ საშინაო თამაში უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ ეს გუნდი არ მოიგებს!*

*რაც თავი მახსოვს, ფანები მუდმივად გამოთქვამენ ეჭვს, რომ ფერგიუსონს მსაჯებზე ზეგავლენა აქვს და მათი თამაშებზე განაწილების საკითხშიც ერევა. დღეს, როდესაც მაიკ რაილი - ფერგიუსონის ერთ-ერთი ფავორიტი - პროფესიონალ მსაჯთა საბჭოს შეფად დანიშნეს, იმავე ფანების აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მსაჯებით მანიპულირება კიდევ უფრო გაუადვილდება, მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ფერგიუსონი მანჩესტერული დერბის არბიტრად მარტინ ატკინსონის დანიშვნით კმაყოფილი არ გახლდათ. „იუნაიტედის“ თავკაცს გულში ჰქონდა ჩარჩენილი ორი წლის წინანდელი ამბავი, როდესაც ფეხბურთის ასოციაციის თასზე, შეხვედრაში, რომელსაც ატკინსონი სჯიდა, მისი „იუნაიტედი“ „პორტსმუთმა“ გააგდო.*

*თუმცა, ვინ იცის, ორი დღის წინანდელმა თამაშმა ყველაფერი შემოატრიალოს და მარტინ ატკინსონი ფერგიუსონის მოსაწონ არბიტრთა სიაში დააბრუნოს. ატკინსონმა ხომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მანჩესტერ სიტის“ თამაში მანამდე არ დაამთავრა, სანამ მაიკლ ოუენმა გამარჯვების გოლი არ გაიტანა, მაგრამ ფეხბურთის წესებში მკაფიოდ წერია, რომ შეხვედრის მსვლელობისას დაკარგული დროის შეფასება და დამატება მსაჯის გადასაწყვეტია! ასე და ამგვარად, იურიდიულად და ტექნიკურად, ატკინსონს ხელის ტაბლოთი გამოცხადებული ოთხი წუთისთვის სამის თვითნებურად დამატებას ვერავინ უსაყვედურებს. მას ამის უფლება ჰქონდა.*

*მეორე მხრივ, არ დავიმალავთ და პირადად მე გამიჭირდა იმ მიზეზების დანახვა, რომელთა გამო მანჩესტერულ დერბიში „დამატებითის დამატებითი“ დრო დაინიშნა. თავდაპირველად, მეოთხე მსაჯმა ალან უაილიმ ატკინსონის გადაწყვეტილების მიხედვით ხელის ტაბლოზე ოთხიანი აანთო და ხალხს აჩვენა, რომ შეხვედრას ოთხი წუთი ემატებოდა. ეს ცვლილებებისა და გოლების რაოდენობიდან გამომდინარე სრულიად ლოგიკური იყო. შემდეგ, დამატებით დროში, იყო კიდევ ერთი ცვლილება, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ანდერსონის ნაცვლად მაიკლ ქერიკი შევიდა. კანონით, ამისათვის 30 წამია გამოწერილი. ერთი სიტყვით, ისევე, როგორც „სიტის“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი, საფინალო სასტვენს მეც დამატებითი დროის დაწყებიდან 4 წუთსა და 30 წამში ველოდი, მაგრამ თამაში გაცილებით მეტხანს გაგრძელდა და მაიკლ ოუენმა მასპინძელთა გამარჯვების გოლი 5 წუთისა და 26 წამის შემდეგ შეაგდო. შესაბამისად, მე ძალიან კარგად მესმის „სიტის“ თავკაცის აღშფოთება. როდესაც თავგამოდებით თამაშობ, უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ანგარიშს სამჯერ ათანაბრებ და ასეთ გოლს უშვებ, ნამდვილად გაბრაზდები, მაგრამ, რას იზამ. ასეთია ფეხბურთი და მისი ულმობელი კანონები.*

*პირადად მე, დამატებული დროის კანონში ცვლილებას ვისურვებდი. დავსვამდი დროის აღმრიცხავს და დავათვლევინებდი თამაშის სუფთა დროს. როდესაც 45 წუთი შესრულდებოდა, აღმრიცხავი მთავარ მსაჯს შეატყობინებდა და ტაიმიც დასრულდებოდა, მაგრამ ამას ფეხბურთის ბოსები არასდროს დათანხმდებიან, რადგან მათ წესებში ცვლილებების შეტანა არ უყვართ“.*

იმავე სვეტში გრემ პოლმა გაარჩია „სტემფორდ ბრიჯზე“ ,“ჩელსისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ შორის გამართული შეხვედრის („ჩელსიმ“ მოიგო 3:0) მსაჯობაც. ამ შეხვედრას **ჰოვარდ ვები** ემსახურებოდა, მსაჯი, რომელსაც გრემ პოლი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან დიდ პატივს სცემს და იმედი აქვს, რომ იგი ინგლისს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ღირსეულად წარმოადგენს, მაგრამ...

*„სტემფორდ ბრიჯზე“ მისმა მსაჯობამ ცოტა იმედი გამიცრუა, - ამბობს პოლი, - მან სამი აშკარა პენალტი არ დანიშნა, ორი „ჩელსის“ ხოლო ერთი „ტოტენჰემის“ სასარგებლოდ. „ჩელსის“ სასარგებლოდ პენალტები უნდა დანიშნულიყო იმ ეპიზოდებში, როდესაც ჩორლუკამ ბალაკი წააქცია და ასუ-ეკოტომ ხელით ითამაშა, ხოლო „სფურზის“ სასარგებლოდ მაშინ, როდესაც რიკარდო კარვალიუმ რობი კინს გამოსდო ფეხი. მართალია, ხშირად ოდნავი შეხების დანახვა ძნელია, მით უფრო რომ თანამედროვე ფეხბურთელები ძალიან იოლად ეცემიან მოედანზე, მაგრამ, ვებმა იმ დღეს გამაოცა. მას აშკარად არ უნდოდა დარღვევების შემჩნევა და აღკვეთა, დამატებულ დროში კი რამდენიმე გვარიანი უხეშობა წითელ-ყვითლის გარეშე გაატარა“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

ესპანეთი. ლიგა BBVA IV ტურის წინ

# ბლაუგრანა კანტაბრიაში

დღეს პრიმერა დივიზიონის IV ტურის ორი მატჩია, „სევილია“ „მალიორკას“ მასპინძლობს, ხოლო ჩემპიონი „ბარსელონა“ სანტანდერში ეწვევა „რასინგს“. კატალონიური კლუბი „რასინგს“ „ატლეტიკოსთან“ დაშავებული **ხერარდ პიკეს** გარეშე ეთამაშება. მის გარდა **ხოსეპ გვარდიოლას** მხოლოდ **გაბრიელ მილიტო** და **ბოიან კრკიჩი** დააკლდებიან. დაცვის ცენტრში გუნდის კაპიტანი **კარლეს პუიოლი** და უკრაინელი **დმიტრო ჩიგრინსკი** ითამაშებენ.

„სანტანდერს“ მცველი **ენრიკე** დააკლდება, მიზეზი მარტივია - ეს ფეხბურთელი „ბარსელონას“ საკუთრებაა და კანტაბრიაში იჯარის წესით თამაშობს. სხვა მხრივ, **ხუან მანდიას** დაშავებული არავინ ჰყავს და მეტი ცვლილების აუცილებლობაც არ ჩანს. შესაძლოა, **ლუის გარსია** სასტარტო შემადგენლობაშივე ვიხილოთ, მით უფრო, რომ „ბარსელონა“ მისი ყოფილი გუნდია. ცვლილებებს უნდა ველოდეთ „ბარსელონას“ რიგებში. გვარდიოლას გუნდს 14-დღიან შუალედში 5 მატჩის გამართვა უწევს და როტაციის გარეშე ახალგაზრდა მწვრთნელი ფონს ვერ გავა. **ანდრეს ინიესტას**, ალბათ, ისევ სათადარიგო სკამიდან მოუწევს მატჩის დაწყება, მაგრამ **ერიკ აბიდალი** და **იაია ტურე**, სავარაუდოდ, **მაქსველს** და **სერხი ბუსკეტსს** შეცვლიან.

სავარაუდო შემადგენლობები

**სანტანდერი:** ტონიო - სეპსი, მორისი, მორატონი, პენილიოსი - არანა, დიოპი, ლასენი, ოსკარ სერანო - გეიხო, მუნიტისი.

**ბარსელონა:** ვალდესი - დანი ალვეში, ჩიგრინსკი, პუიოლი, აბიდალი - ტურე, ჩავი, კეიტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, ანრი.

„სევილიას“ **ლუიშ ფაბიანო** უბრუნდება, რომელმაც „ოსასუნასთან“ მატჩი გამოტოვა. ახლა **მანოლო ხიმენესს** თავსატეხი გაუჩნდა, დაშალოს თუ არა ერთმანეთთან ასე კარგად შეწყობილი თავდასხმელთა დუეტი **ალვარო ნეგრედოსა** და **ფრედერიკ კანუტეს** შემადგენლობით. მასპინძლებს არ ეყოლებათ **ალდო დუშერი**, რომელმაც მცირე ტრავმა მიიღო. დუშერს **ლოლო** შეცვლის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბარსა სანტანდერს პიკესა და კრკიჩის გარეშე ეწვევა

დაპირისპირება

# მოურინიო ბოიკოტით იმუქრება

## ჟოზე ძაკერონის წინააღმდეგ



ჟოზე მოურინიო და ალბერტო ძაკერონი

**ჟოზე მოურინიო** არც ინგლისში გახლდათ ტკბილად მოუბარი, მაგრამ იტალიაში სულ მთლად გადაირია. გაულანძღავი არავინ დატოვა, ერთი **ალბერტო ძაკერონი** გახლდათ ასეთი და ბოლო დღეებში მასაც შეუტია. „ინტერი"-„ბარსელონას" შეხვედრის შემდეგ, იტალიელმა ჟურნალისტებმა კომენტარი უამრავ ადამიანს ჩამოართვეს, მათ შორის, ძაკერონის. გამოცდილმა სპეციალისტმა განაცხადა:

*„ჩემი აზრით, ისეთი დიდი გუნდი, როგორიც „ინტერია", საკუთარ კედლებში უფრო შემტევ ფეხბურთს უნდა თამაშობდეს. „ბარსელონა" სრულ უპირატესობას ფლობდა და თავისუფლად შეეძლო გამარჯვების მოპოვება. სიმართლე გითხრათ, „ნერაძურისგან" მეტს მოველოდი, რადგან გუნდი პროგრესირებს და მაღალი ხარისხის ფეხბურთს აჩვენებს. სამწუხაროდ, ჩემი იმედები არ გამართლდა, „ინტერი" აშკარად გადაურჩა მარცხს და ალებული ქულისთვის იღბალს უნდა უმადლოდეს".*

ამის თქმა-იყო და, ჟოზეს საპასუხო კომენტარმაც არ დააყოვნა. აი, რა განაცხადა პორტუგალიელმა: *„ვერ ვხვდები, რატომ უხარიათ ასე „ინტერის" კრიტიკა. თანაც, ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ამის უფლება არ აქვთ. ვერაფრით მივიღებ კრიტიკას მწვრთნელისგან, რომლის დამოძღვრილმა „ინტერმაც" საკუთარ მოედანზე „არსენალთან" 1:5 წააგო. ძაკერონის ურჩევნია, მისი გუნდის წაგებული თამაშები გაიხსენოს და ისინი აანალიზოს".*

იტალიელმა ჟურნალისტებმა არ მოისვენეს და კვლავ სენიორ ალბერტოს შეეხმიანენ - შენზე მოურინიომ ესა და ის თქვაო. ძაკერონიც იძულებული გახდა, პასუხის პასუხი მოეფიქრებინა:

*„მთხოვეს, აზრი გამომეთქვა განვლილ პაექრობაზე და მეც კომენტარი გავაკეთე. ეს იყო ჩემი პირადი მოსაზრება ერთ კონკრეტულ თამაშზე, რა შუაშია აქ „ინტერი"-„არსენალის" შეხვედრა? არასდროს დავეცემი იმ დონემდე, რომ კოლეგები ვაკრიტიკო, უბრალოდ, ერთი მატჩი შევაფასე. ე.ი. მოურინიოს რისხვას რომ ასცდე, „ინტერზე" სულ აღფრთოვანებულ ტონში უნდა ილაპარაკო. ჟოზეს არ შეუძლია კრიტიკის, განსხვავებული აზრის მოსმენა. მას ოთხმოცი წლის წინათ, დუჩე მუსოლინის დროს უნდა ემუშავა მწვრთნელად, სწორედ იმ დროს ავიწროებდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს. არ მესმის, რატომ იწვევს კონსტრუქციული კრიტიკა ამ ადამიანში ასეთ ისტერიკას".*

მოურინიო ალბათ გააგრძელებდა ამ პოლემიკას, მაგრამ კალიარიში მომხდარმა ინციდენტმა მას ხელი შეუშალა. როგორც იცით, სერია A-ს მეოთხე ტურში „ნერაძური" სწორედ სარდინიულ კლუბს სტუმრობდა, შეხვედრის მსვლელობისას კი პორტუგალიელი სპეციალისტი მოედნიდან გააძევეს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები პირენეელს ამაოდ ელოდნენ, ჟოზემ მედიასთან „ინტერის" დირექტორატის წარმომადგენელი, **მარკო ბრანკა** გაგზავნა, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

*„ვიცი, რომ მოურინიოსთან გასაუბრება ძალიან გინდათ, მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუოთ. წითელი ბარათის გამო, ჟოზე ძალიან ცუდ ხასიათზეა და პრესკონფერენციაზე მოსვლა არ ისურვა. შესაძლოა, პრესას მან ბოიკოტიც კი გამოუცხადოს. მოურინიო დიდ გასამრჯელოს იღებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვალდებულია, ყოველი თამაშის შემდეგ პრესასთან იურთიერთოს".*

თქვენი არ იყოს, ვერც ჩვენ მივხვდით, რა აუცილებელი იყო ბოლო წინადადების თქმა - ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ეს ვერც ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა გაიგეს.

ფენომენი

# სამპდორიას წარმატების საიდუმლო

## დელ ნერი გაჩერებას არ აპირებს


ლუიჯი დელ ნერი და ანტონიო კასანო. სამპდორიას ორი მთავარი მამოძრავებელი ძალა

**ლუიჯი დელ ნერიმ** საფეხბურთო მსოფლიო ერთხელ უკვე გააოცა, როდესაც უსახელო „კიევოსგან" სერია A-ში მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი გამოჭედა. მას მფრინავი ვირიც კი შეარქვეს და ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ მიზეზს - ქალაქ ვერონაში ორი გუნდია, შედარებით მდიდარი ისტორიის „ვერონა" და მოკრძალებული გუნდი გარეუბნიდან - „კიევო". ვერონელები ყოველთვის დასცინოდნენ „კიევოს" გულშემატკივრებს, ასეთი მოარული ფრაზაც კი დაამკვიდრეს გულშემატკივრებში: *„კიევო" მაშინ გადავა სერია A-ში, როდესაც ვირები ფრენას დაიწყებენ".*

დელ ნერიმ შეუძლებელი შეძლო და „კიევო", ათიათასიანი მოსახლეობის გარეუბნის გუნდი ელიტარულ ლიგაში გადაიყვანა. მარტო გადაიყვანა? - ოთხეულში მოახვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

გავიდა ხანი და ლუიჯი დელ ნერი საფეხბურთო სამყაროს მორიგ სიურპრიზს უმზადებს. ახლა ყურადღების ცენტრში მისი „სამპდორიაა", გუნდი, რომელიც განვლილი ოთხი ტურის შემდეგ, სერია A-ს სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას. თუმცა, აქ მხოლოდ ოთხ მოგებულ შეხვედრაში და თორმეტ ქულაში არ არის საქმე. მთავარი ის გახლავთ, რომ „სამპდორია" ძალიან ეფექტურ, სწრაფ და მძლავრ ფეხბურთს თამაშობს.

ბევრი შეიძლება შემოგვედავოს, სად „კიევო" და სად „სამპდორია", გუნდი, რომელიც ახლო წარსულში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა. მართლაცდა, „კიევოსგან" განსხვავებით, „სამპასთვის" ელიტარულ გუნდებს შორის ყოფნა უცხო ხილი არ გახლავთ, მაგრამ ბოლო წლების მუდმივმა რეგრესმა გუნდის იმიჯს დიდი დაღი დაასვა. ორ აბზაცში გადავხედოთ „სამპდორიას" ისტორიას.

კლუბი 1946 წელს დაარსდა, გაერთიანდა რა ორი გენუური კლუბი: „ანდრეა დორია" და „სამპერდარენეზე" - პირველი მათგანი 1927 წელს გახლდათ დაარსებული, მეორე სულაც 1891 წელს. „სამპდორიამ" უმალ დაიპყრო გენუელების გულები. დღეს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ლუიჯი ფერარისის მკვიდრთ, ერთ-ერთი ყველაზე ემოციური ქომაგები ჰყავთ მთელ იტალიაში. ქვეყნის ჩემპიონი „სამპა" ერთხელ გახდა, 1991 წელს. იტალიის თასი ოთხჯერ მოიპოვა: 1985-88-89-94 წლებში, სუპერთასი კი ერთხელ, 1990 წელს. ამავე სეზონში, გენუურმა კლუბმა პირველი საერთაშორისო ტროფეი მოიგო, დაამარცხა რა თასების თასის ფინალში ბელგიური „ანდერლეხტი", 2:0. 1992 წელს, „სამპამ" ჩემპიონთა ლიგაშიც დაიქუხა, გუნდი ფინალში გავიდა, სადაც კატალონიურ „ბარსელონასთან" მინიმალური სხვაობით დამარცხდა, 0:1.

შემდეგ იყო რამდენიმეწლიანი კრიზისი, სერია B-ში ყურყუტი და ნანატრი დაბრუნება. საერთოდ, ფეხბურთი იტალიაში გენუიდან გავრცელდა და პარადოქსიც იყო, რომ კარგა ხანს, სერია A-ში არც ერთი გენუური კლუბი არ ასპარეზობდა. დღეს სულ სხვაგვარი ვითარებაა, „სამპდორიას" მსგავსად, მაღალი მიზნებისთვის იბრძვის „ჯენოაც". რა მოხდება Derby della lanterna-ზე (შუქურის დერბი - შუქურა ქალაქის ერთ-ერთი სიმბოლოა), ძნელად წარმოსადგენია. ეს იქნება ზღვა ემოციები, როგორც სტადიო ფერარისზე, ისე მთელ ქალაქში. აპენინებზე ამბობენ, რომ ეს არის ევროპის ყველაზე ცხელი დაპირისპირება. არადა, მარტო იტალიაში რამდენი კონკურენტია: მილანური, რომაული, სიცილიური, დიდი იტალიური დერბი.

დროა დღევანდელობაზეც ვთქვათ - მაინც რა გუნდი ჰყავს ლუიჯი დელ ნერის, რა რესურსით აპირებს იტალიის გაოცებას? - თუ შემადგენლობას გადავხედავთ, ყურადღებას უთუოდ შეტევის ხაზი მიიქცევს. **ანტონიო კასანოს** და **ჯამპაოლო პაცინის** ტანდემი მართლაც რომ ბრწყინვალეა. ასეთ ფორვარდებს ალბათ ევროპული ფეხბურთის ბევრი გრანდი ინატრებდა. ანტონიო ტექნიკურია, სიღრმიდან თამაშობს და შეტევებს დირიჟორობს. პაცინი დამგვირგვინებელია და ოფსაიტის ზღვარზე ირჯება. ჯამპაოლო შესანიშნავად იხსნება და როგორც წესი, ძალიან ბევრ ხიფათს ქმნის მეტოქის კართან. მას ერთი მინუსი აქვს, რომელზეც ჟურნალისტები ხშირად წერენ: რეალური საგოლე მომენტების გაფუჭება სჩვევია. თუმცა, ბევრიც გააქვს და თუ ამ კომპონენტზე იმუშავებს, მისგან ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი დადგება. ნახევარდაცვაში მთავარი გამწევი ძალა **ანჯელო პალომბო** გახლავთ, გუნდის კაპიტანი და „სკუადრა აძურას" წევრი. **მარჩელო ლიპი** მას ენდობა და რეგულარულად იძახებს ეროვნულ ნაკრებში. ეს ნათლად მეტყველებს მის კვალიფიკაციაზე. და მაინც, რაშია „სამპდორიას" წარმატების საიდუმლო? - ამაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი, ლუიჯი დელ ნერი გიპასუხებთ:

*„დარწმუნებული ვარ, ტემპს არც მომავალში დავაგდებთ და ამ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. რა იწვევს ჩემში ასეთ თავდაჯერებულობას? - ის, რომ გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული. თითოეული ფეხბურთელი სიხარულით მოდის ვარჯიშზე და ანალოგიური განწყობით გადის თამაშზე. ჩემი შეგირდები, ერთი სულისკვეთებით არიან განმსჭვალულნი და ეს არის წარმატების მთავარი საიდუმლო. რა იქნება მომავალში? - ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს, გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ატალანტა

### სამწვრთნელო ცვლა ბერგამოში

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, „ატალანტას" ზედიზედ მეოთხე სასტარტო მარცხს უკვალოდ არ ჩაუვლია. გუშინ ბერგამოული კლუბის ხელმძღვანელობამ კარისკენ მიუთითა მწვრთნელ **ანჯელო გრეგუჩის**, რომელიც გუშინვე **ანტონიო კონტემ** შეცვალა.

ახლო წარსულში „იუვენტუსის" ნახევარმცველმა (1992-2004 წლებში 295 მატჩი და 29 გოლი) „ბარი" საამსეზონოდ სერია A-ში დააწინაურა, თუმცა პოსტიდან გაუშვეს 23 ივნისს, რაკი გადაწყვეტილი იყო, რომ „იუვეში" მწვრთნელად ბრუნდებოდა...

კონტე ცნობილია თამამი 4-2-4 ტაქტიკით. მისი დებიუტი „კალიარისთან" ხვალინდელ საშინაო მატჩში შედგება.

სამაუწყებლო კომპანია მზე
ინტერაქტივი
ინგლისური პრემიერლიგა მზეზე

| | |
|---|---|
| პორტსმუტი-ევერტონი | 80 44 01 |
| ლივერპული-ჰალი | 80 44 02 |
| უიგანი-ჩელსი | 80 44 03 |
| სტოკი-მანჩესტერ იუნ | 80 44 04 |
| ტოტენჰემი-ბარნლი | 80 44 05 |
| სანდერლენდი-ვულვზი | 80 44 06 |

სამაუწყებლო კომპანია მზე
ინტერაქტივი
ესპანური პრიმერა მზეზე

| | |
|---|---|
| რეალი-ტენერიფე | 80 44 0 10 |
| ბილბაო-სევილია | 80 44 0 11 |
| მალაგა-ბარსელონა | 80 44 0 12 |
| ვალენსია-ატლეტიკო | 80 44 0 13 |
| სარაგოსა-ხეტაფე | 80 44 0 14 |
| დეპორტივო-ვილეარეალი | 80 44 0 15 |



პსჟ-ლიონი

# თამაშგარე აქეთ, იქით

## ყველაზე სწრაფი საფრანგეთში ასამოა გიანია

„რენის“ ფორვარდმა **ასამოა გიანმა** სეზონის ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა. გოლის გატანისას საბრალო „გრენობლთან“ შეხვედრის დაწყებიდან 19 წამი იყო გასული, თანაც თამაში მასპინძლებმა, „გრენობლის“ ფეხბურთელებმა დაიწყეს! მათ 6 ზუსტი გადაცემის გაკეთება მოახერხეს, შემდეგ სტუმრებმა ჩაჭრეს ბურთი და განელმა ფორვარდმაც ახლო მანძილიდან შორეულ კუთხეში გაიტანა. სეზონის რეკორდი ახლოსაც ვერ მივა ლიგის რეკორდთან - 1992 წლის თებერვალში „კაენელმა“ **მიშელ რიომ** მატჩის დაწყებიდან 8 წამში გაიტანა „კანის“ კარში. გიანის გოლს კიდევ სამი მოჰყვა, უკვე ალარავისთვისაა საკვირეველი თუ, რატომ არ აქვს ქულაც კი მარაგში „გრენობლს“, არადა ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე 6 ტური გავიდა...

ამ ტურში მართლაც გოლების ფოიერვერკი ვიხილეთ, 35 გოლი 10 მატჩში საფრანგეთისთვის დიდი შედეგია, ეს ტური კი სეზონის რეკორდსმენია. ტურის ცენტრალური მატჩი „პარკ დე პრენსზე“ გაიმართა, „პარი სენ ჟერმენი“ „ლიონს“ მასპინძლობდა. ჩემპიონატის ფავორიტთა შეხვედრამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. „ლიონი“ დედაქალაქში 7-მატჩიანი მოგებების სერიით ჩავიდა, პსჟ-ს კი დისკვალიფიკაციის გამო პლეიმეიქერი **სტეფან სესენიონი** აკლდა...

თავიდან მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, „ლიონის“ დაცვა შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, მხოლოდ გოლკიპერი **ლორისი** ყოჩაღობდა. 29-ე წუთზე ისიც უძლური აღმოჩნდა, პარიზელთა ხანგრძლივი შეტევა **ლუდოვიკ ჟიულიმ** დააგვირგვინა, რომელმაც კარიერა „ლიონში“ დაიწყო. სხვათა შორის, ეს ჟიულის მე-80 გოლია ფრანგულ ლიგაში. გოლმა „ლიონელთა“ ბანაკში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან შეტევის დასაწყისში პარიზელები ოფსაიდში იყვნენ, რაც მსაჯმა ვერ შეამჩნია. ნერვები უმტყუნა სტუმართა გოლკიპერთა მწვრთნელ **ჟოელ ბატსს,** რომელსაც წითელი ბარათი უჩვენეს.

გაშვებული გოლის შემდეგ **კლოდ პუელმა** საყვარელ ტაქტიკურ სქემას - 4-2-3-1 უღალატა და **დელგადოს** ნაცვლად **ბაფეტიმბი გომისი** შემოიყვანა, რომელიც **ლისანდრო ლოპესს** შეუწყვილა თავდასხმაში. მეორე ტაიმში სტუმრებმა იძალეს, მაგრამ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ შესანიშნავად ირჯებოდა პარიზელთა გოლკიპერი **გრეგორი კუპე,** თუმცა თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მანაც ვერაფერი მოუხერხა გომისის ახლო მანძილიდან დარტყმულს. სხვათა შორის, ვიდეოჩანაწერის ნახვისას აშკარად გამოჩნდა, რომ ეს გოლიც თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა - 1:1.

**ანტუან კამბუარე** (პსჟ): *„ჩემი ფეხბურთელების მიმართ ერთი შენიშვნაც კი არ მაქვს. კი, ძალიან საწყენია, როცა ბურთს თამაშის მიწურულს უშვებ და სამ ქულა კარგავ, მაგრამ თუკი ჩემი გუნდი ყოველ უქმეზე ასე ითამაშებს, ბედნიერი ვიქნები. უბრალოდ, ძალიან ცოტა დაგვაკლდა მეორე გოლის გატანამდე, რომელიც მატჩის ბედს საჩვენოდ გადაწყვეტდა. აქვე დავძენ, რომ „ლიონის“ გოლკიპერ ლორისს კარიერის საუკეთესო მატჩის ჩატარება, მაინცდამაინც ჩვენს წინააღმდეგ მოუნდა“.*

**კლოდ პუელი** (ლიონი): *„მატჩის პერიპეტიების გათვალისწინებით, ჩვენ ძალიან კარგი ქულა მოვიპოვეთ. ისე ცუდად დავიწყეთ, ერთი პირობა ვიფიქრე, ბიჭები არ გატყდნენ მეთქი. პარიზელები ძალიან კარგად თამაშობენ კონტრშეტევაზე, მათთვის სულაც არ არის საჭირო მუდმივად აკონტროლონ ბურთი“.*

საფრანგეთის ჩემპიონი „ბორდო“ გადახალისებული შეტევის ხაზით ეწვია „ბულონს“ და მიუხედავად ამისა 2:0 მაინც გაიმარჯვა. „ბორდო“ 16 ქულით (18 შესაძლებელიდან) კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. ლიდერთა არყოფნაში თავი 23 წლის **იოან გუფრანმა** გამოიჩინა, „კაენის“ ყოფილმა შემტევმა კვლავ გაიტანა „ბორდოს“ მაისურით. **ლორან ბლანმა** „იუვენტუსთან“ მატჩისგან განსხვავებით სასტარტოში 7 შეცვლა განახორციელა, მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩდნენ **პლაშილი, შამახი** და **გურკუფი** - „ბორდოს“ წინა ხაზის დამრტყმელი ძალა. „ბულონს“ ერთი აკლდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი - კაპიტანი და გუნდის თილისმანი **გრეგორი ტილი.** უმისოდ მასპინძელთა შეტევები უკბილო იყო. გურკუფის არყოფნაში სტანდარტულების შესრულება **დავიდ ბელიონს** დაევალა, რომელიც სეზონში პირველად თამაშობდა სასტარტო შემადგენლობაში. სწორედ მისი ჩაწოდების შემდეგ გაიტანა გოლი გუფრანმა.

როცა გაუჭირდა, ბლანმა დასახმარებლად გურკუფს უხმო და გუნდის ლიდერმაც ზუსტად 60 წამში შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ბურთი „ბორდოს“ ყოფილი გოლკიპერის, **ვალვერდეს** კარის ბადეში ჩაეშვა, თუმცა გატანილი ბურთი ავტოგოლად **იოან ლაშორს** ჩაეთვალა, ბოლოს ბურთს ის შეეხო.

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„სრულიად განსხვავებულმა გუნდმა ითამაშა, ვიდრე ტურინში. მე ვუთხარი ფეხბურთელებს, რომ გუნდში ძალიან კარგი სიტუაციაა შექმნილი და ამას გაუფრთხილდნენ. ჩვენ გვიჭირდება ჯანსაღი კონკურენცია გუნდში. ძალიან კმაყოფილი დავრჩი მათი თამაშით, სეზონი დიდია, გუნდს ყველა გამოადგება. დიდი ამბიციები გვაქვს ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაში, ამიტომ 23-24 ფეხბურთელი ზედმეტი ნამდვილად არ არის“.*

„ველოდრომზე“ „მარსელმა“ ბრწყინვალე მატჩი აჩვენა „მონპელიეს“ წინააღმდეგ. პირველ 50 წუთში **დიდიე დეშამის** გუნდმა 4 უპასუხო გოლი გაუტანა სტუმრებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო „მონპელიემ“ დიდი ანგარიშით მარცხისგან თავის დახსნა - 4:2. მარსელელთაგან ყველაზე ლამაზი **მამადუ ნიანგის** გოლი იყო, მან სლალომით ჩამოიტოვა ორი მცველი და უძლიერესი დარტყმით დაამწუხრა **ჟურდრენი.** ძალიან კარგად ითამაშა **ლუჩო გონსალესმა,** ამიტომაც, როცა თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე არგენტინელი შეცვალეს, მარსელულმა პუბლიკამ მას ოვაციები მოუწყო.

„ტულუზმა“ **გიორგი მაკარიძის** „ლე მანი“ 2:0 დაამარცხა. მეკარეთა თემა ამ მატჩში მართლაც აქტუალური იყო, მასპინძელთა კარს „ლე მანის“ ყოფილი მეკარე **იოჰან პელე** იცავდა, ხოლო სტუმართა კარში თბილისის „დინამოს“ ყოფილი გოლკიპერი **დიდიე ოვონო** იდგა, მაკარიძე სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ, თუმცა გოლები ოვონოს კარში გავიდა, თავი **ეტიენ დიდომ** და 20 წლის **მუსა სისოკომ** გამოიჩინეს.

ერთი სიახლეც, რომელიც უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობას არ ეხება - საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, 150 მილიონი ევრო გამოყოს 12 სტადიონის რეკონსტრუქციისთვის, რათა საფრანგეთი ევრო 2016-ის მასპინძლობის სერიოზული კანდიდატი გახდეს, თავიდან მთავრობა ამ თანხის ნახევრის გამოყოფას აპირებდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**მომდევნო ტური**

26 სექტემბერი. **ოსერი-გრენობლი, ლორიანი-პსჟ, მონაკო-სენტ ეტიენი, მონპელიე-ბულონი, ნანსი-სოშო, ვალანსიენი-მარსელი, ლიონი-ტულუზი.** 27 სექტემბერი. **ლე მანი-ლანსი, ლილი-ნიცა, ბორდო-რენი.**

### ბულონი-ბორდო 0:2

**ბულონი (3-4-3):** ვალვერდე - სუმარე (57. და როშა), დემბელე - ადეფემი, მარკი (88. აგუაზი), ტურე, რაბუელი - ბლაიაკი, კუვილიე (67. რობერი), მორეირა.

**ბორდო (4-2-3-1):** რამე - შალმე, ენრიკე, სიანი, პლასენტე - დიარა, ფერნანდო - გუფრანი (81. შამახი), ბელიონი (68. გურკუფი), ჟუსი (68. პლაშილი) - კავენაგი.

**გოლები:** 0:1 გუფრანი (34), 0:2 ლაშორი (70-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 2:2; **კუთხური:** 6:4; **ჯარიმა:** 16:14; **თამაშგარე:** 3:2; **კარში დარტყმა:** 4:17 (1:5); **ბურთის ფლობა:** 38%:62%.

**მაყურებელი:** 13 178

### გრენობლი-რენი 0:4

**გრენობლი (4-4-2):** ვივიანი - მაინფროი, რენდულიჩი, პაილო (5. რობენი), ვიტაკიჩი - ფეგული (37. აკრური), ბატლე, რომაო, კურტუა - ლიუბოია, ბოია (63. სოჟე).

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემუანი, ინამოტო - ბანგურა (64. ეკოკო), ლერუა, მარვო (78. დანზე) - გიანი (65. პაჟისი).

**გოლები:** 0:1 გიანი (1), 0:2 მარვო (7), 0:3 მანგანე (20), 0:4 გიანი (61)

**გაფრთხილება:** 2:2; **კუთხური:** 6:5; **ჯარიმა:** 11:23; **თამაშგარე:** 5:5; **კარში დარტყმა:** 11:16 (1:10); **ბურთის ფლობა:** 45%:55%.

**მაყურებელი:** 13 541

### ნიცა-მონაკო 1:3

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა (35. ლეტიზი) - დიაკიტე, აპანი, სიდი, პეისლი - ფაე (80. ბაგაიოკო), ეშუაფნი, ელბიკი - ბენ საადა (72. პოტე), რემი, მუნიე.

**მონაკო (4-4-2):** რუფიე - ადრიანო, მონგონგუ, პუიგრენიე, ტრაორე - ალონსო (83. პერესი), კუტადო, კოშტა, ნენე - პარკი, გუდიონსენი (46. ნკულუ).

**გოლები:** 0:1 ნენე (8 პენ), 0:2 ალონსო (12), 1:2 რემი (42), 1:3 ალონსო (71)

**გაფრთხილება:** 2:2; **კუთხური:** 4:1; **ჯარიმა:** 20:20; **თამაშგარე:** 1:4; **კარში დარტყმა:** 17:11 (3:4); **ბურთის ფლობა:** 52%:48%.

**მაყურებელი:** 8 030

### ლორიანი-ნანსი 3:1

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, მორელი (83. ლე ლანი) - ამალფიტანო, დიუკასი (70. მონტერუბიო), მვემბა, დიარა - გამეირო, ვაირუა (71. პენალბა).

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - მაკალუსო (62. ტრაორე), ლოტიესი, სამი, მარანჟი - კა, ნდიაიე (63. ფერე) - აიტე (56. ეფულუ), ჰაჯი, ბრიზონი - ბაკარი.

**გოლები:** 1:0 დიარა (43), 2:0 გამეირო (60), 2:1 ეფულუ (91), 3:1 მონტერუბიო (94)

**გაფრთხილება:** 1:2; **კუთხური:** 5:4; **ჯარიმა:** 17:18; **თამაშგარე:** 3:3; **კარში დარტყმა:** 18:10 (6:2); **ბურთის ფლობა:** 56%:44%.

**მაყურებელი:** 9 601

### სოშო-ვალანსიენი 2:5

**სოშო (4-4-2):** რიშერი - ფატი (8. სტევანოვიჩი), პერკისი, ბრეშე, მიკარი - ბუდაბუზი (75. ტულანსე), მარტინი, დალმა, მორის-ბელაი (65. პრივატი) - სვერკოში, დევისი.

**ვალანსიენი (4-2-3-1):** ნდი ასემბე - დუკურტიუ, ბიზევაცი, რაფაელ შმიტცი, ტიენე - გომისი, სანჩესი - მატერი (73. ბენ ხალფალაჰი), კოადი, პუჟოლი (89. კადირი) - ოდელი (75. ბონგი).

**გოლები:** 1:0 ბრეშე (3), 1:1 სანჩესი (23), 2:1 ბუდებუზი (40), 2:2 პუჟოლი (49), 2:3 ოდელი (63), 2:4 ბენ ხალფალაჰი (78), 2:5 პუჟოლი (85).

**გაძევება:** სვერკოში (83)

**გაფრთხილება:** 1:2; **კუთხური:** 6:4; **ჯარიმა:** 9:22; **თამაშგარე:** 0:2; **კარში დარტყმა:** 18:14 (7:7); **ბურთის ფლობა:** 50%:50%.

**მაყურებელი:** 11 880

### სენტ ეტიენი-ოსერი 1:1

**სენტ ეტიენი (4-4-2):** ჟანო - ვარო, ბაიალ სალი, ნდავი, დაბო (83. ლანდრინი) - ა. ფერნანდესი (81. რივიერი), მატუიდი, ჟ. ფერნანდესი, პაიე - სანოგო, ბერგასიო (65. მირალიასი).

**ოსერი (4-2-3-1):** სორენი - ანგბარო, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი - პედრეტი, ნდინგა - ბირსა (61. ოლიეჩი), შაფნი (74. ნიკულაე), კაპუე (74. ლეჟენი) - ჟელენი.

**გოლები:** 1:0 ბერგესიო (13), 1:1 ლეჟენი (76).

**გაფრთხილება:** 2:2; **კუთხური:** 7:4; **ჯარიმა:** 15:12; **თამაშგარე:** 3:1; **კარში დარტყმა:** 16:13 (4:4); **ბურთის ფლობა:** 63%:37%.

**მაყურებელი:** 24 309

### მარსელი-მონპელიე 4:2

**მარსელი (4-3-1-2):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო (46. როლი) - აბრიელი, სისე, შეირუ - ლ. გონსალესი (72. ბენ არფა) - ბრანდაო, ნიანგი (85. მორიენტესი).

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი, სპაჰიჩი, ჟენშამი (46. კოლინი) - მარვო (78. კამარა), პიტო, კოშტა - დერნისი (52. აიტ-ფანა), მონტანიო, ბელჰანდა.

**გოლები:** 1:0 ლ. გონსალესი (31), 2:0 ნიანგი (34), 3:0 სისე (39), 4:0 დიავარა (51), 4:1 ბელჰანდა (75), 4:2 კამარა (87 პენ).

**გაფრთხილება:** 0:3; **კუთხური:** 3:3; **ჯარიმა:** 15:24; **თამაშგარე:** 4:2; **კარში დარტყმა:** 6:13 (4:4); **ბურთის ფლობა:** 58%:42%.

**მაყურებელი:** 52 341

### ლანსი-ლილი 1:1

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - ლორენტი, იაპია, შელი (75. სარტრი), რამოსი - სოუ, კოვაჩევიჩი - დემონი, ედუარდო (67. ჰერმაში), ბუკარი - ჟემაა (80. მაულიდა).

**ლილი (4-3-3):** ბიუტელი - დებიუში, რამი, ჩევჯუ (72. კაბაიე), ბერია - ბალმონი, მავუბა, დიუმონი (59. ვიტეკი) - ჟერვინიო, ფრო (65. ჰაზარი), აუბამეიანგი.

**გოლები:** 1:0 ბუკარი (57), 1:1 რამი (94).

**გაძევება:** კაბაიე (73)

**გაფრთხილება:** 4:0; **კუთხური:** 5:5; **ჯარიმა:** 19:19; **თამაშგარე:** 1:0; **კარში დარტყმა:** 13:10 (2:2); **ბურთის ფლობა:** 48%:52%.

**მაყურებელი:** 35 712

### ტულუზი-ლე მანი 2:0

**ტულუზი (4-3-2-1):** პელე - კონგრე, კაპუე, ნუნკეუ, ტაბანუ - სისოკო, ბერსონი, მაშადო (85. მანსარე) - ბრაატენი, დიდო - ჟინიაკი.

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, ლუვიონი, სერდანი, ბაალი - გულონი, ტომასი - ლე ტალეკი, ლორიო (63. ჰელსტადი), ლამა (74. დოსევი) - მაიგა.

**გოლები:** 1:0 დიდო (25), 2:0 სისოკო (69).

**შენიშვნა:** გიორგი მაკარიძე სათადარიგო იყო.

**გაფრთხილება:** 0:2; **კუთხური:** 4:11; **ჯარიმა:** 10:17; **თამაშგარე:** 0:1; **კარში დარტყმა:** 19:19 (7:6); **ბურთის ფლობა:** 54%:46%.

**მაყურებელი:** 13 072

### პსჟ-ლიონი 1:1

**პსჟ (4-4-1-1):** კუპე - სეარა, ტრაორე, სახო, არმანი - ჟალე, მაკელელე, კლემანი, ლუინდულა (87. სანხარე) - ჟიული (67. შანტომი) - ოარო.

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - კლერი, კრისი, ბოდმერი, სისოხო - მაკუნი, ტულალანი, კალსტრიომი (69. ედერსონი) - დელგადო (46. გომისი), ლოპესი, გოვუ (57. პიანიჩი).

**გოლები:** 1:0 ჟიული (29), 1:1 გომისი (85).

**გაფრთხილება:** 1:2; **კუთხური:** 6:4; **ჯარიმა:** 13:13; **თამაშგარე:** 2:2; **კარში დარტყმა:** 14:11 (7:5); **ბურთის ფლობა:** 38%:62%.

**მაყურებელი:** 44 778

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| 2. ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 3. მარსელი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-4 | 14 |
| 4. რენი | 6 | 3 | 3 | 0 | 12-4 | 12 |
| 5. მონაკო | 6 | 4 | 0 | 2 | 8-6 | 12 |
| 6. მონპელიე | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 7. პსჟ | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 8. ლორიანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 9. ტულუზი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 10. ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 11. ბულონი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-7 | 8 |
| 12. ნანსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-9 | 7 |
| 13. ვალანსიენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-10 | 7 |
| 14. სოშო | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 6 |
| 15. ლილი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 16. ოსერი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 17. ლე მანი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |
| 18. სტ. ეტიენი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 4 |
| 19. ნიცა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-13 | 4 |
| 20. გრენობლი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-12 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - გურკუფი (ბორდო), ნიანგი (მარსელი), ნენე (მონაკო), გიანი (რენი); 3 - პუჟოლი (ვალანსიენი), ეფულუ (ნანსი), ბუკარი (ლანსი), გომისი (ლიონი), გუფრანი (ბორდო), გამეირო (ლორიანი), ჟიული (პსჟ), შამახი (ბორდო), ალბერტო კოშტა (მონპელიე).

### ლიგა 2

### VII ტური

**ანჟერი-სედანი** 1:1

გოლები: 1:0 ონიანგუე (14), 1:1 ენაინი (41)

**ბასტია-ნანტი** 1:1

გოლები: 0:1 ზერკა (7), 1:1 გაფორი (25)

**კლერმონი-სტრასბური** 3:0

გოლები: 1:0 მურსი (47), 2:0 იატაბარე (57 პენ), 3:0 დარში (79)

**ისტრი-ლე ავრი** 0:1

გოლი: 0:1 ენინი (12)

**მეცი-დიჟონი** 0:0

**ბრესტი-ვენგამი** 2:0

გოლები: 1:0 ლესუამიე (54), 2:0 რო (78)

გაძევება: ბინე (54. ბრესტი)

**ნიმი-ლავალი** 1:1

გოლები: 1:0 აიტე (47), 1:1 შაპუა (86-პენ)

**ტური-არლი** 4:2

გოლები: 1:0 ჟირუ (7), 2:0 ჟირუ (44), 2:1 აიე (45), 2:2 პსაუმე (48), 3:2 ჟირუ (65), 4:2 ჟირუ (91).

**ვანი-შატორუ** 3:2

გოლები: 1:0 ჟიმბერი (34), 1:1 კონე (39), 1:2 კონსტანტი (68 პენ), 2:2 კამარა (75), 3:2 სამარიტანო (86)

**კაენი-აიაჩო** 1:0

გოლი: 1:0 ნდიაიე (22)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 7 | 5 | 2 | 0 | 7-2 | 17 |
| 2. ნანტი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-7 | 14 |
| 3. ტური | 7 | 3 | 3 | 1 | 11-6 | 12 |
| 4. შატორუ | 7 | 3 | 3 | 1 | 10-6 | 12 |
| 5. ვანი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-9 | 12 |
| 6. ლავალი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-7 | 12 |
| 7. არლი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-11 | 11 |
| 8. ლე ავრი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-8 | 11 |
| 9. ბრესტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-9 | 10 |
| 10. ანჟერი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-9 | 9 |
| 11. ვენგამი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-5 | 9 |
| 12. მეცი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-7 | 9 |
| 13. დიჟონი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-7 | 9 |
| 14. ნიმი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-10 | 7 |
| 15. კლერმონი | 7 | 1 | 3 | 3 | 8-8 | 6 |
| 16. სედანი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 17. ისტრი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-11 | 6 |
| 18. აიაჩო | 7 | 1 | 2 | 4 | 8-10 | 5 |
| 19. ბასტია | 7 | 1 | 1 | 5 | 8-8 | 4 |
| 20. სტრასბური | 7 | 0 | 3 | 4 | 9-15 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია. ერედივიზიე

# სუარესს პოკერი უყვარს

| VII ტური | |
|---|---|
| ვილემი-გრონინგენი | 2:1 |
| ჰერაკლესი-სპარტა | 1:1 |
| როდა-ბრედა | 2:0 |
| ვიტესი-ვაალვიკი | 3:1 |
| ალკმაარი-ნიიმეგენი | 0:1 |
| დენ ჰააგი-უტრეხტი | 0:1 |
| ფეიენოორდი-ეინდჰოვენი | 1:3 |
| ჰერენვეენი-ტვენტე | 0:2 |
| ვენლო-აიაქსი | 0:4 |

გადახალისებულმა „ფეიენოორდმა" სეზონში პირველი სერიოზული გამოცდა ვერ ჩააბარა. „დუ კუიპის" სტადიონზე როტერდამელები მათსავით 14 ქულის მფლობელ „ეინდჰოვენს" ხვდებოდნენ. მატჩის ბედი პირველივე ტაიმში სტუმრების სასარგებლოდ გადაწყდა, რაც პირველ რიგში **დანკო ლაზოვიჩის** დამსახურებაა. სერბმა გარემარბმა მარჯვენა ფლანგი აიკლო და სწორედ მისი გადაცემების შემდეგ გავიდა სამი გოლი „ფეიენოორდის" კარში. პირველ ორ შემთხვევაში **დენი კუვერმანსმა** იხეირა და დუბლი შეასრულა, კიდევ ერთი გოლი „ტვენტეს" ყოფილმა ლიდერმა **ოტმან ბაკალმა** ჩაინერა აქტივში. მან ეფექტურად მოატყუა მასპინძელთა მცველი **ანდრე ბაია** და „ეინდჰოვენის" ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა. ბაკალის გოლამდე **ანდველე სლორიმ სეკუ სისეს** პასი გამოიყენა და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ მასპინძლებს თავი ალარაფრით გამოუჩენიათ.

„ფეიენოორდის" შემადგენლობაში ერთადერთი **ჯონათან დე გუსმანის** გამოყოფა შეიძლება. მან ჯარიმებიც კარგად შეასრულა და პასებიც უხვად ჩამოარიგა, მაგრამ იმ დღეს უშეცდომოდ თამაშობდა „ეინდჰოვენის" კარის დარაჯი **ანდრეას ისაქსონი**.

„ეინდჰოვენი" ჯერაც დაუმარცხებელი მიიწევს წინ. იგივე შედეგით შეუძლია დაიკვეხნოს „ტვენტეს", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ჰერენვეენი". ამჯერად **მაკლარენის** გუნდში გოლეადორად არა გამოცდილი **ბლეზ ნკუფო**, არამედ 19 წლის **მიროსლავ შტოხი** მოგვევლინა. სლოვაკი შემტევი ნახევარმცველის ანგარიშზე დუბლი მოდის. ეს ფეხბურთელი „ტვენტეს" „ჩელსიდან" ჰყავს ნათხოვარი. შტოხი „არისტოკრატების" იუნიორთა გუნდში 2006 წელს მივიდა და მომდევნო სეზონში თანატოლებს შორის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 2008 წლის 30 ნოემბერს კი „არსენალის" წინააღმდეგ დებიუტი ჰქონდა პრემიერლიგაში - 80-ე წუთზე **დეკუ** შეცვალა. სულ შტოხმა „ჩელსის" რიგებში 4 მატჩი ჩაატარა, ამ ზაფხულს კი არენდით ჰოლანდიაში გადაბარგდა. მიროსლავს სლოვაკეთის ნაკრებში 6 მატჩი აქვს ჩატარებული და ერთი გოლი გატანილი.

თუმცა შტოხის კარგი თამაში მეშვიდე ტურის გმირმა **ლუის სუარესმა** დაჩრდილა. „აიაქსის" ურუგვაელმა ლეგიონერმა ოთხი გოლი გაუტანა „ვენლოს" და ამ გუნდს სეზონში პირველი მარცხი აგემა. სამხრეთამერიკელს შვიდ მატჩში უკვე ათი გოლი დაუგროვდა - მის ანგარიშზე პოკერის გარდა ჰეთ-თრიკიც („ვაალვიკის" წინააღმდეგ) არის და დუბლიც. სხვათა შორის სუარესმა კიდევ ერთი პოკერი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციოზე ბრატისლავას „სლოვანთან" მატჩიც შეასრულა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მოქმედი ჩემპიონის ზედიზედ მეორე მარცხი. „დენ ჰააგთან" წაგების შემდეგ, „ალკმაარმა" შინ მინიმალური ანგარიშით დათმო შეხვედრა „ნიიმეგენთან". მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ დანინაურება, მაგრამ **გრაციანო პელესა** და **რასმუს ელმს** არ გაუმართლათ, რასაც ვერ ვიტყვით სტუმარ **ლორენცო დავიდსზე**, რომელმაც შესანიშნავად ისარგებლა „ალკმაარის" მეკარის **სერხიო რომეროს** შეცდომით და მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა. ჩემპიონთა ლიგაზე „ოლიმპიაკოსთან" დამარცხების გათვალისწინებით, „ალკმაარს" ზედიზედ სამი წაგება დაუგროვდა. **რონალდ კუმანის** გუნდი უჭირს, რაც გვაიძულებს ეჭვის თვალით შევხედოთ ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის სამწვრთნელო შესაძლებლობებს.

ბოლოს გთავაზობთ GOAL.com-ის მიერ შედგენილი ტურის სიმბოლურ ნაკრებს: **პიეტ ველტჰუიზენი** (ვიტესი) - **დავი დე ფაუვი** (როდა), **დუგლასი** (ტვენტე), **დელე აბელეი** (სპარტა), **პოლ ვერჰაეგი** (ვიტესი) - **დანკო ლაზოვიჩი** (ეინდჰოვენი), **ოტმან ბაკალი** (ეინდჰოვენი), **ვოუტ ბრამა** (ტვენტე), **მიროსლავ შტოხი** (ტვენტე) - **ლუის სუარესი** (აიაქსი), **დენი კუვერმანსი** (ეინდჰოვენი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 7 | 5 | 2 | 0 | 19-9 | 17 |
| 2. ტვენტე | 7 | 5 | 2 | 0 | 12-5 | 17 |
| 3. აიაქსი | 7 | 5 | 1 | 1 | 22-5 | 16 |
| 4. ფეიენოორდი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| 5. უტრეხტი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| 6. ალკმაარი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-7 | 12 |
| 7. დენ ჰააგი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-8 | 10 |
| 8. ბრედა | 7 | 3 | 1 | 3 | 7-13 | 10 |
| 9. ნიიმეგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 10. ვიტესი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-13 | 8 |
| 11. ვენლო | 7 | 1 | 5 | 1 | 11-14 | 8 |
| 12. ჰერაკლესი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 13. სპარტა | 7 | 2 | 2 | 3 | 4-8 | 8 |
| 14. როდა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-12 | 8 |
| 15. ვილემი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-11 | 6 |
| 16. გრონინგენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 17. ჰერენვეენი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-11 | 4 |
| 18. ვაალვიკი | 7 | 0 | 0 | 7 | 3-19 | 0 |

**ბომბარდირები:** 10 - სუარესი (აიაქსი); 6 - კოვერმანსი (ეინდჰოვენი), 5 - ტომასონი (ფეიენოორდი), ჰონდა (ვენლო), ელ ჰამდაუი (ალკმაარი).



ტურის გმირი ლუის სუარესი

ბელგია. ჟუპილერ ლიგა


ანდერლეხტმა და გენტმა ბევრი იომეს

# ზღაპარი გრძელდება

| VII ტური | |
|---|---|
| გენკი-შარლერუა | 1:2 |
| სერკლი-ბეერსხოტი | 1:2 |
| კორტრიიკი-სტ. ტრუიდენი | 0:1 |
| მეხელენი-რუზელარე | 3:2 |
| ლოკერენი-სტანდარდი | 1:3 |
| ვარეგემი-მუსკრონი | 3:1 |
| ვესტერლო-ბრიუგე | 1:4 |
| ანდერლეხტი-გენტი | 1:1 |

„სენტ ტრუიდენი" აღარ ხუმრობს. ჩემპიონატის სტარტზე ნათამაშები ორი ფრის შემდეგ, ლიგის დებიუტანტმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო და ისევ ერთპიროვნულად ლიდერობს ბელგიის ლიგას.

წინა ტურში „ანდერლეხტის" ძლევის შემდეგ, მოულოდნელმა ლიდერმა სტუმრად „კორტრიიკი" დასცა - ისევ **იბრაჰიმა სიდიბეს** გოლის წყალობით, თუმცა მატჩის გმირად „სენტ ტრუიდენის" მეკარე **სიმონ მინოლე** მოინათლა. მას შემდეგ, რაც სტუმრები ათი კაცით დარჩნენ მოედანზე (გააძევეს **დენის ოდოი**), 21 წლის გოლკიპერმა ზედიზედ მოიგერია **ბენკოს**, **იბუს**, **ბეულისა** და **ბენტეკეს** დარტყმები.

ლიდერისთვის ამ ტურში ისიც კარგი ამბავი იყო, რომ მისმა უახლოესმა მდევარმა „ანდერლეხტმა" შინ ფრე ითამაშა „გენტთან" და ორი ქულა დაკარგა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ბელგიურ გრანდს დიდი უპირატესობა ჰქონდა და სამ ქულას იმსახურებდა. მოგება „გენტსაც" შეეძლო და საყაიმო ანგარიშმა, ალბათ, ორივე გუნდი დააკმაყოფილა.

ამასობაში თავი წამოყო „ბრიუგემ", რომელმაც მცირე ჩავარდნის შემდეგ აუტსაიდერი „ვესტერლო" მისსავე მოედანზე დაიბრიყვა და „ანდერლეხტსა" და „გენტს" დაეწია. არადა, „ვესტერლოსთვის" ყველაფერი კარგად დაიწყო - კიევის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველის **პაველ იაკოვენკოს** ვაჟმა - **ალექსანდრმა** მეოთხე წუთზე წინ გაიყვანა მასპინძლები. *„ფრეს მაინც ვიმსახურებდით, მაგრამ არ გაგვიმართლა"*, - სინანულით აღნიშნა იაკოვენკომ. უკრაინელმა პირველი ტაიმის ბოლო წუთები იგულისხმა, როცა **ხაიმე რუისს** სამი დარტყმა აუღო „ბრიუგეს" მეკარე **სტიინენმა**. იმ მომენტისთვის სტუმრები 2:1-ს იგებდნენ, მეორე ტაიმში კი კიდევ ორჯერ გამოიჩინეს თავი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ტრუიდენი | 7 | 5 | 2 | 0 | 11-5 | 17 |
| 2. გენტი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-7 | 14 |
| 3. ანდერლეხტი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 4. ბრიუგე | 7 | 4 | 2 | 1 | 15-9 | 14 |
| 5. სტანდარდი | 7 | 3 | 4 | 0 | 16-7 | 13 |
| 6. მეხელენი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-12 | 12 |
| 7. შარლერუა | 7 | 3 | 2 | 2 | 8-9 | 11 |
| 8. კორტრიიკი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 9. ვარეგემი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-11 | 9 |
| 10. ბეერსხოტი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 9 |
| 11. სერკლი | 7 | 2 | 1 | 4 | 13-13 | 7 |
| 12. გენკი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-9 | 7 |
| 13. მუსკრონი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-12 | 5 |
| 14. ლოკერენი | 7 | 1 | 1 | 5 | 9-15 | 4 |
| 15. ვესტერლო | 7 | 1 | 1 | 5 | 5-15 | 4 |
| 16. რუზელარე | 7 | 0 | 2 | 5 | 7-19 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), სიდიბე (სტ. ტრუიდენი); 4 - აკპალა (ბრიუგე), ბუსუფა (ანდერლეხტი), ტერეო (შარლერუა), ოკვუნვანე (მუსკრონი), გორიუსი (მეხელენი), ელ-გააუირი (რუზელარე), დესტორმი (მეხელენი), კარსელა-გონსალესი (სტანდარდი).

პორტუგალია. საგრეშ ლიგა

# პირველი წაგება ნოემბრის შემდეგ

| V ტური | |
|---|---|
| ლეიქსოეში-გიმარაეში | 3:1 |
| ფერეირა-რიუ ავე | 1:1 |
| ბრაგა-პორტუ | 1:0 |
| აკადემიკა-ბელენენსეში | 1:1 |
| ნავალი-სეტუბალი | 0:1 |
| ნასიონალი-მარიტიმუ | 2:1 |
| ლეირია-ბენფიკა | 1:2 |
| სპორტინგი-ოლანენსე | 3:2 |

„ბრაგა" აგრძელებს თავის ბრწყინვალე სერიას. ამ გუნდმა ბოლო ტურში თითქმის შეუძლებელი შეძლო - დაამარცხა ჩემპიონი „პორტუ". რატომ შეუძლებელი? იმიტომ, რომ „პორტუ" 2008 წლის 8 ნოემბერის (!) შემდეგ არ დამარცხებულა პორტუგალიის ჩემპიონატში.

მასპინძლებმა სრულად დაიმსახურეს ეს გამარჯვება, რადგან ძირითადად დრო შეტევაში გაატარეს. დიდი კამათი გამოიწვია მე-16 წუთზე მომხდარმა ინციდენტმა, როცა **ალვარო პერეირამ** საკუთარ საჯარიმოში წააქცია **ალანი**, მაგრამ მსაჯმა „პორტუს" მხარე დაიჭირა და პენალტი არ დანიშნა. AXA-ს სტადიონი ისედაც მოქმედ ვულკანს ჰგავდა და სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა უფრო გაზარდეს ტემპი. შეუჩერებელი იყო **მოსოროს**, **უგო ვიანასა** და ალანის ტრიო. ეს უკანასკნელი მატჩის დღეს 30 წლის გახდა და ბრაზილიელმა საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. „პორტუს" ყოფილმა ფორვარდმა (2005-08 წლებში ალანმა პორტუგალიურ გრანდში 32 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა) მარჯვენა ფლანგიდან მიიღო პასი, ჯერ **ვარელა** მოატყუა და შემდეგ **ელტონი** და „ბრაგას" მოაგებინა. ალანს იშვიათად გააქვს გოლები - 30 მატჩში ეს მეორე ბურთი იყო, მაგრამ მისთვისაც და კლუბისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი.

სხვათა შორის, იმ დღეს „ბრაგას" მეორე ფეხბურთელს, მეკარე **ედუარდოსაც** ჰქონდა დაბადების დღე. მანაც დიდი როლი ითამაშა ამ გამარჯვებაში, რადგან ბოლო წუთზე ორი ბრწყინვალე ნახტომით **ფარიასს** ზედიზედ ორი დარტყმა აუღო.

ამ ეტაპზე „ბრაგას" მთავარ მეტოქედ „ბენფიკა" მოჩანს, რომელმაც ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. „არწივებს" ძალიან გაუჭირდათ „ლეირიას" დამარცხება, არადა სტუმრებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო - ზედიზედ მეორე მატჩში გამოიჩინა თავი **ხავიერ სავიოლამ** (თანამემულე **აიმარის** პასით), თუმცა მე-20 წუთზე **ანდრე ლუიშმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ანგარიში გათანაბრდა. „ბენფიკა" 79-ე წუთამდე ბევრს ეცადა წინ გასვლას და ამ მონდომებამ შედეგი გამოიღო. „ლეირიას" საჯარიმოში შესული აიმარი **მამადუ ტალმა** წააქცია და „ბენფიკას" საუკეთესო ბომბარდირმა **ოსკარ კარდოსომ** პენალტით სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაგა | 5 | 5 | 0 | 0 | 9-3 | 15 |
| 2. ბენფიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 16-3 | 13 |
| 3. პორტუ | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 4. სპორტინგი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 5 რიუ ავე | 5 | 2 | 3 | 0 | 5-2 | 9 |
| 6. ლეირია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-3 | 6 |
| 7. ოლანენსე | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 8. გიმარაეში | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 9. მარიტიმუ | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 10. ლეიქსოეში | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 11. ბელენენსეში | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 11. ნასიონალი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 13. ფერეირა | 5 | 0 | 4 | 1 | 3-4 | 4 |
| 14. სეტუბალი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-13 | 4 |
| 15. აკადემიკა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |
| 16. ნავალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - კარდოსო (ბენფიკა); 4 - ფალკაო გარსია (პორტუ); 3 - რამირესი (ბენფიკა), მეიონგ ზე (ბრაგა), იონტჩა (ბელენენსეში).

შოტლანდია. პრემიერლიგა

# რეინჯერსს გოლი დაავიწყდა

| V ტური | |
|---|---|
| კილმარნოკი-რეინჯერსი | 0:0 |
| აბერდინი-სტ. მირენი | 1:0 |
| დანდი იუნ-მოზერველი | 0:1 |
| ჰემილტონი-ფალკირკი | 0:0 |
| ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი | 3:0 |
| სელტიკი-ჰართსი | 2:1 |

შოტლანდიის პრემიერლიგაში თანდათან იკვეთება ტრადიციული სურათი - „სელტიკი" და „რეინჯერსი" ნელნელა სცილდებიან კონკურენტებს, თუმცა „რეინჯერსს" ბოლო ტურებში აშკარად უჭირს - **უოლტერ სმიტის** გუნდმა ზედიზედ მეორე მატჩი ფრედ დაასრულა, თანაც ისე, რომ გოლი ვერ გაიტანა მეტოქეთა კარში.

„კილმარნოკმა" და „რეინჯერსმა" 10-10 კაცით დაასრულეს შეხვედრა. მასპინძლებმა შეწყვიტეს გლაზგოურ კლუბთან შინ სამმატჩიანი წაგებათა სერია, თუმცა თავის მხრივ, „რეინჯერსი" „რაგბი პარკზე" 1994 წლის შემდეგ არ მარცხდება.

„სელტიკმა" მეორე ტაიმში გატეხა „ჰართსის" წინააღმდეგობა და პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. თუმცა მეორე გლაზგოურ გრანდსაც ემუქრებოდა ორი ქულის დაკარგვა.

„ჰართსი" აუტსაიდერთა შორისაა და სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს. სტუმრებმა მეოთხე წუთზე **სუსოს** 40-მეტრიანი სოლო-რეიდით გახსნეს ანგარიში და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც. მეორე ნახევარში „სელტიკმა" ბრიტანულ სტილში ორი გოლი თავით გაიტანა. ჯერ **კრის კილენმა** ახლოდან გაიტანა, ბოლო წუთზე კი ჰოლანდიელმა ცენტრალურმა მცველმა **გლენ ლოოვენსმა** **ლი უოლასის** შეცდომით ისარგებლა და ხუთი მეტრიდან შეაგდო. ლოოვენსს ვინც არ იცნობს, გეტყვით, რომ ის ხუთი წელი „ფეიენოორდში" თამაშობდა, 2008 წელს კი „სელტიკში" ჩაირიცხა. 2009 წლის 5 სექტემბერს მას იაპონიასთან მატჩში დებიუტი ჰქონდა ჰოლანდიის ნაკრების რიგებში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „სელტიკი" სრულად იმსახურებდა ამ სამ ქულას, რადგან უამრავი საგოლე მომენტი შექმნა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-5 | 13 |
| 2. რეინჯერსი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| 3. ჰიბერნიანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 4. მოზერველი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| 5. აბერდინი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 5. დანდი იუნ | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 7. სტ. მირენი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 8. კილმარნოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 9. ჰართსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 10. ჰემილტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-10 | 4 |
| 11. სტ. ჯონსტონი | 5 | 0 | 3 | 2 | 7-13 | 3 |
| 12. ფალკირკი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 | 2 |

**ბომბარდირები:** 3 - მაკგინი (სტ. მირენი), მაკდონალდი (სელტიკი), კადამარტერი (დანდი იუნ), ბოიდი (რეინჯერსი), ფორბსი (მოზერველი), რაიორდანი (ჰიბერნიანი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

გერმანიის ნაკრები

# მოსკოვში, ენკეს გარეშე!

## რუსეთთან კარში ადლერი დადგება

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გადაწყვიტა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მომდევნო ორ მატჩში, რუსეთთან (10 ოქტომბერს, მოსკოვში) და ფინეთთან (14 ოქტომბერს, ჰამბურგში) მეკარე **რობერტ ენკე** არ გამოიძახოს. ბუნდესმწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება უშუალოდ „ჰანოვერის" კარის დარაჯთან პირადი საუბრის შემდეგ მიიღო. ენკე ტრავმირებული გახლდათ, რის გამოც ვერც სამხრეთ აფრიკასთან ტესტ-მატჩში იასპარეზა და ვერც აზერბაიჯანთან შეხვედრაში.

*„რობერტი ამ დღეებში მსუბუქად ვარჯიშს დაიწყებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსკოვის მატჩისთვის, შესაძლოა, ჯანმრთელი იყოს, მაგრამ საუკეთესო ფორმაში ვერ იქნება. რუსეთთან შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მინდა, ყველა ფეხბურთელი, ვინც მოედანზე გავა, საუკეთესო ფორმაში იყოს. რობერტს მალე გამოჯანმრთელებას და ფორმის სწრაფად აღდგენას ვუსურვებ,"* - განუცხადა ლიოვმა „კიკერს".

*„ცხადია, გულდასაწყვეტია ის, რომ ასეთ მნიშვნელოვან თამაშში მონაწილეობას ვერ მივიღებ. მწვრთნელის გადაწყვეტილება ჩემთვის მისაღებია",* - ეს კი თვითონ ენკეს სიტყვებია.

რობერტ ენკეს გერმანიის ნაკრებში 8 თამაში აქვს ჩატარებული. სანამ „ჰანოვერის" ვეტერანი კიპერი დაშავდებოდა, ლიოვმა მას რუსეთთან თამაშის გარანტია მისცა. ახლა კი გამოდის, რომ რუსეთთანაც და ფინეთთანაც „ლევერკუზენის" მეკარე **რენე ადლერმა** უნდა ითამაშოს. ამ უკანასკნელმა სამხრეთ აფრიკასთან საკმაოდ კარგად იასპარეზა. სათადარიგოთა სკამზე კი ლიოვს „შალკეს" კარის დარაჯი **მანუელ ნოიერი** ჰყავდა. ფაქტია, რომ ლიოვი მომავალი მატჩებისთვისაც ადლერსა და ნოიერს გამოიძახებს, თუმცა, გერმანიის ნაკრების განაცხადში მოხვედრის იმედი შეუძლია ჰქონდეს „ვერდერის" კარის დარაჯ **ტიმ ვიზესაც**.



იოახიმ ლიოვი რობერტ ენკეს ვერ დაიხმარს

ჰამბურგი

# ბერგი არ ვარგა, მოვა სმოლიარეკი?

## ჰამბურგს სასწრაფოდ ახალი თავდამსხმელი სჭირდება



ები სმოლიარეკს ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს. ის დორტმუნდის ბორუსიას ღირსებას იცავდა

კვირას, ფრანკფურტის „აინტრახტისა" და „ჰამბურგის" შეხვედრაში (1:1) სტუმრების ახალგაზრდა თავდამსხმელი **მარკუს ბერგი** ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ყველას აინტერესებდა, რამდენად სრულფასოვნად შეცვლიდა შვედი ტალანტი ტრავმირებულ **პაულო გერეროს**, რომელიც ბუნდესლიგის ერთ-ერთ ლიდერს პირველ წრეში ველარ დაეხმარება. თამაშიდან გამომდინარე, ამ კითხვაზე მათ არადამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს და მიხვდნენ, რომ სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთხელ მართებთ გააქტიურება, მაგრამ როგორ, ფანჯარა ხომ დახურულია?

ჰამბურგელებმა უმუშევარ ფეხბურთელთა სიას გადახედეს და იქ დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილ თავდამსხმელს, პოლონელ **ები სმოლიარეკს** მიაგნეს, რომელიც ახლა უგუნდოდაა და ამრიგად, „ჰამბურგის" ფორმის მორგება შეუძლია - ოღონდ, მხოლოდ ბუნდესლიგაში. ჩრდილოგერმანული კლუბის შეფმა **ბერნდ ჰოფმანმა** კვირას სმოლიარეკით დაინტერესება დაადასტურა და თქვა, გადაწყვეტილებას ამ კვირაში მივიღებთო.

არადა, „ჰამბურგმა" ბერგში, რომელიც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 9.5 მილიონი ევრო გადაიხადა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ბერგმა კვირას ცუდად ითამაშა, საგოლე მომენტი არ შეჰქმნია და ერთ მომენტში, როდესაც **პიოტრ ტროხოვსკიმ** კარგ პოზიციაში მყოფს პასი არ მისცა, ძალიან გაბრაზდა და თანაგუნდელს შეუტია.

მეორე ტაიმში „ჰამბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ბერგი მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად თამაშში **ჯონათან პიტროიპა** ჩართო. მართალია, ამ უკანასკნელმა გუნდის თამაშს სიცოცხლე შესძინა (პიტროიპა ძალიან სწრაფია), მაგრამ 50-ე წუთზე მანაც დაამტკიცა, რომ თავდამსხმელის პოზიციაზე თამაში მისი საქმე არ არის - პიტროიპას ბუნდესლიგაში ჩატარებულ 37 მატჩში მხოლოდ ორი გოლი აქვს გატანილი.

რამდენად გააძლიერებს გუნდს სმოლიარეკი? მართალია, ეს უკანასკნელი ტიპური გოლეადორია, მაგრამ არც ისაა საუკეთესო ფორმაში - ბოლოს და ბოლოს, პოლონელი უგუნდოდაა. *„სმოლიარეკი ჩინებული ფორვარდია, მაგრამ არც მისი ფორმაა საუკეთესო, რადგან სათამაშო პრაქტიკა არ აქვს,"* - ორჭოფობს ლაბადიაც.

ჰერთა



კაპიტანი არნე ფრიდრიხი (მარცხნივ) და კომპანია

# კრიზისი ბერლინში

## ფეხბურთელები მწვრთნელის წინააღმდეგ თამაშობენ?

ბერლინის „ჰერთა" კრიზისშია - ბერლინელები ექვსი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე არიან, ერთი მოგებითა და ხუთი მარცხით. მართალია, „ჰერთასგან" ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არავინ ელოდა, მაგრამ გულშემატკივრები მინიმუმ ნორმალურ თამაშს ითხოვდნენ, რადგან გუნდმა წინა სეზონში გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლა და ბოლო ტურამდე „ვერცხლის სინის" მოპოვების კანდიდატი იყო. კვირას, „ჰერთამ" საკუთარ კედლებში „ფრაიბურგთან" 0:4 წააგო, რის შემდეგაც გაჩნდა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი იმის შესახებ, რომ ბერლინელი ფეხბურთელები თამაშებს განგებ აგებენ და მწვრთნელ **ლუსიენ ფავრის** წინააღმდეგ თამაშობენ.

ფაქტი ის არის, რომ „ჰერთა" აბსოლუტურად უიდეო, უნიათო და ზანტ ფეხბურთს თამაშობს. სწორედ ამიტომ ვარაუდობენ ჩვენი გერმანელი კოლეგები იმას, რომ შვეიცარიელმა მწვრთნელმა გუნდზე კონტროლი აბსოლუტურად დაკარგა. ფაქტია ისიც, რომ ბერლინელებს ამაზე ქვემოთ დაშვება აღარ შეუძლიათ - გუნდი ხომ უკვე მე-18 ადგილზეა. „ფრაიბურგთან" მატჩის წინ „ჰერთას" ფეხბურთელები გულშემატკივრებს დაჰპირდნენ, ვიბრძოლებთ და მოედანზე თავს არ დავზოგავთო, მაგრამ პირველიდან ბოლო წუთამდე „ფრაიმ" დედაქალაქის გუნდი ისე აბურთავა, თითქოს მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერს ეთამაშებოდა.

ექსპერტები წერენ, რომ გუნდის თამაში აშკარად მწვრთნელის წინააღმდეგაა მიმართული, რადგან ასეთი უიდეობა და უნიათობა ბუნდესლიგის თავმოყვარე გუნდისთვის უბრალოდ წარმოუდგენელი და რთულად დასაჯერებელია. მით უმეტეს, საქმე გვაქვს „ჰერთასთან" - გუნდთან, რომელსაც არცთუ პატარა ამბიციები აქვს. რატომ უნდა თამაშობდეს გუნდი მწვრთნელის წინააღმდეგ? ვარაუდის დონეზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლუსიენ ფავრი **დიტერ ჰიონესის** კადრია. შვეიცარიელი „მწვრთნელი" „ჰერთას" დამრიგებლად სწორედ ამ უკანასკნელმა დანიშნა. როგორც იცით, ივნისის შემდეგ ჰიონესი ბერლინული კლუბის გენერალური მენეჯერი აღარ არის - სამეთვალყურეო საბჭომ მას ფაქტობრივად იმპიჩმენტი მოუწყო. ასე რომ, გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ ახალ მენეჯერ **მიხაელ პრეეტცს** ფავრის გათავისუფლება აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ამ ნაბიჯს უმიზეზოდ ვერ გადადგამდა, რადგან ფავრის ხელში „ჰერთამ" წინა სეზონებში აშკარად დიდი პროგრესი განიცადა. რაც არ უნდა იყოს, წლებია, ბერლინელებს გერმანიის ჩემპიონობისთვის აღარ უბრძოლიათ, ოთხი თვის წინ კი „ვერცხლის სინის" მოპოვების რეალური კანდიდატები იყვნენ.

გუნდის პრეზიდენტმა **ვერნერ გეგენბაუერმა** „ფრაიბურგთან" მატჩის შემდეგ კომენტარის გაკეთება არ ისურვა, პრეეტცმა კი, მიუხედავად ზემოთ გამოთქმული ვარაუდებისა, თქვა, ფავრის შესაძლებლობებს კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებთ და მის გაგდებას არ ვაპირებთო. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გუნდი უკვე ბოლო ადგილზეა და ისეთ სუსტ კლუბებთან წააგო, როგორებიცაა „ფრაიბურგი", „მაინცი", მიონხენგლადბახის „ბორუსია" და „ბოხუმი". იბადება კითხვა: კი მაგრამ, ვილას უნდა მოუგოს „ჰერთამ"? შესაბამისად, თუკი გუნდი მომდევნო ტურში კრიზისიდან გამოსვლისკენ ნაბიჯს ვერ გადადგამს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფავრი უმუშევარი დარჩება.

მართალია, წინა სეზონის შემდეგ „ჰერთამ" **მარკო პანტელიჩი** და **ანდრეი ვორონინი** დაკარგა, მაგრამ წარმოუდგენელია, ამ ორი ფეხბურთელის წასვლას გუნდი ისე დაესუსტებინა, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლი კოლექტივი უცებ მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებელ კანდიდატად გადაექცია. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ახალწვეულთაგან ვერც ერთმა მოთამაშემ იმედები ვერ გაამართლა. მაგალითად, ვორონინის შემცვლელის რანგში შეძენილმა **არტურ ვიხნიარეკმა**, რომელიც „ჰერთასთვის" მთავარი დამრტყმელი ძალა უნდა გამხდარიყო, იმედები ოდნავადაც ვერ გაამართლა - „მეფე არტური" დღემდე უგოლოდაა. „ფრაიბურგთან" ვიხნიარეკმა „ჰერთას" მაისურით ამ სეზონში მერვე მატჩი ჩაატარა და კვლავ ვერ მოახერხა გოლის გატანა. დაცვას კი, **იოზიპ შიმუნიჩის** წასვლის შემდეგ (ხორვატი „ჰოფენჰაიმში" გადავიდა) არასტაბილურობა დაეტყო. ძალიან ცუდად გამოიყურება **არნე ფრიდრიხიც**, აღარაფერს ვამბობთ სხვა ფეხბურთელებზე.

*„როდესაც ექვსი ტურის შემდეგ გუნდს მხოლოდ სამი ქულა აქვს, არგუმენტები საჭირო აღარ არის. ახლა მოქმედებაა აუცილებელი. ხელმძღვანელები შექმნილ სიტუაციას გავაანალიზებთ და შესაბამისად ვიმოქმედებთ,"* - ამბობს პრეეტცი.

ფეხბურთელები რომ მწვრთნელის წინააღმდეგ თამაშობენ, ამაში გერმანიაში ეჭვი აღარავის ეპარება. ახლა საკითხავი ის არის, ვისი დავალებით მოქმედებენ ასე - მენეჯერი პრეეტცის თუ პრეზიდენტ გეგენბაუერის. ან იქნებ თვითონ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება? პირველი ორი ვარიანტის გამართლების შემთხვევაში, „ჰერთას" გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნება - მწვრთნელს გაუშვებენ და მორჩა. აი, მესამე ვარიანტი კი, ფავრის შესაძლო შემცვლელსაც ძალიან მძიმე ცხოვრებას უქადის, გერმანიის დედაქალაქის გუნდს კი არასახარბიელო მომავალს...

შტუტგარტი

# ლემანს ქეიფი ძვირად დაუჯდა

## ბაბელს იენსი ლიუბეკში არ მიჰყავს

დღეს და ხვალ გერმანიაში თასის მატჩებია. ხვალ, კრიზისში მყოფი „შტუტგარტი" „ლიუბეკს" სტუმრობს და მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** გადაწყვიტა, რომ ლიუბეკში მეკარე **იენს ლემანი** არ წაიყვანოს. მიზეზი: შაბათს, „კიოლნთან" განცდილი ძალიან მტკივნეული მარცხის შემდეგ (0:2), ლემანი მეუღლესთან ერთად ღამის კლუბს ესტუმრა და გვარიანად გამოთვრა.

*„ვფიქრობ, ასეთი საქციელი უადგილო იყო, რისთვისაც ლემანი დაისჯება იმით, რომ „ლიუბეკთან" მატჩში განაცხადს მიღმა დარჩება. ეს გადაწყვეტილება მენეჯერ ჰორსტ ჰელდტთან საუბრის შემდეგ მივიღე",* - განაცხადა ბაბელმა.

ლემანი, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილია: *„იმ საღამოს ჩვენთვის გართობა არავის აუკრძალავს, თორემ ასე არ მოვიქცეოდი. თუმცა ალბათ გუნდის ხელმძღვანელები უნდა გამეფრთხილებინა. მწვრთნელისა და მენეჯერის გადაწყვეტილება ჩემთვის, მართალია, გულდასაწყვეტი, მაგრამ მისაღებია".*

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლემანმა „კიოლნთან" შეხვედრაში უპატიებელი შეცდომა დაუშვა, რასაც „თხების" მეორე გოლი მოჰყვა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იენს ლემანი ოქტობერფესტის დაწყებას ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიოს ჩემპიონატი


მარცხნივ გიორგი გოგშელიძე

# ბრინჯაოს დასაწყისი

საქართველოს ნაკრებმა ერთი ბრინჯაოთი დაიწყო გამოსვლა დანიურ ჰერნინგში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჯილდო 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გორელმა **გიორგი გოგშელიძემ** მოიპოვა, რომელსაც ოქროსკენ მიმავალი გზა უხერხულმა მეტოქემ, რუსეთის სახელით მოასპარეზე ოსმა **ჰაჯიმურატ გაცალოვმა** გადაუღობა. ბევრია ეს შედეგი თუ ცოტა? ტურნირის რანგიდან გამომდინარე, ბრინჯაო ურიგო ნამდვილად არაა, მაგრამ დასაწყისი მაინც ულიმღამოა - გოგშელიძისგანაც ბევრს ველოდებოდით და გუნდისგანაც. არადა, რეალური საშიშროებაა, ეს მედალი ჩვენი ნაკრების ბოლო მიღწევა აღმოჩნდეს, თუმცა მოვლენებს ნუ გავასწრებთ. გვესმის, რომ გოგშელიძე მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა, პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს ფალავანთან, რომელიც დანიაში მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ მაინც რჩება გულდასაწყვეტი მიზეზები. ვეჭვობთ, გოგშელიძესაც ბევრ რამეზე სწყდება გული და სანუგეშოს ფინალში გამარჯვებული ამიტომაც იყო ისე უხასიათოდ - მედალი თითქოს ვილაც სხვამ მოიპოვა და არა მან. არადა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ირანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **საედ იბრაჰიმთან** სულაც არ გამოიყურებოდა მოუმზადებლად და სუსტად. კიდევ ერთხელ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გაცალოვის კომპლექსი ჩამოუყალიბდა - მეხუთედ დამარცხდა მასთან, მის ანგარიშზე კი ორი მოგებაა. მეოთხედ გაჩემპიონების მიუხედავად, ტრავმამოშუშებული გაცალოვი წლეულს ნამდვილად არაა საუკეთესო ფორმაში და სეზონის შუაწელში, როცა მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა გადაწყდა, იქაური ქომაგები შიშით ელოდნენ გოგშელიძესთან დაპირისპირებას. ოსებს იმედი პოლონეთის ტურნირის შემდეგ მოეცათ, სადაც ჩვენებურმა ვერ იჭიდავა, გაცალოვი კი ჩემპიონი გახდა. ამის მიუხედავად, წილისყრის შედეგები, რომელმაც ამათი გზები მეორე წრეში გადაკვეთა, არც იმათ დარჩათ სასიამოვნოდ...

პირველ წრეში გოგშელიძე არა ებრაელ **ვასილ კალაშნიკოვს** შეხვდა, არამედ... ბულგარელ **ნიკოლაი ჩტერევს**, ოღონდ ეს ჩვენი ბრალი ნამდვილად არაა. სამწუხაროდ, დანიელებმა მსოფლიოს მასპინძლობას თავი ვერ გაართვეს. შედეგად, კოპენჰაგენიდან 100 კილომეტრით დაშორებულ ჰერნინგში ჩასვლა ჩვენებს საკუთარი ხარჯებით, მატარებლით მოუხდათ. მაგრამ სატრანსპორტო პრობლემა ამ ჩემპიონატის ერთადერთი მინუსი რომ იყოს, კიდევ რა უჭირდათ და საინფორმაციო უზრუნველყოფაც არადამაკმაყოფილებელია. ოპერატიულობას არ დავეძებთ და როგორც გაირკვა, წილისყრის შედეგებიც არასწორად დაწერეს (თუმცა ეს საერთაშორისო ფედერაციის ბრალია - საიტზე ინფორმაციების განთავსება მათი პრეროგატივაა და არა დანიელების). კერძოდ, გოგშელიძის პირველ მეტოქედ ებრაელი გვაცნობეს, მაგრამ ზედ შეხვედრების დაწყების წინ შეასწორეს და ჩტერევს „შეახვედრეს". ჩვენებურმა მას იოლად აჯობა (მეორე პერიოდი წმინდად მოუგო) და სწორედ ამის შემდეგ დადგა გაცალოვთან შეხვედრა. სამწუხაროდ, გორელმა ორივე პერიოდში თითო ქულა დაკარგა, თავად ვერც ერთი მოიპოვა და პერიოდები ასე მინიმალური ანგარიშით დათმო... სანუგეშოს პირველ წრეში უსუსტესი მეტოქე ერგო - სამხრეთაფრიკელი **ეტიენ ვან ჰიუსტეენი**, რომელიც დასაწყისშივე ბეჭებზე დადო. გერმანელი **ოლდრიკ ვაგნერი** მთლად ასე ვერ გააპამპულავა, მაგრამ ძირითად დროში მოუგო, როგორც - ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ირანელ იბრაჰიმს. აქ გოგშელიძემ პირველი ქულა მალევე მოიპოვა, როცა მეტოქე ჯერ კვანტით ჩაჩეხა, მერე კი ფეხიდან აიყვანა - 1:0. მეორე პერიოდში წილისყრამ ფეხში ხელით შესვლის უფლება მისცა, ასეთ შანსს კი მისი დონის მოჭიდავეები ხელიდან არ უშვებენ...

ისე მოხდა, რომ ჩვენებურთაგან გუშინ მხოლოდ გორელები ჭიდაობდნენ - გოგშელიძე, **ბესარიონ გოჩაშვილი** (55) და **შალვა მუზიაშვილი** (66). როგორც ვივარაუდეთ, **ზაზა ზოზიროვისა** და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **მიხეილ ხარაჩურას** განწრთნილმა უკრაინელმა **მიკოლა აივაზიანმა** (55) ბესიკ გოჩაშვილი დაამარცხა, თუმცა პირველი პერიოდი ჩვენებურმა 2:1 მოიგო. სამწუხაროდ, ჩვენი იმედი მეტისმეტად ხანმოკლე გამოდგა და გორელმა ფალავანმა მომდევნო ორი სეტიც წააგო (დამატებითი - სულაც წმინდად). ამის მიუხედავად, მედლის იმედი კვლავაც გვრჩებოდა, მაგრამ აივაზიანი მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, ჩრდილოკორეელ **კიონგ იანგთან** დამარცხდა და ჩვენთვისაც აი, მანდ დამთავრდა ამ წონისადმი ინტერესი.

მუზიაშვილმა, რომელიც ოფიციალურ ოქმებში აბაჯევის გვარითაა შეყვანილი (ეს პრობლემა ცალკე საკითხია და მას აუცილებლად დავუბრუნდებით) ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე წააგო. ის ჯერ ძირითადში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, ირანელ **მეჰდი კერმან ტაგავისთან** (მასთან წლეულს პოლონეთშიც წააგო), მერე - დამამშვიდებელშიც წააგო უკრაინელ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ანდრეი სტადნიკთან**.

დღეს მედლებისთვის მორიგი ქართული სამეული იბრძოლებს: **მალხაზ ზარქუა** (60), **ნიკოლოზ გაგნიძე** (84) და **ლექსო მოდებაძე** (120). ეროვნული გუნდის დებიუტანტი ზარქუა ჩემპიონატში რუმინელ **გეორგე ბუცურთან** შეხვედრით ჩაებმება. ამით წილისყრამ ნამდვილად გაუმართლა, მაგრამ სატურნირო ბადეს თუ გადავხედავთ, უძნელეს ჯგუფში მოხვდა - აქ გამოდიან პეკინის ოლიმპიადის უკრაინელი ვიცე-ჩემპიონი და ევროპის სამგზის გამარჯვებული **ვასილ ფედორიშინი**, ამავე თამაშების ირანელი ბრინჯაოს პრიზიორი **საიედ მორად მოჰამადი**, ყირგიზი მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ბაზარ ბაზარგურუევი** და რუსი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ბესიკ კუდუხოვი**. ამათგან ყველაზე ახლოს ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი ფედორიშინია.

ასევე მსოფლიოს პირველობის დებიუტანტი გაგნიძე პირველ წრეში ბელარუს **ალექსეი ისაევს** ხვდება, ამათ შორის გამარჯვებულს კი მომდევნო წრეში აზერბაიჯანელი **შარიფ შარიფოვი** ელოდება. თუ ჩვენებური ორივე წრეს გაივლის, მეოთხედფინალშიც გავა, იქ კი, შესაძლოა, გერმანიის სახელით მოასპარეზე თანამემამულე **დავით ბიჩინაშვილს** გადაეყაროს.

ლექსო მოდებაძის პირველი მეტოქე ირანელი აზიის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ფარდინ მასუდ ვალადია**.

**კვარცხლბეკი**

55 კგ - 1. **კიონგ იანგი** (ჩრ. კორეა); 2. **სეზარ აკგული** (თურქეთი); 3. **რიზვან გაჯიევი** (ბელარუსი); **ვიქტორ ლებედევი** (რუსეთი).

66 კგ - 1. **მეჰდი კერმან ტაგავი** (ირანი); **რასულ ჯუკაევი** (რუსეთი); 3. **ტაცუჰირო იონემიცუ** (იაპონია); **ლეონიდ სპირიდონოვი** (ყაზახეთი).

96 კგ - 1. **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (რუსეთი), 2. **ხეთაგ გასიუმოვი** (აზერბაიჯანი), 3. **გიორგი გოგშელიძე** (საქართველო), 3. **სერჰატ ბალჩი** (თურქეთი).

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# წეროვანი, ბადიაური, წყნეთი, გლდანი...

ქართულ ჭიდაობაში იმდენი საინტერესო შეჯიბრებაა დაგეგმილი, რომ ეროვნულმა ფედერაციამ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა მოახლოებულ ტურნირებს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე მომავალ შეჯიბრებებზე ამომწურავად ისაუბრა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა**.

ოთხშაბათს, 23 სექტემბერს წეროვანში (მცხეთა) დევნილთა დროებით დასახლებაში გაიმართება საქართველოს გუნდური პირველობა და აბსოლუტური ფალავნობა. მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციამ და მცხეთის გამგეობამ ამ შეჯიბრებისთვის საკმაოდ კარგი ღია საჭიდაო მოედანი და ტრიბუნები მოაწყო. პრესკონფერენციას ესწრებოდა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე **გივი ამირხანაშვილი** და შეჯიბრების მთავარი მსაჯი **შალვა ჩოჩელი**. წეროვანში მიმზიდველი ფულადი პრიზებია დაწესებული საუკეთესო ფალავნებისთვის. შეჯიბრების სახელწოდებაა — „ჩვენ დავბრუნდებით!"

ხუთშაბათს, 24 სექტემბერს თბილისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპორტდარბაზში ჩვენი ჯარისკაცების პირად-გუნდური ჩემპიონატი მოეწყობა ქართულ ჭიდაობაში, — თქვა თავდაცვის სამინისტროს სპორტის სამსახურის უფროსმა **რეზო კილაძემ**.

პარასკევს, 25 სექტემბერს კი წყნეთში თბილისის მერიის თაოსნობით გაიმართება ქართული ჭიდაობის ზეიმი.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

27 სექტემბერს დიდი დღესასწაული „ალავერდობაა". ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში მეორე დღეს, 28 სექტემბერს ალავერდის (ახმეტა) უმშვენიერესი ტაძრის კარიბჭესთან ჩატარდება, რომელსაც **თემურ გოდერძიშვილი** უხელმძღვანელებს.

ოქტომბერში ბადიაურში (საგარეჯო) მოეწყობა დასკვნითი გუნდური ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 20 000 ლარი იქნება. ოქტომბერშივე გლდანის საჭიდაო ცირკში მოეწყობა საქართველოს 1957 წლის ფალავნის, **ზაქარია მუხიაშვილისადმი** მიძღვნილი ტურნირი...

პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ თბილისის 57-ე და ბაგების საჯარო სკოლებში გაიხსნა ქართული ჭიდაობის ჯგუფები.

ერთი სიტყვით, სექტემბრის მინურულს და ოქტომბერში ქართული ჭიდაობის ქომაგები და, რაღა თქმა უნდა, ჩოხიანი ჭიდაობის მიმდევრები ნამდვილად არ მოიწყენენ.

**გაბიელ ბარჯაძე**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ძიუდო

# ქართლელებმა ბიჭები გაამზადეს

**გურამ პაპიტაშვილის** სახელობის დარბაზში გაიმართა ძიუდოში, გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონების ჭაბუკ ძიუდოისტთა რეგიონული შესარჩევი ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში. საუკეთესოები მონაწილეობას მიიღებენ თბილისში გასამართ საქართველოს პირველობაზე 17-18 და 20-21 ოქტომბერს. შიდა ქართლიდან ორივე ასაკში თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი მოჭიდავე იქნება წარმოდგენილი. გაგაცნობთ რჩეულთა ვინაობას.

**უმცროსი ასაკი (1995-96 წლებში დაბადებულნი).** **34 კგ:** 1. გიორგი სადალაშვილი, 2. გიორგი მირუაშვილი, 3. არჩილ ქარელიშვილი (სამივე - გორი) და გიორგი დოლონაძე (ქარელი); **38 კგ:** 1. ზვიად ხუბულური, 2. გიორგი მელქუაშვილი, 3. ტატო ტატულაშვილი (სამივე - გორი) და ვახტანგ კაცელაშვილი (ქარელი); **42 კგ:** 1. გიორგი მეტრეველი (ხაშური), 2. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 3. გიორგი შავდათუაშვილი და ბექა სეხნიაშვილი (ორივე - გორი); **46 კგ:** 1. ბექა შავდათუაშვილი, 2. ვანო ჯავახიშვილი (ორივე - გორი), 3. გიორგი მურჯიკნელი და ომარ მელიქიძე (ორივე - ხაშური); **50 კგ:** 1. გიგა ნოზაძე (ხაშური), 2. თენგო კოპაძე (ქარელი), 3. ზურაბ ჭონიშვილი (კასპი) და ზაზა ბიბილაშვილი (გორი); **55 კგ:** 1. გიორგი გეგელაშვილი (კასპი), 2. ხვიჩა მიქელაძე (ქარელი), 3. იოსებ კვირიკაშვილი და ირაკლი ომაძე (ორივე - გორი); **60 კგ:** 1. გიორგი მუზაშვილი, 2. ბექა შერმადინი, 3. გიორგი ღვინიაშვილი და ალეკო ნასყიდაშვილი (ორივე - გორი); **66 კგ:** 1. ბექა ღვინიაშვილი, 2. ლევან ტერმაკოზაშვილი, 3. ჯუმბერ ჯანეზაშვილი (სამივე - გორი) და ლევან ქიტიაშვილი (ქარელი); **+ 66 კგ:** 1. გიგა გელაშვილი, 2. ბაქარ მაზიაშვილი, 3. მორის ბიჩინაშვილი (სამივე - გორი) და გიორგი ფარადაშვილი (ქარელი).

***უფროსი ასაკი (1997 და მერე).*** ამ ასაკში ფინალური შერკინებები არ გამართულა, გაირკვა მხოლოდ ნახევარფინალისტები, ანუ ის ოთხეულები, რომლებიც საქართველოს პირველობაში ამ რეგიონიდან იჭიდავებენ. **60 კგ:** ოთარ კაიდარაშვილი, გოჩა ვარძელაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და პაატა მერებაშვილი (ოთხივე - გორი); **66 კგ:** შალვა ტატულაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი, ირაკლი ლომიძე და გიორგი ფერსაშვილი (ოთხივე - გორი); **73 კგ:** ნუგზარ ტატალაშვილი, ზვიად ბაზანდარაშვილი, გიორგი დილებაშვილი და ანზორ ბიბილაშვილი (ოთხივე - გორი); **81 კგ:** იოსებ ჩილინდრიშვილი, ნოდარ კუდუხაშვილი, მირიან ხოსრუაშვილი (სამივე - გორი) და გიორგი იაძე (კასპი); **90 კგ:** პაატა ღვინიაშვილი, დავით კარბელაშვილი, იოსებ გუზიტაშვილი (სამივე - გორი); **100 კგ:** გიორგი ბოლოთაშვილი, არჩილ ასტამაძე, იასონ კარიბოვი, ამირან მაჭავარიანი (ოთხივე – გორი); **+ 100 კგ:** უშანგი კოკაური, გიორგი კარიბოვი, ილია მაჭავარიანი (სამივე - გორი). (+ 100 კგ-ში შიდა ქართლს მხოლოდ სამი სპორტსმენი წარადგენს).

**ვასილ ბალახაძე**

ვეტერანი

# გივი კოკაია 80

ქართული სპორტის არაერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს შემდგომში საზოგადოებრივ სარბიელზეც, განსაკუთრებით მეცნიერებაში მაღალი მწვერვალების დაპყრობითაც დაუმშვენებია თავისი სახელი. გიორგი ნიკოლაძიდან მოყოლებული, ასეთები მრავლად იყვნენ და არიან საქართველოში. ერთი მათგანი ვეტერანი ჩოგბურთელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გივი კოკაია გახლავთ.

მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ ჩოგბურთელს არაერთგზის გაუმარჯვია საქართველოს ჩემპიონატებში, 1946-1947 წლებში იყო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი იუნიორთა შორის, 1948-1949 წლებში ამარცხებს საქართველოს ყველა უძლიერეს ჩოგბურთელს, 1952 წელს სსრ კავშირის თასის ფინალისტია, 1956 წელს ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებს კაპიტნობდა. 1948 წლიდან გამოდიოდა სსრ კავშირის ნაკრებში, სამჯერ მოიგო ამიერკავკასიის სპარტაკიადა, 1949-1958 წლებში ძირითადად მისი გამარჯვებებით მთავრდებოდა სპორტსაზოგადოებების „ნაუკას" და „ბურევესტნიკის" საკავშირო შეჯიბრებები.



## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო 80 წელს ულოცავს წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს, გამოჩენილ მეცნიერს გივი კოკაიას.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია დაბადების საიუბილეო 80 წლისთავს ულოცავს ვეტერან ჩოგბურთელს ბატონ გივი კოკაიას. უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

ძველი თაობის ჩოგბურთელები დაბადებიდან საიუბილეო 60 წელს ულოცავენ ვეტერან ჩოგბურთელს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჰამლეტ რაზმაძეს.

# ქართული სპორტი

## კალათბურთი

იტალია. საკონტროლო მატჩები

# ინტელიგენტი

საქართველოს ნაკრების ფორვარდის, **ვიქტორ სანიკიძის** "ვირტუსმა" იტალიის ქალაქ ბიელაში გამართულ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. ბოლონიელები ნახევარფინალში მის მასპინძელ "ანგელიკო ბიელას" დაუპირისპირდნენ და ბოლო წამებზე 65:62 გაიმარჯვეს.

ქართველმა ფორვარდმა 5 ქულა ჩააგდო. მისიანების გამარჯვება ამერიკელების, **მოსისა** და **ჰარდის** დამაჯერებელმა თამაშმა განაპირობა. პირველმა 15 ქულა ჩააგდო, მეორემ - 19.

ფინალში "ვირტუსი" ტრევიზოს "ბენეტონს" გადაეყარა. თანაბარ ბრძოლაში გამარჯვების სასწორი ბოლო წუთებზე ტრევიზოელთა მხარეს გადაიხარა – 74:69.

სანიკიძემ ფინალში 4 ქულა მიითვალა. მესამე პერიოდის იტალიურ მიმოხილვაში ვკითხულობთ: "სათადარიგოთა სკამიდან შესულმა ვიქტორ სანიკიძემ ბოლონიელებს ენერგია შემატა, თამაშიც გამოაცოცხლა..." თუმცა, როგორც ვთქვით, "ვირტუსს" მეორე ადგილი ერგო.

იტალიაში ჩემპიონატი 11 ოქტომბერს დაიწყება. სადებიუტო ტურში სანიკიძის ახალი გუნდი "მონტეგრანაროს" "დაეჭიდება". მანამდე, ამხანაგურ მატჩებზე დაყრდნობით, ინტერნეტგამოცემა "ბასკეტნეტმა" უმაღლესი ლიგის ყველა გუნდი დაახასიათა. შეეხო ახალწვეულებსაც. აი, რა წერია "ვირტუსის" ქართველი ფორვარდის შესახებ: "ვიქტორი სერია A-ს დებიუტანტია. იგი ბოლონიურ გუნდს კარგად მოერგო, სისწრაფე და დინამიკურობა შემატა. სანიკიძე ბურთსაც კარგად ფლობს და მოხსნებისთვისაც შესაშური ენერგიულობით იბრძვის. რაც მთავარია, იგი მწვრთნელ ლარდოლინოსაც მოსწონს - ახალი ჩამოსულია, მაგრამ გუნდთან შეგუება არ გასჭირვებია, ყველაფერი კარგად აითვისა, ინტელიგენტი კალათბურთელიაო... საკონტროლო მატჩებში ვიქტორს ზოგჯერ ცენტრის ფუნქციების შესრულებაც უწევდა, თუმცა, მწვრთნელის თქმით, მისთვის ოპტიმალური ვარიანტი მსუბუქი ფორვარდის ამპლუაა."

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ ზურაბ ტომარაძესთან

# ნაკრებში ყველაფერი რიგზეა, მივხედოთ ბავშვებს

**2000-დან 2004-მდე ზურაბ ტომარაძე საქართველოს ნაკრებში მუშაობდა. საკმაო ხანს იგი მთავარი მწვრთნელიც იყო, ხოლო 2004-ში ხორვატ სპეციალისტ დრაჟენ ბრაიკოვიჩს ეხმარებოდა. სხვადასხვა დროს "ვითასაც" ხელმძღვანელობდა, "ბასკოსაც", "დინამოსაც", ხოლო გასულ სეზონში სუპერლიგაში შსს-ს შეუძლვა.**

**ცხადია, მკითხველისთვის საინტერესოა, რას აპირებს იგი მომავალ სეზონში. ამის შესახებ თავად მწვრთნელისგან გავიგებთ...**



- თამაშებმა გვიჩვენა, რომ ნაკრებში ყველაფერი წესრიგშია. გუნდს აქვს დიდი პოტენციალი და ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში ბოლომდე გამოავლენს. წარმატებისთვის კი აუცილებელია ღირსეული შევსება. ჰოდა, საჭიროდ ჩავთვალე, გამოცდილება ბავშვთა კალათბურთში გამომეყენებინა.

**- პატარებთან მანამდეც მუშაობდით...**

- ეს ჩემთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის. მწვრთნელობა 22 წლისამ დავიწყე. თავიდან ბავშვებთან "ნორჩ დინამოელში" ვმუშაობდი. სხვადასხვა დროს ვწვრთნიდი ჭაბუკ კოტე ტულუშს, ზაზა ფაჩულიას, ვლადიმერ ბოისას, თორნიკე ნინიაშვილს... ბავშვებთან ურთიერთობა სასიამოვნო საქმეა.

**- ახლა თქვენს ამჟამინდელ სკოლაზე ვთქვათ.**

- ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თანამედროვე საკალათბურთო სკოლის შექმნა აქვს გადაწყვეტილი. ამ საქმისთვის დაგვითმეს "ქარიშხალას" დარბაზი და ყოველმხრივ გვერდში გვიდგანან. მათთან ერთად ვაპირებთ ახალი მეთოდიკის დანერგვას, ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებას. თავიდან სამი მწვრთნელი ვიმუშავებთ, მე, არჩილ ჟღენტი და ჩემი ვაჟი ირაკლი ტომარაძე.

**- დღესდღეობით სათანადო პირობები თითქმის არსადაა...**

- "ქარიშხალას" კომპლექსში ყველა პირობაა სრულფასოვნად სავარჯიშოდ. ვფიქრობთ, ნაკრების მიერ დაწყებულ საქმეს ჩვენც კარგად ავუწყობთ ფეხს.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელად არაერთი წელი გაატარეთ. საინტერესოა თქვენი მოსაზრება დღევანდელ გუნდზე.**

- ელიტაში გადასვლას დიდი ხანია, ვცდილობთ, მაგრამ ეს წლეულს შევძელით. გუნდს აშკარად ეტყობა ალმავლობა, თამაშს დღითი დღე აუმჯობესებდა. თუმცა ნაკრებს შესაძლებლობები ჯერ არ ამოუწურავს, გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. თუნდაც ზაზა ფაჩულიას მაგალითი ავილოთ. იგი განვლილ მატჩებში ბოლომდე ვერ გაიხსნა, შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა.

**- როგორ ფიქრობთ, რა იყო მიზეზი?**

- იგი მაღალი დონის პროფესიონალია. ზაზას კლასის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება, უბრალოდ, ზედმეტად იყო მონდომებული, უნდოდა, საკუთარი ხალხის წინაშე კარგად წარმოჩენილიყო, რამაც ერთგვარად შებოჭა. თუმცა, როცა საჭირო იყო, გუნდს წინ გაუძღვა. წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს, რომელიც ყველა ჩამოყვანილ სპეციალისტზე უკეთესი ჩანს.

**- ელიტაში ჩვენი გუნდისგან რას უნდა ველოდოთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ძლიერი მეტოქეები გვეყოლება, საქართველოს ნაკრებისგან კიდევ უფრო ლამაზ თამაშს ველი. გუნდი წლეულს ფსიქოლოგიურად კარგად იყო მომზადებული და ვგონებ, არც მომავალ სეზონში იქნება პრობლემები. რაც მთავარია, დღესვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდში სათანადო რეზერვია. თორნიკე შენგელია და ნიკა მეტრეველი წლეულს ნაკრებს ვერ დაეხმარნენ, თუმცა ისინი ევროპის წამყვან კლუბებში ირიცხებიან და დარწმუნებული ვარ, გაისად ეროვნულში თავისი ადგილი ექნებათ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა ლეგიონერმა უკეთესი კლუბი მონახა და მათგანაც დამაჯერებელ თამაშს უნდა ველოდოთ.

**- თქვენი ვაჟი, კოკა ესპანურ "მონზონში" გადავიდა. ახალი გუნდით კმაყოფილია?**

- "მონზონი" ება-ს ლიგაში თამაშობს. ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და ზედა ეშელონში გადასვლას გეგმავს. ვნახოთ, რა გამოუვა. კოკა იქაურობას იოლად შეეგუა. ამას წინათ სათასო მატჩში 19 ქულა ჩააგდო...

**ვაჟა სიმონიშვილი**

## რაგბი

ლეგიონერები

# მაჩხანელის პირველი ფედერალური ლელო



შალვა სუთიაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ დივიზიონებში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ სხვადასხვა კლუბში 32 ქართველი მორაგბე ასპარეზობს.

ფედერალ 1 დივიზიონში გათამაშების დებულება ასეთია: გუნდები ექვს ჯგუფში არიან განაწილებული. თითოეულში რვა-რვა გუნდია. ორ წრედ გამართული რეგულარული გათამაშების შემდეგ მომდევნო, მეორე ჯგუფურ ეტაპზე ოთხ-ოთხი საუკეთესო გადის. ისინი ისევ ექვს ჯგუფში გადანაწილდებიან. ისევ ორწრიანი, მიმოსვლით ჩატარებული შეჯიბრების შემდეგ პლეი ოფის მეოთხედფინალში ექვს გამარჯვებულთან ერთად, ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა. ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს კი ორი ფინალისტი მიიღებს.

ელიტაში აღზევების პრეტენზიას რამდენიმე გუნდი აცხადებს, მათ შორის ქართველ მორაგბეთა გუნდებიც. ყველაზე რეალური შანსი **გია ლაბაძის** „მარსელს", **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიეს" და **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოს" აქვთ.

ფედერალ 1-ის A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა- „ორლეანმა" და „სენ ნაზერმა" წააგო. **თენგიზ გელანტიას** „სენ ნაზერმა" საკუთარ მოედანზე დათმო „ბობინისთან" - 12:15. გელანტია განაცხადში არ იყო.

სტუმრად „ლიმოჟთან" ვერას გახდა **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანი" - 14:24. კოპალიანმა სრულად ითამაშა. ჯგუფის სხვა შეხვედრებში „სენ მედარმა" შინ მოუგო „ნუარს" - 20:11. „ვანმა" კი სტუმრად დაამარცხა „პუატიე".

B ჯგუფშიც ორი „ქართული გუნდი" გვყავს. ამათგან გამარჯვებას მხოლოდ ერთმა მიაღწია. **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიას, გიორგი ნემსაძისა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ" შინ გაჭირვებით, მინიმალური სხვაობით 20:19 მოუგო „ტურს". კობაურის გარდა ყველა ქართველმა ითამაშა.

**დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა" სტუმრად წააგო „ბურგ ან ბრესთან" - 19:29. ბოლღაშვილმა სრულად ითამაშა, ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში „დიჟონი" შინ დაუზავდა „მონლუსონს" - 19:19. „შალონმა" კი სტუმრად გაანადგურა „ეპერნაი" - 57:3.

C ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი ასპარეზობს. **დავით კაჭარავას** „ნიცას" შეხვედრა „შატორენართან" ავდრის გამო გადაიდო.

**ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ" პირველი ტურის მატჩი შინ გამართა „რომანთან" და 33:9 დაამარცხა. მალაღურაძე განაცხადში არ იყო.

კლუბის ისტორიაში პირველი საგარეო გამარჯვება მოიპოვა **ირაკლი მაჩხანელის, შოთა საყვარელიძისა** და **ბესო უდესიანის** „სენტ ეტიენმა". ჩვენებურთა გუნდმა მშრალი ანგარიშით - 27:0 „მონტო" დაამარცხა. გამარჯვებაში წვლილი საქართველოს ნაკრების გარემარბმა ირაკლი მაჩხანელმაც შეიტანა. მან მეტოქეს ლელო 47-ე წუთზე გაუტანა.

სტუმრად გაიმარჯვა „ტურნეფოსთან" **ირაკლი გუნდიშვილის** „ბედარიდემაც" - 16:23. გუნდიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**გია ლაბაძის** ვარსკვლავებით გადატვირთული „მარსელი" D ჯგუფში ასპარეზობს. მარსელელებმა პირველი მატჩი სტუმრად გამართეს „მონმელიანთან" და მეტოქე - 42 :22 დაამარცხეს. თამაშში მონაწილეობა არ მიუღია ახალზელანდიელ მეგავარსკვლავ **ჯონა ლომუს**, რომელიც ტრავმას იშუშებს და გუნდს ოქტომბერში შეუერთდება. ლაბაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად „მაზამესთან" ფრეს დასჯერდა **ირაკლი გიორგაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „შამბერი" - 9:9. **შოთა მელიქიძის** „ობენამ" კი შინ დაამარცხა „ლა სეინი" 26:21. ჯგუფის კიდევ ერთ, მეოთხე წყვილში „კარკასონმა" შინ მოუგო „კასტანეს" - 12:22.

E ჯგუფში ქართველ მორაგბეთაგან მხოლოდ **გიორგი მჭედლიშვილი** ასპარეზობს. მისმა „ვალანს დაჟენმა" სტუმრად დაამარცხა „სენ ჟან და ლუზი" - 16:12.

სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: მორლაა - მარმანდი 9:11, ლავორი - კაორი 7:12, მოელონი - ორტეზი 23:9.

F ჯგუფში ასპარეზობს გათამაშების სავარაუდო ფავორიტი, **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგო", რომელმაც პირველ ტურში მარცხი იწვნია სტუმრად „ტიროსთან" - 10:18. სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო.

ასევე სტუმრად, „ლანჟონისთან" დამარცხდა **ნიკოლოზ მალალდაძის, დიმიტრი ბასილაიასა** და **დავით გასვიანის** „ლე ბუგე" - 12:27. ამავე ჯგუფში „ლურდმა" შინ მოუგო „გროლეს" 29:23, ხოლო „ჟირუმ" 9:3 დაამარცხა „ოლორონი".

პირველი მატჩები გაიმართა ფედერალ 2 დივიზიონში. გათამაშების დებულება აქ ბევრად რთულია. ამ დივიზიონში სულ რვა ჯგუფია. თოთოეულ ჯგუფში კი თორმეტ-თორმეტი გუნდია. ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები პირდაპირ გადადიან ფედერალ 1 დივიზიონში. დარჩენილი ოთხი ადგილისთვის კი ბრძოლა პლეი ოფში გრძელდება. ზედა დივიზიონის საგზურს ნახევარფინალში გასულები მიიღებენ.

ფედერალ 2 დივიზიონის B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს. პირველ ტურში ერთმანეთს სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ. **ირაკლი აბუსერიძის** „ოსერმა" საკუთარ მოედანზე ვერაფერი გააწყო **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „დომონთან" - 15:20.

პირველ ტურში გაიმარჯვა E ჯგუფში მოასპარეზე **რეზო გიგაურის** „სენაკმა". ჩვენებურის გუნდმა შინ დაამარცხა „ტუარი" - 31:3.

მოიგო F ჯგუფში მოასპარეზე **მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **მერაბ კვირიკაშვილის** „ფიჟაკმაც", რომელიც საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ფკტტ-სთან საშინაო მატჩში - 18:12.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი ერთ კვირას მოიცდის



მაკა ჩახნაშვილი

მოსახდენი მოხდა - **ირაკლი ლაბაძე** აღარ არის მსოფლიოს რეიტინგლისტში. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის ერთადერთი ჩოგბურთელი, რომელიც ჩოგბურთის ელიტაში გაერია, ტრავმებმა გატანჯა და მისი დაბრუნება კორტზე ძალზე საეჭვოა. 28 წლის ჩოგბურთელის პროფესიული კარიერა 1998 წლიდან დაიწყო, 5 წლის წინათ ის მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო. ირაკლიმ ბოლოს ფერღანაში (უზბეკეთი) მაისში ითამაშა და მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში უცნობ ინდოელ **პურავ რაჯასთან** დამარცხდა, კორტს აღარ გაჰკარებია.

ATP-ის მსოფლიო კლასიფიკაციაში კი შვიდი ქართველია, 6 მათგანი მხოლოდ სიმბოლურად. ერთადერთი **ნიკოლოზ ბასილაშვილის** გვეიმედება, რომელიც რეიტინგში 570-ეა (+4), მას 55 ქულა აქვს. 9 ქულა აქვს რეიტინგში **ლადო ჩიხლაძეს**, რომელიც, ირაკლი ლაბაძის მსგავსად, კორტებს ველარ დაუბრუნდება, 7 ქულა აქვს **ლაზარე კუხალაშვილს**, დანარჩენებს კი - თითო ქულა.

ქალთა რეიტინგში ჩვენებურებს ცვლილებები ნაკლებად შეეხოთ: 158 (-4) **ანა ტატიშვილი** - 362 ქულა; 198 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 282; 240 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** - 212; 371 (+1) **სოფიო შაფათავა** - 103; 479 (-17) **ეკა გორგოძე** - 67; 489 (-5) **სოფიო ქვაცაბაია** - 64; 554 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 50; 738 (+45) **თათია მიქაძე** - 26. მაკა ჩახნაშვილს ნეაპოლის ტურნირის მოგებისთვის 50 ქულა ჯერ არ დარიცხვია.

საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი ალბუკერკში (აშშ) ითამაშებს, სადაც 75-ათასიან ტურნირში განთესილთა შორის იქნება. მაკა ჩახნაშვილი ამ კვირაში ისვენებს, დანარჩენი ჩვენებურები კი თელავის ტურნირში ასპარეზობენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

ინტერვიუ კობა ფხაკაძესთან

# შემდგომში ბრინჯაოთი აღარ დავკმაყოფილდები

**მილანში** გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართულმა დელეგაციამ დასახული მიზანი შეასრულა – კონტინენტის პირველობიდან უმედლოდ არ დაბრუნებულან. ბრინჯაოს მედალი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე კობა ფხაკაძემ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ქართველ მოკრივეს 1997 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალი არ მოუგია.

კობამ ოთხი ორთაბრძოლა მოიგო. პირველ ეტაპზე ლიტველი აურიმას ნაუდზიდისი 17:10 დაამარცხა, მეთექვსმეტედფინალში რუმინელ გაბრიელ პოდასკას 16:2 სძლია, მერვედფინალში მაროკოელ მეჰდი უატინს 14:7 მოუგო, მეოთხედფინალში კი გერმანელ ეუგენ ბურჰარდს 9:3 აჯობა. ნახევარფინალში ფხაკაძემ ველარაფერი გააწყო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან, იტალიელ დომენიკო ვალენტინოსთან, რომელთანაც 2:15 დათმო.

კობა ფხაკაძე 25 წლისაა, ვარჯიში 1993 წელს დაიწყო მშობლიურ ქუთაისში ტულული ჯავახაძესთან. ამჟამად მისი პირადი მწვრთნელი ზაალ ჯავახაძეა, არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი კადეტთა შორის, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2005 წლიდანაა.

„ლელო“ მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორს ესაუბრება.

**- უპირველეს ყოვლისა, ამ წარმატებას გილოცავთ. როგორ ფიქრობ, რა იყო შენი ბოლოდროინდელი პროგრესის საფუძველი?**

- ყველაფერი, რა თქმა უნდა, შრომით მოდის. საბედნიეროდ, ტრავმებს არ შევუწუხებივარ და ნაყოფიერმა მოსამზადებელმა პერიოდმა თავისი გააკეთა. მუდმივად ტონუსში ვიყავით, გავიარეთ ერთობლივი შეკრებები თურქეთისა და სომხეთის ნაკრებებთან, ვიასპარეზეთ კაუნასის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჩემპიონი გავხდი.

**- მილანში, ერთი შეხედვით, ნახევარფინალამდე მისვლა არ გაგჭირვებია...**

- ყველა მეტოქეს მართლაც დამაჯერებლად მოვუგე, თუმცა პირველ წრეში ცოტა გამიჭირდა. პირველ ბრძოლებში ყოველთვის ვერ ვახერხებ შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენას. ლიტველ მოკრივესთან პირველი რაუნდი 5:6 დავთმე, მაგრამ შემდეგ „გავხურდი“ და გამარჯვება არ გამჭირვებია. ნახევარფინალამდე კი მართლაც დაუბრკოლებლად მივაღწიე.

**- იტალიელ ვალენტინოსთან შანსი საერთოდ არ გქონდა?**

- გადაღლილი ვიყავი, მასზე ერთი ბრძოლით მეტი მქონდა ჩატარებული. თანაც, მასპინძლის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის ძნელია. თუმცა მაინც ვაღიარებ, რომ მოწინააღმდეგემ დამსახურებულად გაიმარჯვა. ვალენტინომ ფინალიც საკმაო უპირატესობით მოიგო. ძალიან სტაბილური მოკრივეა, არის ორი ოლიმპიადის მონაწილე, ევროპის პრიზიორი, წინა მსოფლიოზე ვერცხლი მოიპოვა.



**- ადრე არასოდეს შეხვედრიხარ?**

- არა, ეს ჩვენი პირველი დაპირისპირება იყო, რადგან დიდი ხანი არაა, რაც 57-დან 60 კილოგრამში გადმოვინაცვლე.

**- ბრინჯაო უდავოდ კარგი შედეგია, მაგრამ გულის სიღრმეში ალბათ, ჩემპიონობაზეც ფიქრობდი.**

- სპორტსმენი მაქსიმალისტი უნდა იყოს და მეც ასეთი ვარ. მიღწეულით არასოდეს ვკმაყოფილდები და ყველანაირად ვეცდები, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ჩემი კარიერის უდიდეს მიღწევად არ დარჩეს. ბუნებრივია, გახარებული ვარ, მაგრამ შემდგომში ბრინჯაოთი აღარ დავკმაყოფილდები.

**- სხვა ქართველი მოკრივეების გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

- საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა რამაზ ფალიანმა მილანში ბიჭების უმრავლესობა გამოცდილების მისაღებად წაიყვანა, მაგრამ ჩემ გარდა მედლისთვის ბრძოლა სხვებსაც შეეძლოთ. კახა ჟვანიამ ხელი იტკინა და ამიტომ დამარცხდა მერვედფინალში არცთუ გამორჩეულ ირლანდიელ მეტოქესთან, ლევან ღვამიჩავას კი კენჭისყრაში არ გაუმართლა და მეორე წრეში ძალიან ძლიერ ამერიკელს გადაეყარა...

**- ნაკრების წევრები ახლა ისვენებთ, თუ ვარჯიშს განაგრძობთ?**

- ნაკრები ვარჯიშობს, მე კი რამდენიმე დღით დასვენების უფლება მომცეს. ოქტომბერში ერევნის საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, დეკემბერში კი საქართველოს თასია, სადაც ქვეყნის ყველა უძლიერესი მოკრივე იასპარეზებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# იზორიას დაბრუნება გაუქიანურდა

**პეკინის** ოლიმპიადა ახალი დასრულებული იყო, ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მოკრივე **ნიკოლოზ იზორია** მძიმე ავტოავარიაში რომ მოყვა. მან საკმაო ხანი საავადმყოფოში გაატარა. საბედნიეროდ, მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ექიმებმა კარიერის გაგრძელების ნება მისცეს.

თუმცა რეაბილიტაციის პერიოდმა საკმაო ხანს გასტანა. ნიკას უკვე წელიწადზე მეტი გაუცდა. მისი რინგზე დაბრუნება მილანის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იგეგმებოდა, მაგრამ იზორიას ამჯერად სხვა პრობლემა შეექმნა – ყურის აპკი აქვს დაზიანებული და ოპერაცია სჭირდება. არადა, იგი მედლის პრეტენდენტი იქნებოდა.

ნიკა ვარჯიშს წლის ბოლოსთვის განაახლებს. ვიმედოვნებთ, მისი ბოლომდე გამოჯანმრთელება ამჯერად მაინც აღარ გაჭიანურდება და საქართველოს ნაკრებს ერთ-ერთი ლიდერი დაუბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფარიკაობა

# იტალიის ნაკრების ქართველი კანდიდატი

**ალბათ**, მკითხველთა უმრავლესობამ არ იცის, რომ იტალიაში საკმაოდ წარმატებული ქართველი მოფარიკავე ცხოვრობს. ეს **ნატალია მაღლაფერიძე** გახლავთ, რომელიც წლების წინ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ღირსებას იცავდა, დღეს კი იტალიის ნაკრების კანდიდატია. მან საკმაოდ რთული გზა გაიარა, ვფიქრობთ, ნატალიას ისტორია მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

ვარჯიში 1986 წელს დაიწყო ქუთაისის ოლიმპიურ სკოლაში, **სულიკო ბოგვერაძესთან**, რომელსაც არაერთი გამოჩენილი მოფარიკავე ჰყავს აღზრდილი. ნატალია მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

საქართველოს სახელით ბოლოს 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა, სადაც ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არა მხოლოდ მისი სპორტული კარიერა, არამედ დაინვალიდების საფრთხეც კი შეექმნა.

იტალიას სწორედ მაშინ მიაშურა. იმედი ჰქონდა, რომ იქ სათანადოდ იმკურნალებდა და ფარიკაობას მალე დაუბრუნდებოდა, მაგრამ ექიმთა შეცდომის გამო სარეცელს მიეჯაჭვა. ამ მდგომარეობაში ხუთი თვე გაატარა.

*„საშინელი პერიოდი გამოვიარე, არავის ვუსურვებ ამის გამოცდას. საბედნიეროდ, საკუთარი თავისა და ღვთის რწმენა არასოდეს დამიკარგავს და სრულიად მარტოდმარტო ყველა სირთულეს გავუმკლავდი“.*

ფეხზე უდიდესი ნებისყოფის ფასად დადგა და მონატრებულ ფარიკაობის დარბაზს მიაშურა. საბედნიეროდ, უცხო ქვეყანაში გულისხმიერი ადამიანები გამოჩნდნენ და რომის ერთ-ერთ საუკეთესო საფარიკაო კლუბ „ჯულიო ვერნეში“ მწვრთნელად მიიღეს. თბილისის სპორტის აკადემიის შესაბამისი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და მწვრთნელობას მომავალში აპირებდა, სპორტსმენის კარიერის ნაადრევად დასრულება კი არ სურდა. თუმცა წარმატებას სამწვრთნელო საქმეშიც მიაღწია და მოზარდებში იტალიის რამდენიმე ჩემპიონი აღზარდა.

ნელ-ნელა ტკივილებმა გაუარა, ჯერ კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო მოფარიკავედ იქცა, მალე კი იტალიის ნაკრების კანდიდატადაც დაასახელეს. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში მოსახვედრად მძაფრი კონკურენცია მიმდინარეობს, მაგრამ ნატალია ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და იმედოვნებს, რომ მომავალ ოლიმპიადაზე იასპარეზებს. საამისოდ იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლაა საჭირო, რაც წარმოუდგენლად არ მიაჩნია. მთავარია, ტკივილებმა აღარ შეახსენოს თავი. მომავალ წელს იტალიის მოქალაქე გახდება და ნაკრებში მოხვედრაც გაუადვილდება.

მხოლოდ 30 წლისაა, რაც ფარიკაობისთვის იდეალური ასაკია. ასე რომ, ყველაფერი წინ აქვს. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ საქართველოს ღირსებას ველარ დაიცავს, რაზეც თავადაც სწყდება გული.

*„ვოცნებობ იმ დროზე, როცა საქართველო ბედნიერი ქვეყანა გახდება და ქართული ფარიკაობა მსოფლიოში თავის სიტყვას იტყვის. თუ ჩემი გეგმები შესრულდა, აუცილებლად შევიტან წვლილს საქართველოში ამ სახეობის განვითარებაში. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და მათთან ერთად თუ შევძლებ ქართული ფარიკაობის განვითარებას, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები“.*

ბოლოს, იმასაც დავძენთ, რომ ნატალია მაღლაფერიძის კიდევ ერთი პროფესია ჟურნალისტობაა, წლების წინ იგი თავის პუბლიკაციებს „ლელოში“ აქვეყნებდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

სუმოს სამყარო — აკი ბაშო. 13-27 სექტემბერი



ტოჩინოშინს (VIII დღე) აშკარად მსაჯებმა წააგებინეს

# ორი მოგება ძურიომდე

**მოდი**, სათქმელი პირდაპირ ვთქვათ - 21 წლის **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** კარიერაში მეორედ მიეცა შანსი კომუსუბის ტიტული მოეპოვებინა და მეორედ ვერ ივარგა. აკი ბაშოს დასრულებამდე 6 დღით ადრე ძნელი წარმოსადგენია, ჩვენებურმა ერთი ორთაბრძოლაც არ წააგოს, მაშინ როცა ტურნირზე უკვე 7 მარცხი აქვს. მოკლედ, ლევანმა დაამტკიცა თავისი ტალანტი და ძალიან მალე აღზევდა ელიტაში, მაგრამ სუმოს აღიარებულ ვარსკვლავებთან ბრძოლებში ჯერჯერობით ძალა არ ერჩის და არც გამოცდილება მიჰყვება.

გუშინ გორგაძეს სეკივაკეს ტიტულის მფლობელმა **კოტოშოგიკუმ** მოუგო. ბრძოლა ფაქტობრივად არც ყოფილა, კოტოშოგიკუმ ერთი ამოსუნთქვით გააგდო ქართველი დოჰიოდან. ლევანს 2/7 ბალანსი აქვს და პირველივე წაგება მას უარყოფით ბალანსს და რეიტინგში ჩამოქვეითებას ნიშნავს. არადა, რიგით რიკიშთა შორის ტოჩინოშინი რეიტინგით პირველია. დღეს მისი მეტოქე ესტონელი გოლიათი **ბარუტოა**. ესტონელი კომუსუბის ტიტულს ფლობს.

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** დასანანი მარცხი განიცადა, ქართველი ჯიქურ ეტაკა 22 წლის **ტოჩიოძანს** და დოჰიოს კიდემდე მიიყვანა, მაგრამ ოდნავ შეფერხდა და გვერდითი მიწოლით ძირს დაენარცხა. დღეს კოკაის მეტოქე სამხრეთკორეელი **კასუგაოა**, ქართველს ჰაერივით სჭირდება მოგება, რადგან 4/5 ბალანსით დივიზიონიდან გავარდნის პირასაა.

5/0 - უკვე სერიოზული განაცხადია! ზუსტად ასეთი ბალანსით ლიდერთა შორისაა მესამე დივიზიონის მე-10 ნომერი **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. 22 წლის ქართველი იოლად მოერია გამოცდილ **რიუჰოს**. გაგამარუს ორი ორთაბრძოლაც დარჩა გასამართი, თუ ორივეს მოიგებს, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და მეორე, ელიტურ დივიზიონ ძურიოშიც გადავა. დღეს ჩვენებურს დასვენების დღე აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**VII დღე**

| | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)-კისენოსატო (ს) | სუკუინაგე |
| ასაშორიუ (ი)-ჩიოტაიკაი (ო) | იორიკირი |
| კაიო (ო)-მიაბიამა (მ1) | ცუკიოტოში |
| კოტოოშუ (ო)-ამინიშიკი (ქ) | ოკურიდაში |
| კოტომიცუკი (ო)-კაკურიუ (მ3) | ოშიტაოში |
| ჰარუმაფუჯი (ო)-კიოკუტენჰო (მ2) | ოშიდაში |
| კოტოშოგიკუ (ს)-ტოჩინოშინი (მ1) | იორიკირი |
| ბარუტო (ქ)-შოტენრო (მ2) | იორიკირი |
| ტამანოშიმა (მ3)-ტაკეკაძე (მ5) | სოტოგაკე |
| ტოიონოშიმა (მ4)-ივაკიამა (მ8) | იორიკირი |
| მოკონამი (მ9)-ტოკიტენკუ (მ4) | იორიკირი |
| გოეიდო (მ5)-ასასეკირიუ (მ6) | იორიკირი |
| ტოსაიუტაკა (მ10)-ჰომაშო (მ6) | ჰიკიოტოში |
| ტაკამისაკარი (მ7)-არანი (მ7) | უბრძოლველად |
| შიმოტორი (მ8)-კასუგაო (მ11) | იორიტაოში |
| იოშიკაძე (მ15)-ტოიოჰიბიკი (მ9) | იორიკირი |
| ბუშუიამა (მ10)-ტოჩინონადა (მ12) | უვატედაშინაგე |
| კაკიძოე (მ11)-ტამაასუკა (მ13) | იორიტაოში |
| ტოჩიოძანი (მ12)-კოკაი (მ14) | ცუკიოტოში |
| ვაკანოსატო (მ13)-მასაცუკასა (მ16) | იორიკირი |
| ჰოკუტორიკი (მ14)-ფუტენო (მ15) | ოშიდაში |

შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში

**IX დღე**

| | |
|---|---|
| ასაშორიუ (9-0) | კისენოსატო (5-4) |
| ჰაკუჰო (8-1) | კაკურიუ (7-2) |
| ჩიოტაიკაი (2-7) | ტამანოშიმა (2-7) |
| კოტოოშუ (8-1) | კაიო (6-3) |
| კოტომიცუკი (8-1) | ჰარუმაფუჯი (6-3) |
| კოტოშოგიკუ (4-5) | მიაბიამა (2-7) |
| ამინიშიკი (2-7) | შოტენრო (1-8) |
| ტოჩინოშინი (2-7) | ბარუტო (7-2) |
| კიოკუტენჰო (2-7) | გოეიდო (4-5) |
| ტაკამისაკარი (5-4) | ტოკიტენკუ (4-5) |
| ტოიონოშიმა (4-5) | ტაკეკაძე (5-4) |
| ტოჩიოძანი (6-3) | ჰომაშო (5-4) |
| ასასეკირიუ (2-7) | შიმოტორი (2-7) |
| ტოჩინონადა (2-7) | არანი (4-5) |
| ივაკიამა (5-4) | ვაკანოსატო (6-3) |
| ტამაასუკა (2-7) | ტოიოჰიბიკი (4-5) |
| მოკონამი (4-5) | ფუტენო (3-6) |
| მასაცუკასა (6-3) | ბუშუიამა (5-4) |
| ტოსაიუტაკა (4-5) | ჰოკუტორიკი (7-2) |
| კოკაი (4-5) | კასუგაო (3-6) |
| კაკიძოე (6-3) | იოშიკაძე (6-3) |

**სატურნირო მდგომარეობა**

**9-0:** ასაშორიუ (იოკოძუნა).
**8-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), კოტომიცუკი (ოძეკი)
**7-2:** ბარუტო (კომუსუბი), კაკურიუ (მაეგაშირა 3), ჰოკუტორიკი (მ 14).
... **4-5:** კოკაი (მ 14)... **2-7:** ტოჩინოშინი.

**ქართველთა დღევანდელი მეტოქეები**

**ტოჩინოშინი-ბარუტო 0:1**

**ბარუტო (ესტონეთი)**

კომუსუბი;
24 წლის;
197 სმ და 184 კგ;
ბალანსი 238-115



**კოკაი-კასუგაო 6:3**

**კასუგაო (კორეა)**



მე-11 მაეგაშირა;
32 წლის;
183 სმ და 147 კგ;
ბალანსი 406-384

კალათბურთი

# ევრობასკეტი ციფრებში



| სტატისტიკური ლიდერები | | |
|---|---|---|
| **ქულა** | | |
| 1. პ. გასოლი (ესპ) | 9 | 18,7 |
| 2. პარკერი (საფ) | 8 | 17,8 |
| 3. ლორბეკი (სლო) | 9 | 16,4 |
| 4. ილიასოვა (თურ) | 7 | 16,1 |
| 5. ლოგანი (პოლ) | 6 | 15,5 |
| **მოხსნა** | | |
| 1. გორტატი (პოლ) | 6 | 10,8 |
| 2. პ. გასოლი (ესპ) | 9 | 8,3 |
| 3. ლორბეკი (სლო) | 9 | 7,4 |
| 4. ილიასოვა (თურ) | 7 | 7,3 |
| 4. ბურუსისი (საბ) | 8 | 7,3 |
| **პასი** | | |
| 1. ტეოდოშიჩი (სერ) | 9 | 5,2 |
| 2. პონკრაშოვი (რუს) | 9 | 4,9 |
| 3. ლორბეკი (სლო) | 9 | 4,5 |
| 4. პარკერი (საფ) | 8 | 4,4 |
| 5. კოშარეკი (პოლ) | 6 | 4,3 |
| **ჩაჭრა** | | |
| 1. ფერნანდესი (ესპ) | 8 | 2,1 |
| 2. პარკერი (საფ) | 8 | 1,8 |
| 3. კ. ლავრინოვიჩი (ლიტ) | 6 | 1,7 |
| 4. მაკარტი (რუს) | 8 | 1,6 |
| 4. კალატესი (საბ) | 8 | 1,6 |
| 4. მონია (რუს) | 9 | 1,6 |
| **დაფარება** | | |
| 1. პ. გასოლი (ესპ) | 9 | 2,2 |
| 2. გორტატი (პოლ) | 6 | 2,0 |
| 3. მ. გასოლი (ესპ) | 9 | 1,3 |
| 3. მოზგოვი (რუს) | 9 | 1,3 |
| 3. ილიასოვა (თურ) | 7 | 1,3 |

### საუკეთესოები

**საუკეთესო მოთამაშე:** პაუ გასოლი (ესპანეთი)
**საუკეთესო მცველი:** ხუან კარლოს ნავარო (ესპანეთი)
**საუკეთესო ფორვარდი:** ერაზემ ლორბეკი (სლოვენია)
**საუკეთესო ცენტრი:** პაუ გასოლი (ესპანეთი)
**საუკეთესო მწვრთნელი:** დუშან ივკოვიჩი (სერბეთი)

### I სიმბოლური

ხუან კარლოს ნავარო (ესპანეთი), მილოშ ტეოდოშიჩი (სერბეთი) - რუდი ფერნანდესი (ესპანეთი), ერაზემ ლორბეკი (სლოვენია) - პაუ გასოლი (ესპანეთი).

### II სიმბოლური

ვასილის სპანულისი (საბერძნეთი), ერსან ილიასოვა (თურქეთი) - ჰედო თურქოგლუ (თურქეთი), მარიონას პეტრავიჩუსი (ლიტვა) - მარსინ გორტატი (პოლონეთი).

### III სიმბოლური

ტონი პარკერი (საფრანგეთი), როკო-ლენი უკიჩი (ხორვატია) - კელი მაკარტი (რუსეთი), ლიორ ელიაჰუ (ისრაელი) - ნენად კრსტიჩი (სერბეთი).

### მედლების ცხრილი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 14 | 3 | 4 | 21 |
| 2. იუგოსლავია | 5 | 5 | 3 | 13 |
| 3. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 5 |
| 3. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| 5. იტალია | 2 | 4 | 4 | 10 |
| 6. საბერძნეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| 7. ჩეხოსლოვაკია | 1 | 6 | 5 | 12 |
| 8. ესპანეთი | 1 | 6 | 2 | 9 |
| 9. უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 9. რუსეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 11. ლატვია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 11. გერმანია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 13. ეგვიპტე | 1 | 0 | 1 | 2 |
| 14. საფრანგეთი | 0 | 1 | 5 | 6 |
| 15. პოლონეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 16. ბულგარეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 17. ისრაელი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. თურქეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ხორვატია | 0 | 0 | 2 | 2 |

## თურქეთი 2010

ევრობასკეტის შემდეგ გაირკვა მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატის კიდევ ექვსი ფინალისტი. ახლა თურქეთში გასამართი პირველობის 24 მონაწილიდან ოცია: თურქეთი, აშშ, ანგოლა, კოტ დ'ივუარი, ტუნისი, ირანი, ჩინეთი, იორდანია, ახალი ზელანდია, ავსტრალია, ბრაზილია, პუერტო რიკო, არგენტინა, კანადა, ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ხორვატია.

კიდევ ოთხ ფინალისტს FIBA თავად აირჩევს და მათ "უაილდ-ქარდს" მიანიჭებს.

თურქეთში ჩემპიონატი 2010 წლის 28 აგვისტოს დაიწყება და 12 სექტემბერს დასრულდება.

### ყველა ფინალი

| წელი | მასპინძელი | ფინალი | |
|---|---|---|---|
| 1935 | შვეიცარია | ლატვია-ესპანეთი | 24:18 |
| 1937 | ლატვია | ლიტვა-იტალია | 24:23 |
| 1939 | ლიტვა | ლიტვა* | |
| 1946 | შვეიცარია | ჩეხოსლოვაკია-იტალია | 34:32 |
| 1947 | ჩეხოსლოვაკია | სსრკ-ჩეხოსლოვაკია | 56:37 |
| 1949 | ეგვიპტე | ეგვიპტე* | |
| 1951 | საფრანგეთი | სსრკ-ჩეხოსლოვაკია | 45:44 |
| 1953 | სსრკ | სსრკ* | |
| 1955 | უნგრეთი | უნგრეთი* | |
| 1957 | ბულგარეთი | სსრკ* | |
| 1959 | თურქეთი | სსრკ-ჩეხოსლოვაკია | 83:72 |
| 1961 | იუგოსლავია | სსრკ-იუგოსლავია | 60:53 |
| 1963 | პოლონეთი | სსრკ-პოლონეთი | 60:53 |
| 1965 | სსრკ | სსრკ-იუგოსლავია | 58:49 |
| 1967 | ფინეთი | სსრკ-ჩეხოსლოვაკია | 89:77 |
| 1969 | იტალია | სსრკ-იუგოსლავია | 81:72 |
| 1971 | გფრ | სსრკ-იუგოსლავია | 69:64 |
| 1973 | ესპანეთი | იუგოსლავია-ესპანეთი | 78:67 |
| 1975 | იუგოსლავია | იუგოსლავია* | |
| 1977 | ბელგია | იუგოსლავია-სსრკ | 74:61 |
| 1979 | იტალია | სსრკ-ისრაელი | 98:76 |
| 1981 | ჩეხოსლოვაკია | სსრკ-იუგოსლავია | 84:76 |
| 1983 | საფრანგეთი | იტალია-ესპანეთი | 105:96 |
| 1985 | გფრ | სსრკ-ჩეხოსლოვაკია | 120:89 |
| 1987 | საბერძნეთი | საბერძნეთი-სსრკ | 103:101 (ო) |
| 1989 | იუგოსლავია | იუგოსლავია-საბერძნეთი | 98:77 |
| 1991 | იტალია | იუგოსლავია-იტალია | 88:73 |
| 1993 | გერმანია | გერმანია-რუსეთი | 71:70 |
| 1995 | საბერძნეთი | იუგოსლავია-ლიტვა | 96:90 |
| 1997 | ესპანეთი | იუგოსლავია-იტალია | 61:49 |
| 1999 | საფრანგეთი | იტალია-ესპანეთი | 64:56 |
| 2001 | თურქეთი | იუგოსლავია-თურქეთი | 78:69 |
| 2003 | შვედეთი | ლიტვა-ესპანეთი | 93:84 |
| 2005 | სერბეთი | საბერძნეთი-გერმანია | 78:62 |
| 2007 | ესპანეთი | რუსეთი-ესპანეთი | 60:59 |
| 2009 | პოლონეთი | ესპანეთი-სერბეთი | 85:63 |

** - გამარჯვებული ჯგუფური ტურნირის მეშვეობით ვლინდებოდა*

### MVP

| | |
|---|---|
| 1935 | რაფაელ მარტინი (ესპანეთი) |
| 1937 | პრანას ლუბინასი (ლიტვა) |
| 1939 | მიკოლაშ რუჟგისი (ლიტვა) |
| 1946 | ფერენც ნემეტი (უნგრეთი) |
| 1947 | იოან ლისოვი (სსრკ) |
| 1949 | ჰუსეინ ოზთურქი (თურქეთი) |
| 1951 | ივან მრაზეკი (ჩეხოსლოვაკია) |
| 1953 | ანატოლი კონევი (სსრკ) |
| 1955 | იანოშ გრემინგერი (უნგრეთი) |
| 1957 | ირჟი ბაუმრუკი (ჩეხოსლოვაკია) |
| 1959 | ვიქტორ ზუბკოვი (სსრკ) |
| 1961 | რადივოი კოვაჩი (იუგოსლავია) |
| 1963 | ემილიანო როდრიგესი (ესპ) |
| 1965 | მოდესტას პაულაუსკასი (სსრკ) |
| 1967 | ირჟი ზედნიჩეკი (ჩეხოსლოვაკია) |
| 1969 | სერგეი ბელოვი (სსრკ) |
| 1971 | კრეშიმირ ჩოსიჩი (იუგოსლავია) |
| 1973 | უეინ ბრაბენდერი (ესპანეთი) |
| 1975 | კრეშიმირ ჩოსიჩი (იუგოსლავია) |
| 1977 | დრაჟენ დალიპაგიჩი (იუგოსლავია) |
| 1979 | მიკი ბერკოვიჩი (ისრაელი) |
| 1981 | ვალდის ვალტერსი (სსრკ) |
| 1983 | ხუან ანტონიო კორბალანი (ესპ) |
| 1985 | არვიდას საბონისი (სსრკ) |
| 1987 | ნიკოს გალისი (საბერძნეთი) |
| 1989 | დრაჟენ პეტროვიჩი (იუგოლავია) |
| 1991 | ტონი კუკოჩი (იუგოლავია) |
| 1993 | კრისტიან ველპი (გერმანია) |
| 1995 | შარუნას მარჩიულონისი (ლიტვა) |
| 1997 | ალექსანდრ ჯორჯევიჩი (იუგ) |
| 1999 | გრეგორ ფუჩკა (იტალია) |
| 2001 | პრედრაგ სტოიაკოვიჩი (იუგ) |
| 2003 | შარუნას იასიკიავიჩუსი (ლიტვა) |
| 2005 | დირკ ნოვიცკი (გერმანია) |
| 2007 | ანდრეი კირილენკო (რუსეთი) |
| 2009 | პაუ გასოლი (ესპანეთი) |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1935 | ლივიო ფრანჩესკინი (იტა) | 16 |
| 1937 | პრანას ლუბინასი (ლიტ) | 13.8 |
| 1939 | ჰეინო ვესკილა (ესტ) | 16.5 |
| 1946 | პაველ შტოკი (პოლ) | 12.6 |
| 1947 | ოთარ ძორძია (სსრკ) | 14.7 |
| 1949 | ჰუსეინ ოზთურქი (თურ) | 19.3 |
| 1951 | ივან მრაზეკი (ჩეხა) | 17.1 |
| 1953 | აჰმედ იდლიბი (ლიბ) | 15.8 |
| 1955 | მიროსლავ შკერიკი (ჩეხ) | 19.1 |
| 1957 | ედი ტერესი (ბელ) | 22 |
| 1959 | რადივოი კოვაჩი (იუგ) | 27.5 |
| 1961 | რადივოი კოვაჩი (იუგ) | 24.3 |
| 1963 | რადივოი კოვაჩი (იუგ) | 26.5 |
| 1965 | რადივოი კოვაჩი (იუგ) | 21.6 |
| 1967 | გეორგიოს კოლოკიტასი (საბ) | 26.2 |
| 1969 | გეორგიოს კოლოკიტასი (საბ) | 22.6 |
| 1971 | ედვარდი იურკევიჩი (პოლ) | 22.5 |
| 1973 | ათანას გოლომეევი (ბულ) | 21.7 |
| 1975 | ათანას გოლომეევი (ბულ) | 23.1 |
| 1977 | კეეს აკერბოომი (ჰოლა) | 26.4 |
| 1979 | მიეჩისლავ მლინარსკი (პოლ) | 26.4 |
| 1981 | მიეჩისლავ მლინარსკი (პოლ) | 23.1 |
| 1983 | ნიკოს გალისი (საბ) | 33 |
| 1985 | დრაჟენ პეტროვიჩი (იუგ) | 25.2 |
| 1987 | ნიკოს გალისი (საბ) | 37 |
| 1989 | ნიკოს გალისი (საბ) | 35.6 |
| 1991 | ნიკოს გალისი (საბ) | 32.4 |
| 1993 | საბაჰუდინ ბილალოვიჩი (ბოს) | 25 |
| 1995 | შარუნას მარჩიულონისი (ლიტ) | 22.5 |
| 1997 | ოდედ კატაში (ისრ) | 22 |
| 1999 | ალბერტო ერეროსი (ესპ) | 19.2 |
| 2001 | დირკ ნოვიცკი (გერ) | 28.7 |
| 2003 | პაუ გასოლი (ესპ) | 25.8 |
| 2005 | დირკ ნოვიცკი (გერ) | 26.1 |
| 2007 | დირკ ნოვიცკი (გერ) | 24 |
| 2009 | პაუ გასოლი (ესპ) | 18.8 |

ფორმულა 1



# რენო პირობითად დაისაჯა

## ფლავიო ბრიატორე სამუდამოდ ჩამოაცილეს ავტოსპორტს, ფერნანდო ალონსო პიკე საქმეში სუფთა ყოფილა

გუშინ პარიზში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართა, სადაც საბოლოო ვერდიქტი უნდა გამოეტანათ **ნელსინიო პიკეს** გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით.

FIA-მ აშკარად დაინდო "რენო"- ფრანგულ საჯინიბოს 2011 წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია .მისცეს, რომელიც ავტომატურად ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ "რენო" კიდევ ერთხელ დაარღვევს რეგლამენტს. FIA-ის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში წერია, რომ ფრანგულმა გუნდმა შიდა გამოძიება ჩაატარა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ სინგაპურის 2008 წლის გრან-პრიზე წინასწარ დაგეგმილი ავარიის შესახებ მხოლოდ **ფლავიო ბრიატორემ, პეტ სიმონდსმა** და **ნელსინიო პიკემ** იცოდნენ, გუნდის დანარჩენი წევრები კი საქმის კურსში არ ყოფილან. საბოლოოდ, "რენოს" მიერ გაკეთებული დასკვნები სრულად დაემთხვა FIA-ის წევრთა ვარაუდებს.

ამ საქმეში ყველაზე მკაცრად "რენოს" ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე** დაისაჯა, რომელიც გუშინდელ სხდომას არ ესწრებოდა. იტალიელმა სპეციალისტმა სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო. ფედერაციამ დაადგინა, რომ არ გასცემს ლიცენზიას იმ გუნდზე, რომელიც ბრიატორეს სამსახურის გამოყენებას დააპირებს. თავად ფლავიოს ეკრძალება FIA-ის ეგიდით გამართულ ნებისმიერ რბოლაზე ოფიციალურ ზონებში გამოჩენა. გარდა ამისა, სუპერლიცენზიას არ მისცემენ იმ პილოტებს, რომელთა მენეჯერი ბრიატორე გახლავთ.

"რენოს" ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა **პეტ სიმონდსმა** ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთი გუნდი ვერ ისარგებლებს მისი სამსახურით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავს FIA-ის ლიცენზიას. ამ ხუთი წლის განმავლობაში სიმონდსს აკრძალული აქვს ფედერაციის ოფიციალურ ზონებში გამოჩენა.

მსოფლიოს საბჭომ დაადასტურა, რომ "რენოს" ლიდერმა **ფერნანდო ალონსომ** გუნდის გეგმების შესახებ არაფერი იცოდა. FIA-მ მადლობა გადაუხადა ესპანელს გამოძიებასთან თანამშრომლობისა და გუშინდელ სხდომაში მონაწილეობისთვის.

რაც შეეხება ამ სკანდალის მთავარ მოქმედ პირს ნელსინიო პიკეს, - საჭირო ინფორმაციის მიწოდებისთვის მასზე იმუნიტეტი ვრცელდება.

# კიმი მაკლარენს მოელაპარაკა

ბრიტანულმა საჯინიბო "მაკლარენმა" მომავალი სეზონისთვის წინასწარ შეთანხმებას მიაღწია "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენთან.** თუმცა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონს, რომელსაც იტალიურ გუნდთან კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აკავშირებს, "ფერარის" უბრალოდ დატოვება არ უნდა და "სკუდერიასგან" კუთვნილი ერთი წლის ხელფასის - 50 მილიონის გადახდას ითხოვს.

წელს რაიკონენი არც ისე წარმატებულ სეზონს ატარებს. ფინელი პილოტისა და "ფერარის" თანამშრომლობა უკვე ორი სეზონია მეტად ულიმლამოდ ვითარდება - 2009 წლის ჩემპიონატის ფინიშამდე ოთხი ეტაპით ადრე მეოთხე ადგილი პირად ჩათვლაში და მესამე - კონსტრუქტორთა თასზე. ეს ის შედეგი არ არის, რომელიც "ფერარის" დააკმაყოფილებს.

ჯერ კიდევ სეზონის შუაში იყო ლაპარაკი იმაზე, რომ "ფერარი" და რაიკონენი გაყრას აპირებნენ. ახლა ინგლისური "მირორი" ამტკიცებს, რომ მხარეებს ბოლო ნაბიჯის გადადგა სჭირდებათ ამ მიმართულებით, ხოლო ფინელმა წინასწარი კონტრაქტიც კი გააფორმა "მაკლარენთან".

ბრიტანული საჯინიბოდან გავრცელებული სანდო ცნობის მიხედვით, რაიკონენი უკვე 2010 წელს მიუჯდება ვერცხლისფერი ბოლიდის საჭეს. რჩება მხოლოდ "ფერარისთან" გარკვეული ფორმალობების მოგვარება. ესაა მთავარი პრობლემა. თითქოს პილოტიც და გუნდიც მზად არიან გაიყარონ, მაგრამ კიმის იტალიიდან ხელცარიელი წამოსვლა არ უნდა. კონტრაქტის მიხედვით სკანდინაველს კიდევ ერთი სეზონი აკავშირებს "სკუდერიასთან" და რაიკონენს სურს "ფერარიმ" კუთვნილი თანხა გადაუხადოს - მთლიანი ხელფასი ბოლო ცენტამდე. ეს კი "მირორის" ცნობით 50 მილიონია.

ჯერჯერობით უცნობია, წავა თუ არა "ფერარი" ეკონომიკური კრიზისის პირობებში ასეთ ძვირად ღირებულ გარიგებაზე. იმ შემთხვევაში, თუ იტალიური საჯინიბო კიმის პირობას დასთანხმდება, რაიკონენი გრანდიოზულ ჯეკ-პოტს მოხსნის - 50 მილიონი ყოფილი გუნდისგან და ხელფასი "მაკლარენში", რომელიც ასევე სოლიდური იქნება.

გარდა ამისა, "მირორი" კიდევ ერთი სავარაუდო ტრანსფერის შესახებ იტყობინება. "უილიამსის" პილოტი **ნიკო როსბერგი** მომავალ სეზონში "ბრაუნ გრან-პრის" ღირსებას დაიცავს. ამ ტრანსფერს ითხოვს "მერსედესი", რომელიც უახლოეს ხანში აპირებს "ბრაუნის" აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვას. სწორედ **როს ბრაუნის** გუნდთან მჭიდრო ურთიერთობის გამო შეცვალა გერმანულმა ავტოგიგანტმა თავისი პოზიცია როსბერგთან დაკავშირებით. თავიდან გერმანელები ნიკოს "მაკლარენში" უშვებდნენ **ჰეიკი კოვალაინენის** ნაცვლად.

მოკლედ, სეზონის შემდეგ სატრანსფერო ბაზარზე ბევრ საინტერესო მოვლენას უნდა ველოდოთ. ხმაურიანი გარიგებები აუცილებლად იქნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი და წლევანდელი სეზონის სენსაცია **ჯენსონ ბატონი** ძალიან განაწყენებულია. ორი დღის წინ "ბრაუნ გრან-პრის" ხელმძღვანელობამ ბრიტანელს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც ჯენსონს ისეთივე ხელფასი ექნება, როგორიც ამ სეზონში - ჯამაგირისა და პრემიალურების მომატება არ იგეგმება, რამაც ალაშფოთა ბატონის გუნდი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# კლაისტერსი ბრისბენით იწყებს




ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა **კიმ კლაისტერსმა** მომავალი სეზონის დასაწყისში საკუთარი გეგმები გაუმხილა ჟურნალისტებს. 26 წლის ბელგიელი ჩოგბურთელი "დიდი სლემის" პირველი ტურნირისთვის - ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადებას ბრისბენის ტურნირზე დაიწყებს, რომელიც 3-10 იანვარს გაიმართება. სხვათა შორის, კიმი ავსტრალიის ამ ქალაქში პირველად ცდის ძალებს.

*"კიმი გულშემატკივრებს შორის ძალიან პოპულარულია და თავად ჩოგბურთელებშიც დიდი პატივისცემით სარგებლობს. ძალიან აღელვებულები ვართ იმით, რომ ასეთი დონის მოთამაშე ჩვენს ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, მით უმეტეს, რომ ის ტრიუმფალურად დაბრუნდა ქალთა ტურში, მოიგო ამერიკის ღია პირველობა, სადაც დები უილიამსები გამოთიშა ბრძოლას"*, - ამბობს Brisbane International-ის დირექტორი **სტივ ეილესი**.

*"ავსტრალია ჩემი მეორე სახლია და მოხარული ვარ, რომ იანვარში იქ დაბრუნება მომიწევს Brisbane International-ში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, მინდა ბრისბენის ქუჩებში სეირნობით გული ვიჯერო და მისი უნიკალური ბუნებით დავტკბე. თანაც ჩემ გვერდით ქალიშვილი ჯადა და მეუღლე ბრაიანი იქნებიან"*, - დაწერა თავის განცხადებაში კლაისტერსმა.

# რაფა ბანგკოკში არ ჩავა



მსოფლიოს მეორე ნომერმა **რაფაელ ნადალმა** გაურკვეველი ვადით გადადო თამაშის განახლება. ესპანელი ჩოგბურთელი პირველ ნომრად იყო განთესილი ტაილანდის ღია პირველობაზე, რომელიც 26 სექტემბერს ბანგკოკში დაიწყება. რაფამ ამ ტურნირზე თამაში იმ ტრავმის გამო იუარა, რომელიც ამერიკის ღია პირველობის მსვლელობისას მიიღო.

თავის ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, ნადალმა მუცლის კუნთის ტრავმის ბოლომდე მკურნალობა გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა ამერიკის ლიაზე ნახევარფინალს მიაღწია და იქ მომავალ ჩემპიონთან, არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** წააგო.

ამავე ტრავმის გამო რაფაელ ნადალს წინა კვირას ისრაელთან დევისის თასის ნახევარფინალის გამოტოვებამაც მოუწია.

# პეერის მეოთხე და ჩინკის პირველი



ამერიკის ღია პირველობის შემდეგ ქალთა ტურის წამყვანი ჩოგბურთელები არდადეგებზე გაემგზავრნენ, ამიტომაც გასულ კვირას მეორეხარისხოვან ტურნირებში შესაბამისი დონის ჩოგბურთელებმა მიიღეს მონაწილეობა.

კანადაში კვებეკ-სიტის ტურნირზე კარიერაში პირველი ტიტული მოიგო უნგრელმა **მელინდა ჩინკმა**. 26 წლის ჩოგბურთელმა მესამე სეტში გატეხა 22 წლის ჩეხი **ლუსი საფაროვას** წინააღმდეგობა - 4:6, 6:3, 7:5. შეხვედრა 2 საათსა და 16 წუთს გაგრძელდა. ეს ჩოგბურთელები პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ჩინკმა ამ მოგებისთვის 37 ათასი დოლარი მიიღო და რეიტინგში ქულათა მონაგარი 280-ით გაზარდა. ამის წყალობით უნგრელმა გუშინ გამოქვეყნებულ კლასიფიკაციაში 15 პოზიციით წინ წაიწია და ახლა მსოფლიოს 37-ე ჩოგანია.

ჩინეთის ქალაქ გუანგჯოუს ტურნირში ფინალი უფრო სწრაფად დასრულდა. ისრაელის წარმომადგენელმა, 22 წლის **შაარ პეერმა** ორი სეტი იკმარა იტალიელი **ალბერტა ბრიანტის** დასამარცხებლად. პეერმა მეტოქის სამი მოწოდება აიღო, თავად ერთი ბრეიკი დათმო და საათნახევრიან ბრძოლაში 6:3, 6:4 გაიმარჯვა. ორივე ჩოგბურთელმა ფინალამდე სეტის წაუგებლად მიაღწია.

ისრაელელმა წელს პირველი, კარიერაში კი მეოთხე ტურნირი მოიგო, რისთვისაც ჩინკის მსგავსად 37 ათასი დოლარი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ პეერმა ბოლოს WTA-ის ტურნირზე 2006 წელს გაიმარჯვა, ბრიანტიმ კი საერთოდ პირველად ითამაშა ფინალში.

**WTA**

**Bell Challenge**

კვებეკი (კანადა). პარდი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**მელინდა ჩინკი (უნგ, 5)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 4) 4:6, 6:3, 7:5.

**CHINA GDD**

გუანგჯოუ (ჩინეთი). პარდი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**შაარ პეერი (ისრ, 5)**-ალბერტა ბრიანტი (იტა, 8) 6:3, 6:4.

მძლეოსნობა

# გაიმ ბოლტს მიჰბაძა



მძლეოსნობაში დასასრულს მიუახლოვდა ზაფხულის სეზონი. ერთ-ერთი ბოლო პრესტიჟული ტურნირი - "ოქროს გრან-პრი" ჩინეთის ქალაქ შანხაიში გაიმართა და მამაკაცებს შორის 100 მეტრზე სირბილში კიდევ ერთი ფენომენალური შედეგი ვიხილეთ.

ამერიკელმა **ტაისონ გაიმ** მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა - 9,69 წამი, რითაც **უსაინ ბოლტის** შარშანდელი რეკორდი გაიმეორა, რომელიც იამაიკელმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე დაამყარა. შეგახსენებთ, რომ წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლტმა ეს რეკორდი 9 მეასედი წამით გააუმჯობესა - ბერლინში უსაინის დროს იყო - 9.58.

გაის გარდა, შანხაიში 10 წამზე ნაკლები დრო აჩვენეს **პაუელმა** (იამაიკა) - 9,85, **პატონმა** (აშშ) - 9,89 და **კარტერმა** (იამაიკა) - 9,91.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| ვერონა-ტერნანა | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-აიაჩო | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| სპორტინგი-ოლანენსე | 3:2 |
| **დანია** | |
| ორჰუსი-მიდტიულანდი | 2:4 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-ვიკინგი | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ილისიაკოსი-პანსერაიკოსი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ქასიმფაშა-გალათასარაი | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| დარდანელი-ორდუ | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სპორტინგი-უექსფორდი | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ზანიკი | 3:1 |
| ბრნო-სპარტა | 1:1 |
| **კვიპროსი** | |
| ერმისი-აპოპ | 2:3 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კლიფტონვილი-ლინფილდი | 4:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტ. (პ)-ლოკომოტ. (მ) | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-იორგრიტე | 3:0 |
| მალმიო-ელფსბორგი | 5:0 |

| | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ლიუნგსკილე | 3:5 |
| ნორჩოპინგი-სირიანსკა | 1:2 |
| **არგენტინა** | |
| ბოკა ხუნიორსი-გოდოი | 2:3 |
| არსენალი-რივერ პლეიტი | 1:0 |
| **ბრაზილია** | |
| კორინთიანსი-გოიაში | 1:4 |
| ფლამენგო-კურიტიბა | 3:0 |
| სანტოსი-ბოტაფოგო | 0:0 |
| **კოლუმბია** | |
| ენვიგადო-ამერიკა | 3:3 |
| დეპ. კალი-მილიონარიოსი | 0:1 |
| **ეკვადორი** | |
| ბარსელონა-ემელეკი | 0:0 |
| **მექსიკა** | |
| პუებლა-პუმასი | 1:1 |
| კერეტარო-ამერიკა | 0:0 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სევერსტალი-მეტალურგი (ნ) | 1:3 |
| ატლანტი-ამური | 4:1 |
| სპარტაკი-სიბირი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ჰვ71 | 2:6 |
| ფერიესტადი-აიკ | 3:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბუქარესტი** | |
| ლუჩაკი-კ. ბეკი | 7:5, 7:6 |
| გრანოლერსი-ლუნკანუ | 6:2, 6:7, 6:1 |
| **ATP. მეცი** | |
| შუტლერი-ფაუ | 6:7, 6:7 |
| ა. ბეკი-ლუ | 6:4, 6:2 |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| ვოსკობოევა-სილვა | 6:4, 3:6, 6:4 |
| ფოგელი-დიატჩენკო | 6:3, 7:5 |

TV პროგრამა

**22 სექტემბერი. სამშაბათი**

**I არხი**

22:30 ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. დანია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:15 ესპანეთის ჩემპიონატი.
08:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
01:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
05:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:05 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ფინალი. დეტროიტი-პიტსბურგი. V მატჩი.
08:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. მაიამი-ინდიანაპოლისი.
11:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა.
12:45 ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 55, 66, 96 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალი. დანია.
14:45 ჰოკეი. კჰლ-ის ლიგა. მიმოხილვა.
15:00 სპორტული დღე.
15:45 პლაჟის ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. რუსეთი.
17:45 ახალი ამბები.
17:55 ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. შვედეთი-რუსეთი. დანია (LIVE).
19:30 ახალი ამბები.
19:40 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. მაიამი-ინდიანაპოლისი.
21:55 ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. დანია-რუმინეთი. დანია (LIVE).
23:30 სპორტული საღამო.
00:05 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. ფინალი. პოლონეთი.
03:35 ახალი ამბები.
04:05 ჭიდაობა. რუსეთის ჩემპიონატი. ქალები.

**EUROSPORT**

10:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
11:30 მძლეოსნობა. ოქროს გრან-პრი. შანხაი. ჩინეთი.
13:00 სნუკერი. შანხაი მასტერსი. ფინალი. ჩინეთი.
14:30 ველოსპორტი. ვუელტა. XXI ეტაპი. ესპანეთი.
15:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
16:30 მძლეოსნობა. ოქროს გრან-პრი. შანხაი. ჩინეთი.
18:15 ველოსპორტი. ვუელტა. XXI ეტაპი. ესპანეთი.
19:30 სნუკერი. შანხაი მასტერსი. ფინალი. ჩინეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 მძლეოსნობა. ოქროს გრან-პრი. შანხაი. ჩინეთი.
22:15 პროფესიული კრივი. IBF. უმჩატესი წონა. ჯოზეფ აგბეკო (განა)-ვიკ დარჩინიანი (სომხეთი). აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. უმჩატესი წონა. სულეიმან მბაიე (საფრანგეთი)-კოლინ ვაინსი (ბრიტანეთი). საფრანგეთი.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:15 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
01:45 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. ნიურბურგრინგი. გერმანია.
02:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
02:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# გატი არ მოუკლავთ



11 ივლისს გარდაცვლილი **არტურო გატის** სხეულის ხელმეორე გაკვეთამ დაადასტურა ვერსია იმის შესახებ, რომ სპორტსმენმა თავი მოიკლა. მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს განმეორებითი ექსპერტიზა მონრეალში ჩაუტარდა და მისი შედეგები 20 სექტემბერს გახდა ცნობილი. როგორც იცით, კანადელი მოკრივე ბრაზილიის ერთ-ერთი კურორტის სასტუმროს ნომერში მეუღლემ მკვდარი იპოვა.

გატის სიკვდილის შემდეგ პოლიციამ ეჭვი მის მეუღლეზე **ამანდა როდრიგესზე** მიიტანა, რომელმაც წინასწარი დაკავების საკანში დაახლოებით სამი კვირა გაატარა და ბოლომდე უარყოფდა დანაშაულს. ივლისის ბოლოს გამომძიებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გატიმ თავი მოიკლა.

საბოლოო ვერსიით, მოკრივემ სასტუმროს ნომერში თავი ჩამოიხრჩო, შემდეგ კი მისი სხეული ყულფიდან ჩაცურდა და იატაკზე აღმოჩნდა. როდრიგესმა არტუროს გვამი იატაკზე იპოვა და უბედური შემთხვევის შესახებ მაშინვე პოლიციას შეატყობინა.

ფრენბურთი

# ხულიგანი მწვრთნელი

სამხრეთ კორეის ფრენბურთის ასოციაციამ გაურკვეველი ვადით მისცა დისკვალიფიკაცია ქვეყნის კაცთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს **სან-ელ ლის**, რომელიც თავისი შეგირდის ცემაშია დადანაშაულებული. გარდა ამისა, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჰო-ჩოლ კიმი**. კორეის ოლიმპიურმა კომიტეტმა სან-ელ ლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.



ეს სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც კორეის ნაკრების 24 წლის ფრენბურთელმა **ჩულ-ვუ პარკმა** პრესკონფერენცია მოიწვია და გამოაცხადა, რომ სან-ელ ლიმ ის ვარჯიშზე გალახა. პაკის სიტყვებით, ერთ მომენტში მწვრთნელი მიუახლოვდა და სახეში მუშტი უთავაზა, შემდეგ კი სხვა ფრენბურთელების თანდასწრებით ფეხებით შესდგა შეგირდს.

მწვრთნელის ამგვარი სისასტიკის გამო მიღებული ტრავმების მკურნალობისთვის პარკს სამი კვირა გაუცდება. დღეისთვის კორეის ნაკრები აზიის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 26 სექტემბერს ფილიპინებზე იწყება. პარკი მონაწილეობას ვერ მიიღებს კონტინენტის პირველობაზე - ის გამოყვანილია განაცხადიდან.

გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა




არ გამოგრჩეთ სექტემბრის ნომერი!


ჩოგბურთი



# ბრიტანელებმა ჰინგისი დაიწუნეს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მარტინა ჰინგისმა** დაასრულა მონაწილეობა BBC-ის პროგრამაში - "ცეკვა ვარსკვლავებთან". შვეიცარიელი ჩოგბურთელი შოუს პირველი ეტაპიდანვე გამოეთიშა.

BBC-ის ტელეაუდიტორია მაინცდამაინც ვერ მოიხიბლა ჰინგისის საცეკვაო ოსტატობით. ცნობილ ჩოგბურთელს პარტნიორად პროფესიონალი მოცეკვავე - **მეტიუ კატლერი** ჰყავდა. მსაჯებმა ამ წყვილს დაბალი შეფასება მისცეს, ამიტომაც შვეიცარიელსა და მის პარტნიორს სატელეფონო ზარებით მაყურებლის ხმების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ბრიტანულმა ტელეაუდიტორიამ შოუს პირველი ეტაპის მეორე აუტსაიდერს მიანიჭა უპირატესობა. შოუში ადგილი შეინარჩუნა პოლიციის ყოფილი ოფიცრის, ამჟამად ადგილობრივი ტელევიზიის ვარსკვლავის **რევ უიალდინგისა** და **ალენ ვილანის** დუეტმა.

*"ეს ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო, მე აქ ბევრი რამ ვისწავლე, - აღიარა ჰინგისმა. - არ არის გამორიცხული, კიდევ დავბრუნდე ლონდონში და ცეკვის გაკვეთილები გავაგრძელო".*


